ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

„ახალი თაობა“+
ვაჟა-ფშაველა
8 ლარი
11 ივლისიდან
25 ივლისამდე




სამშაბათი, 12 ივლისი, 2011 №163 (5544) ფასი: 30 თეთრი

# ბათუმში მეჩეთი ხელისუფლების მოთხოვნით შენდება

გვ.6



გვ.3

## სააკაშვილმა ღმერთსა და ქართველ ერს ომი გამოუცხადა



გვ.2

## სინოდმა პარლამენტს შენიშვნა მისცა

რაზე მოილაპარაკეს საპატრიარქოში ნაციონალებმა და სასულიერო პირებმა



გვ.4

## 100 ჟურნალისტი დაკავებული ფოტოგრაფების გათავისუფლებას ითხოვს



გვ.3

## დეპუტატებს მამა ბართლომეს წყევლის არ ეშინიათ?

## გიორგი აბდალაძის მიმართვა მედიასაშუალებებსა და ჟურნალისტებს

პირველ რიგში მადლობა მინდა გითხრათ იმ მხარდაჭერისთვის, რაც ჩვენი დაკავებისას მედიასაშუალებებმა და ჟურნალისტებმა გამოხატეთ. მე ადვოკატებისა და რადიოს საშუალებით ვიგებ ამის შესახებ და ეს ბრძოლის ძალას მმატებს. კიდევ ერთხელ ვაფიქსირებ, რომ მე არ დავნებდები ამ უკანონობას!

მივმართავ ყველა ფოტორეპორტიორს და ყველა გამოცემას საქართველოში და უცხოეთში, რომელსაც სჯერა ჩვენი უდანაშაულობის. სახელმწიფო მაღალი რანგის ჩინოვნიკების ფოტოებს სახეზე დაადეთ შავი კუბი წარწერით: „აქ უნდა იყოს ფოტო, მაგრამ ფოტორეპორტიორები დაჭერილები არიან“.

მივმართავ „როიტერის“, „ასოშეიტედ პრესის“, „ფრანსპრესის“ წარმომადგენლებს საქართველოში, სანამ ჩვენ შესახებ ყველაფერი არ გაირკვევა, იმავე მეთოდით მიაწოდონ ინფორმაცია და ფოტოები უცხოურ ჟურნალ-გაზეთებს. ეს არის ჩვენი ბრძოლა სიმართლისათვის. მე თქვენი იმედი მაქვს.

*გიორგი აბდალაძე*



## თბილისისა და ერევნის დაპირისპირება რუსეთის ინტერესებში შედის

გვ.5



## რუსეთის ჯაშუშები მერაბიშვილი და სააკაშვილი არიან

გვ.4



## მე არ ვიცი, ჩადიოდა თუ არა აბდალაძე დანაშაულს

გვ.5

3090
sms განცხადებები „ახალ თაობაში“

თუ გსურთ ბინის, ავტომანქანის ან სხვა რამის ყიდვა ან გაყიდვა, აკრიფეთ თქვენს მობილურ ტელეფონში შესაბამისი ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე **3090** მაგთიდან და ჯეოსელიდან.

თქვენი განცხადება გამოქვეყნდება გაზეთ „ახალი თაობის“ უახლოეს ნომერში.

განცხადებები, რომლებშიც საკუთარი ტელეფონის ნომერი არ იქნება, არ დაიბეჭდება!

1 sms-ის ფასია 50 თეთრი.

ISSN 1987-9385
9 771987 938006

2 ნოღაიდელი ფოტორეპორტიორების საქმის საჯაროდ განხილვას მოითხოვს

6 „დემოკრატიული მოძრაობა“ დაკავებულ ფოტორეპორტიორებს თანადგომას უცხადებს

7 ხელისუფლების გამოწვევას აუცილებლად უნდა ვუპასუხოთ

10 „საბამ“ გამარჯვებულები გამოავლინა

# სინოდმა პარლამენტს შენიშვნა მისცა

## რაზე მოილაპარაკეს საპატრიარქოში ნაციონალებმა და სასულიერო პირებმა

თეა მარხვაი ე

**გუშინ მთელი საქართველოს ყურადღება საპატრიარქოსკენ იყო მიპყრობილი, სადაც წმინდა სინოდის სხდომა გაიმართა. წმინდა სინდომა იმ გადაწყვეტილებაზე იმსჯელა, რომელიც ჩვენმა სახელოვანმა პარლამენტმა მიმდინარე წლის 5 ივლისს 70 ხმით მიიღო.**

ამ გადაწყვეტილების საწინააღმდეგოდ უქმეებზე თბილისში საპროტესტო აქციები გაიმართა. 9 და 10 ივლისს თბილისში ათეულობით ათასი ადამიანი გამოვიდა ქუჩაში. მათ თბილისის ქუჩებში მსვლელობაც მოაწყვეს, რითაც ქართული ეკლესიის მიმართ მხარდაჭერა გამოხატეს.

აქციის მონაწილეები საქართველოს პატრიარქმა დალოცა. ილია II საკვირაო ქადაგებისას საკმაოდ მნიშვნელოვანი განცხადება გააკეთა. პატრიარქმა ბრძანა, რომ ვინც კი ოდესმე ეკლესია შეურაცხყო, მისი ოჯახი დაინგრა.

კვირას პარლამენტის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით ბევრი სკანდალური განცხადება გაკეთდა.

ჭორებსა და ვერსიებს ბოლო არ უჩანდა. ამის ჩვენს ხელისუფლებას ნაკლებად ეშინია, მაგრამ ისეთი განცხადებებიც გაკეთდა, რომელმაც გარეგიონ მეორის მიერ დალოცვილი დეპუტატებიც კი შეაწუხა.

რამდენიმე სასულიერო პირმა გააკეთა განცხადება დეპუტატების დაწყევლასთან დაკავშირებით. მათი თქმით, ეს დეპუტატები ამბიონიდან უნდა იქნენ დაწყევლილი.

ერთ-ერთმა სასულიერო პირმა დაწყევლა კიდევაც ჩვენი კანონმდებლები. ოღონდ არა ყველა, მხოლოდ ის 70, რომელმაც ავადსახსენებელ კანონს დაუჭირა მხარი.

ამ ამბავმა, როგორც ამბობენ, ჩვენი გულადი ნაციონალები შეაშფოთა. მათი შეშფოთება მაშინ უნდა გენახათ, როცა ცნობილი გახდა 11 ივლისს სინოდის სხდომის ჩატარების შესახებ.

კვირას გავრცელდა ინფორმაცია, რომ სინოდის სხდომაზე დეპუტატები უნდა დაეწყევლათ.

დეპუტატი ხათუნა ოჩიაური ასეთი ინფორმაციით გაოგნებული დარჩა. მან ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, რომ ვერ წარმოუდგენია თუ სასულიერო პირები ვინმეს დაწყევლიან. მისი თქმით, დაწყევლა არაქრისტიანული ქმედებაა.

წყევლა მართლაც არაქრისტიანულია. თუმცა, ოჩიაურმა მაინც ჯობია პარლამენტის არაქრისტიანულ გადაწყვეტილებებს მიხედოს. უფრო უკეთესი იქნება, თუ თავის საქციელს გააკონტროლებს. ყველამ კარგად ვნახეთ კადრები, როცა ის სხვისი პულტებით აძლევდა ხმას.

თავს ვერ დავდებთ, რომ ეს არაქრისტიანული ქმედებაა, რადგანაც ამით ოჩიაური თავის ნაციონალ თანამოძმეებს ეხმარებოდა. თუმცა, კანონის დარღვევა რომ არის, ეს ფაქტია. წესით და რიგით, მისთვის ამის გამო პასუხი უნდა მოეთხოვათ.

ეს სხვა და ნაკლებად მნიშვნელოვანი თემაა. გაცილებით მნიშვნელოვანი პარლამენტის მიერ მიღებული ავადსახსენებელი კანონია.



წმინდა სინოდის სხდომა გუშინ დაპირებისამებრ დილის 10 საათზე დაიწყო. იმ დროისთვის საპატრიარქოს შენობასთან რამდენიმე ასეული ადამიანი იყო შეკრებილი. მათ ხელში სანთლები ეკავათ და ასე გამოხატავდნენ მხარდაჭერას საპატრიარქოსადმი.

ყველა ვარაუდობდა, რომ წმინდა სინოდი მკაცრ გადაწყვეტილებას გამოიტანდა. სინდოს სხდომა 4 საათზე მეტ ხანს გაგრძელდა.

სხდომის მიმდინარეობის დროს ცნობილი გახდა ერთი საინტერესო ამბავი. ეკა ბესელიამ ნაციონალები „ჩაუშვა“.

მისი თქმით, 10 ივლისის ღამეს საპატრიარქოში თბილისის მერი გიგი უგულავა, დევნილთა მინისტრი კობა სუბელიანი და ვიცე-სპიკერი რუსუდან კერვალიშვილი მივიდნენ.

როგორც ბესელია ამბობს, მათი ვიზიტი საკმაოდ ხანგრძლივი იყო. ნაცელიტას საპატრიარქო სინოდის სხდომის დაწყებამდე რამდენიმე საათით ადრე დაუტოვებია. ბესელიას განმარტებით, ისინი გამთენიისას წავიდნენ. სტუმრებს საპატრიარქოში ძალიან მძიმე საუბარი ჰქონიათ.

საპატრიარქოში უგულავას ყოფნის ფაქტი არ დაადასტურა თბილისის მერიამ. მათ ეს ინფორმაცია კატეგორიულად უარყვეს. თუმცა. ცოტა ხანში ეს ინფორმაცია მეუფე სერაფიმემ დაადასტურა. მან ისიც აღნიშნა, რომ გუშინ საპატრიარქოს დეპუტატი ლაშა თორდიაც ეწვია.

სხვათა შორის, ლაშა თორდია იმ ავადსახსენებელი კანონპროექტის ერთ-ერთი თანაავტორია და ამდენად, საინტერესო იქნებოდა მისი პოზიციის მოსმენა.

სინოდის სხდომამ, როგორც უკვე ვთქვით, რამდენიმე საათს გასტანა. სხდომა ჯერ არ იყო დასრულებული, საპატრიარქოს მიმდებარე ტერიტორიაზე სპეციალური აპარატურის დამონტაჟება რომ დაიწყეს.

გავრცელდა ინფორმაცია, რომ სინოდის გადაწყვეტილებას თავად უწმინდესი გამოაცხადებდა.

ჟურნალისტებთან სასაუბროდ პირველი რუისისა და ურბნისის მიტროპოლიტი იობი გამოვიდა. მეუფე იობმა განაცხადა, რომ სინოდმა კომპრომისული გადაწყვეტილება მიიღო. ეს გადაწყვეტილება, მისი თქმით, ქვეყნისთვის სასიკეთო იქნება.

— ეს იმას ნიშნავს, რომ გადაწყვეტილება შეთანხმებულად იქნა მიღებული, რაც მომავალში ქვეყანასაც და ეკლესიასაც დადებითად წაადგება. კრებაზე კანონის განმარტება მოხდა. ჩვენთვის ის არის მისაღები, რომ ყველას - როგორც მართლმადიდებელ ეკლესიას, ისე სხვა კონფესიებს თავისი უფლებები ჰქონდეს, — განაცხადა მეუფე იობმა.

მეუფეს ბევრი აღარ უსაუბრია, მხოლოდ ის თქვა, რომ მოგვიანებით კიდევ გაკეთდებოდა დამატებითი განმარტებები.

დამატებითი განმარტებები ბორჯომისა და ბაკურიანის მიტროპოლიტმა, მეუფე სერაფიმემ გააკეთა.

— წმინდა სინოდმა პარლამენტს რელიგიური გაერთიანებების შესახებ სამოქალაქო კოდექსში შეტანილი ცვლილებების გამო შენიშვნა მისცა, — განუცხადა ჟურნალისტებს მეუფე სერაფიმემ.

მეუფემ ისიც განმარტა, რომ გუშინ სასულიერო პირებს ლაშა თორდია სტუმრობდა.

— ხელისუფლების წევრები საპატრიარქოს წარმომადგენლებთან საუბარში ამტკიცებენ, რომ ამ ცვლილებებით სხვა რელიგიური კონფესიების მართლმადიდებლურ ეკლესიასთან გათანაბრება არ მომხდარა და მათთვის არც ქონების გადაცემის საკითხი დგას დღის წესრიგში, — ამბობს მეუფე სერაფიმე.

მისი თქმით, ამის შესახებ თბილისის მერმა გიგი უგულავამ კვირასსაპატრიარქოში განაცხადა, ხოლო გუშინ ამ საკითხზე საპატრიარქოში განმარტებები დეპუტატმა ლაშა თორდიამ გააკეთა.

— კანონის შეცვლა გამორიცხულია, თუმცა შესაძლოა, მასში დამატება შევიდეს. ხელისუფლების წარმომადგენლები აცხადებენ, რომ მართლმადიდებელი ეკლესიის უფლებები გათვალისწინებული იქნება და არანაირი გათანაბრება სხვა რელიგიურ კონფესიებთან არ მოხდება. სინოდი კანონის გაუქმებას არ ითხოვს, ვინაიდან გუშინვე ცხადი გახდა, რომ პარლამენტი ამას არ დაუშვებს და გარდა ამისა, სინოდს ეს უფლებამოსილება არ გააჩნია. თუმცა ეს ისეთი კანონია, რომ გააჩნია, ვინ როგორ გაიგებს, — განაცხადა მეუფე სერაფიმემ.

მეუფე სერაფიმემ იმ მოთხოვნების შესახებაც ისაუბრა, რომელიც წმინდა სინოდმა ჩვენს ხელისუფლებას წაუყენა.

მეუფე სერაფიმეს განცხადებით, საზოგადოებასა და რელიგიურ კონფესიებს უნდა განემარტოთ, რომ „სამოქალაქო კოდექსში“ შესული ცვლილებებით მათი მართლმადიდებელ ეკლესიასთან გათანაბრება არ მომხდარა.

— აღნიშნული მოთხოვნა სინოდის სხდომის ოქმშია ჩადებული, — განაცხადა მეუფე სერაფიმემ.

მეუფემ იმ პრეტენზიებზეც ისაუბრა, რომელიც სომხურ მხარეს აქვს. ოფიციალური ინფორმაციით, სომხური მხარე 6 ეკლესიას გვედავება. აქედან 5 ეკლესია თბილისში მდებარეობს, ხოლო ერთი — ახალციხეში.

თუმცა, როგორც მეუფე განმარტავს, სომხები გაცილებით მეტ ქართულ ეკლესიას ითხოვენ.

— სომხური მხარე აცხადებს, რომ საქართველოს ტერიტორიაზე 600 ეკლესია ეკუთვნის, აქედან 6-ის დამტკიცებას ისინი სასწრაფოდ მოითხოვენ. საპატრიარქოში რამდენიმე პარლამენტარი გვყავდა მოწვეული, მათ შორის — ლაშა თორდია, რომელიც აცხადებს, რომ მართლმადიდებელ ეკლესიას ამ კანონით საფრთხე არ ემუქრება, — განაცხადა მეუფე სერაფიმემ.

მეუფემ იურისტების შეფასებაზეც ისაუბრა. იურისტებმა ეს კანონპროექტი შეისწავლეს და დასკვნაც დადეს.

— ზაქარია ქუცნაშვილმა განაცხადა, რომ კანონი ისეა ჩამოყალიბებული, რომ მასში სადავო არაფერია, მაგრამ ვფიქრობ, რომ ეს ეშმაკურად არის გაკეთებული. ამასთან, მისი ცალმხრივი და დაჩქარებული წესით მიღება არ უნდა მომხდარიყო. კანონი ჩუმ საფრთხეს შეიცავს, — განაცხადა ბორჯომისა და ბაკურიანის ეპისკოპოსმა.

მან ჟურნალისტებთან საუბარში ვარაუდი გამოთქვა, თუ რატომ მიიღო ჩვენმა პარლამენტმა ასეთი გადაწყვეტილება.

— ხელისუფლებამ სამოქალაქო კოდექსში ცვლილებები სომხურ და კათოლიკურ ეკლესიებთან ურთიერთობების გაუმჯობესების მიზნით შეიტანა, — ამბობს მეუფე სერაფიმე.

პარლამენტის გადაწყვეტილებით უკმაყოფილო მეუფემ ის ეკლესიებიც ახსენა, რომლებიც დღეს საქართველოს ტერიტორიაზე აღარ დგას.

— მაკვირვებს, რომ ჩვენ აქ ვსაუბრობთ იმაზე, რა სტატუსი და პრივილეგიები მივანიჭოთ სხვადასხვა რელიგიურ კონფესიებს, საინგილოში კი ქართველებს ეკლესიაში შესვლას უკრძალავენ, — განაცხადა ბორჯომისა და ბაკურიანის მიტროპოლიტმა.

საინგილოსთან დაკავშირებით მართლაც მძიმე ვითარებაა. იქ მცხოვრებ ქართველებს ეკლესიებში შესვლას უკრძალავენ. ღვთისმსახურების აღვლენაზე ხომ საუბარი ზედმეტია.

ყველამ ძალიან კარგად იცის, რომ წელს აზერბაიჯანის ხელისუფლებამ ქართველ სასულიერო პირს 25 აპრილს საფლავების კურთხევის უფლება არ მისცა. 24 აპრილს აღდგომა იყო, რომლის მეორე დღესაც საფლავების კურთხევა უნდა მომხდარიყო.

ჩვენს ხელისუფლებას ასევე კარგად მოეხსენება, რა ხდება ქურმუხის წმინდა გიორგის სახელობის მონასტერთან. ეს ტაძარი აზერბაიჯანელებმა აჭედეს. ის წელიწადში მხოლოდ ორჯერ იხსნება.

ამასთან დაკავშირებით ბევრი განცხადება გაკეთდა. ჩვენს ხელისუფლებას კი ყურიც არ შეუბერტავს. არადა, საქართველოს დიასპორების სამინისტრო და საპარლამენტო კომიტეტი აქვს.

საპარლამენტო კომიტეტის თავკაც ნუგზარ წიკლაურს ჩერქეზების ბედი უფრო ადარდებს, ვიდრე საინგილოში მცხოვრები ქართველების.

ვიცით ისიც, რომ ქართული ეკლესიები სომხეთის ტერიტორიაზეც არის. ხელისუფლება არც ამასთან დაკავშირებით იღებს ხმას. ან როგორ ამოიღებს, როცა ისინი მზად არიან გარეგინ მეორის დაკრულზე იცეკვონ.

როგორც ბოროტი ოპოზიცია განმარტავს, ნაციონალებმა ეს კანონი სწორედ გარეგინის მოთხოვნით მიიღეს. იმ გარეგინისა, რომლის ქმედებებით თავად სომხური მედიაც კი აღშფოთებული დარჩა.

სომხურმა გამოცემამ „არავოტი“ თავიანთ კათალიკოსს სულ გაუზრდელი ეძახა. „არავოტის“ მტკიცებით, საქართველოს პატრიარქთან შეხვედრისას გარეგინი კი არ ლაპარაკობდა, არამედ „ბაზრობდა“. სომხურმა პრესამ გარეგინ მეორე კრიმინალებს შეადარა, დაწერეს, რომ ის ოლიგარქებისგან არაფრით არ განსხვავდება.

ძნელი სათქმელია, მიხეილ სააკაშვილთან შეხვედრა როგორ წარიმართა. ეს კადრები ჯერ არ გავრცელებულა და თუკი ჩვენი პარლამენტის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას გავითვალისწინებთ, გარეგინი ჩვენს ხელისუფლებას კარგად „ებაზრა“.

ეს „ბაზარი“ კანონში ცვლილებების შეტანით დასრულდა. ამის გამო ეჩმიაძინი მადლიერია. ვნახოთ, უშველის თუ არა ეჩმიაძინის მადლობა მამა ბართლომეს მიერ დაწყევლილ 70 ნაციონალს.



# ნოღაიდელი ფოტორეპორტიორების საქმის საჯაროდ განხილვას მოითხოვს

პოლიტიკური გაერთიანება „სამართლიანი საქართველო“ და მისი ლიდერი ზურაბ ნოღაიდელი ფოტორეპორტიორების საქმის ღიად და საჯაროდ განხილვას მოითხოვენ.

„სამართლიანი საქართველო“ ქართველი ფოტორეპორტიორების დაკავებასთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს.

— ცნობილი ფოტორეპორტიორების დაპატიმრებამ და მათი საქმის გასაიდუმლოებამ სამართლიანად აღაშფოთა ჩვენი საზოგადოება. აღსანიშნავია, რომ ეს მოხდა სააკაშვილის რეჟიმის უკვე საერთაშორისო დონეზე „შპიონომანიად“ შერაცხული მოქმედებების ფონზე, იმ ვითარებაში, როდესაც დასავლეთის მთავრობები და ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციები მოითხოვენ 26 მაისის ჟლეტის გამოძიებას და დამნაშავეების დასჯას, — ნათქვამია განცხადებაში.

პარტია არასერიოზულს უწოდებს პრეზიდენტის ადმინისტრაციის განცხადებას ფოტორეპორტიორების მიერ საიდუმლო ინფორმაციის მოპოვებისა და გავრცელების შესახებ.

**ინტერპრესნიუსი**

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

**დამფუძნებლები:** ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
**მთავარი რედაქტორი** – სოსო გოგინაშვილი
**რედაქტორი** – ლალი ასლანიშვილი
**რედაქტორის მოადგილე** – შორენა მარსაგიშვილი

**კონსულტანტები**
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
**საფინანსო სამსახური** – კლარა ბალავაძე
**სარეკლამო სამსახური** – 84-92-55
**გავრცელების სამსახური** – მერაბ ლევერაშვილი
**დირექტორი** – ზურაბ ბერიძე

**დაკაბადონება** – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

**მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი, №89/24, თბილქალაქპროექტის მაღლივი კორპუსი, მე-11 სართული.**
**ტელეფონი/ფაქსი 95-25-89**
**ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru**
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება.
რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია.
სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი.
საავტორო უფლებები დაცულია.

# სააკაშვილმა ღმერთსა და ქართველ ერს ომი გამოუცხადა

**ლეიბორისტული პარტია პარლამენტის მიერ მიღებულ და პრეზიდენტის მიერ დაჩქარებული წესით ხელმოწერილ კანონს აპროტესტებს რელიგიური კონფესიებისთვის საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით და ამ კანონს ანტიეკლესიურს უწოდებს.**

შორენა კოწოწაშვილი

შრომის პარტიაში აცხადებენ, რომ ეს არის ქვეყნის დაშლაზე გათვლილი გადაწყვეტილება და მართლმადიდებელი ეკლესიის წინააღმდეგ მიმართული. ლეიბორისტული პარტიის ლიდერი შალვა ნათელაშვილი სააკაშვილის პარლამენტს ღვთისმგმობელს უწოდებს და მოუწოდებს სააკაშვილის უმრავლესობას, რიგგარეშე სხდომაზე შეიკრიბონ და მათ მიერ მიღებული ანტისახელმწიფოებრივი, ანტიეროვნული კანონი შეაჩერონ.



— საქართველოში მოქმედმა ტერორისტულმა რეჟიმმა უკვე მიაღწია სულიერ-ზნეობრივი ლპობის კულმინაციას. 5 ივლისს მიღებული ანტიეკლესიური კანონით სააკაშვილმა ომი გამოაცხადა ღმერთთან და საკუთარ ხალხთან. მოვუწოდებ ღვთისმგმობელ პარლამენტს: სასწრაფოდ შეიკრიბონ რიგგარეშე სხდომაზე და ისევე ერთსულოვნად გააუქმონ აღნიშნული კანონი, როგორც ის მიიღეს, სანამ ჯერ კიდევ გვიან არ არის, — განაცხადა გუშინ გამართულ საგანგებო ბრიფინგზე ლეიბორისტული პარტიის ლიდერმა შალვა ნათელაშვილმა. ნათელაშვილის თქმით, სიახლეს არავისთვის არ წარმოადგენს სააკაშვილის გენეტიკურ-სულიერი სწრაფვა, როგორმე ძირი გამოუთხაროს და შეარყიოს ჩვენი დედა ეკლესია, ჩვენი მართლმადიდებლობა, ჩვენი ისტორიული ტრადიციები, ადათი და წესჩვეულებები.

— ეს ცხადი იყო 1995 წლიდანვე, როდესაც დაეშვა ავბედითი რეისი თბილისის აეროპორტში და 27-ე ნომრად მოქალაქეთა კავშირის სიაში მყოფი მიხეილ სააკაშვილი გახდა გარკვეული დასავლური ძალების ლობირებით პარლამენტის წევრი, იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარე და მოქალაქეთა კავშირის ლიდერი იმ ცნობილ პარლამენტში. იმავე დღიდან დაიწყო ჩამოყალიბება განტოტვილი ქსელისა საქართველოში. ეს იყო „თავისუფლების ინსტიტუტი“, „ევრაზიის ფონდი“, „ღია საზოგადოება საქართველო“, სხვადასხვა არასამთავრობო თუ სამთავრობო ორგანიზაციები, რომელთა მოვალეობას შეადგენდა სექტების დაფუძნება ჩვენს ქვეყანაში და იმავდროულად ეკლესიის წინააღმდეგ ძირგამომთხრელი მუშაობის გაჩაღება, რომელსაც სათავეში ჩაუდგა თბილისის ავადსახსენებელი მერი გიგი უგულავა თავისი მინდიაშვილებით, თუთბერიძეებით, რამიშვილებით და სხვ., — აღნიშნა ლეიბორისტული პარტიის ლიდერმა შალვა ნათელაშვილმა და საზოგადოებას შეახსენა, რომ სააკაშვილი ჯერ კიდევ შევარდნაძის უმრავლესობის ლიდერობის და კონკრეტულად იუსტიციის მინისტრობის დროს გამოირჩეოდა ანტიეკლესიური ნაბიჯებით.

შალვა ნათელაშვილის თქმით, იუსტიციის მინისტრობის დროს მიხეილ სააკაშვილი სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის კონკორდატის წინააღმდეგი იყო და ამის დასამტკიცებლად ოპოზიციური პარტიის ლიდერმა 2000 წლის 25 ნოემბრის ის წერილი გაიხსენა, რომელიც სააკაშვილმა შევარდნაძის სახელზე გაგზავნა და სადაც ის კატეგორიულად ეწინააღმდეგება სახელმწიფისა და ეკლესიას შორის კონკორდატის დადებას.

— სააკაშვილი კონკორდატის კატეგორიული წინააღმდეგი იყო. ესეც არ არის გასაკვირი, რადგან აღნიშნული პიროვნება მოწოდებულია, როგორმე შეარყიოს ჩვენი გალავანი; ჩვენი სულიერების საწყისი, გაგრძელება, წარსული და უკვდავება, ჩვენი მართლმადიდებლობა. სწორედ ამიტომ იყო, რომ ვარდების რევოლუციის შემდგომ, 25 ნოემბერს, რევოლუციიდან 3 დღის შემდეგ პირველი გადაწყვეტილება, რაც მიიღო გადატრიალების გზით მოსულმა ხელისუფლებამ, გახლდათ იელოველთა სექტის ოფიციალური რეგისტრაცია იუსტიციის სამინისტროში, — აღნიშნა ნათელაშვილმა.

ლეიბორისტული პარტიის ლიდერის შეფასებით, მიხეილ სააკაშვილის მთელი პოლიტიკური მოღვაწეობა უკავშირდება ეკლესიის წინააღმდეგ ფარულ, აშკარა, ღია, იდეოლოგიურ და მასმედიურ ბრძოლას. გავიხსენოთ ჯვრების მოთხრა, გლდანის ეკლესიის დარბევა და ა.შ., რომელშიც უშუალოდ ამ ხელისუფლების უმაღლესი ელიტა მონაწილეობდა.

— გავიხსენოთ გლდანის სასამართლოში ნიანდერტანელის ფორმაში, შიშველი ორი რიყის ქვით უშიშროების საბჭოს მდივანი გიგა ბოკერია როგორ იბრძოდა მრევლის და მართლმადიდებლობის წინააღმდეგ. ეს ყველაფერი დაფიქსირებულია ტელეკამერებით. გავიხსენოთ, როგორ ატარებს ყოველ შობა დღესასწაულზე მეუფეს სააკაშვილის დაცვა მეტალოდეტექტორში, რომ საპატრიარქოში ალბათ ბომბი არ შეიტანონ უწმინდესებმა და მეუფეებმა. გავიხსენოთ, როგორ ეძებდნენ სპეცსამსახურები ქვემო ქართლში, ეკლესიის საკურთხევლის ქვეშ ძებნილ დამნაშავეებს, — აღნიშნა შალვა ნათელაშვილმა და კიდევ ერთხელ დააკონკრეტა, რომ სააკაშვილის რეჟიმი პრაქტიკულად მართლაც შევიდა ლპობის უმაღლეს სტადიაში.

შრომის პარტიის ლიდერი მიიჩნევს, რომ თუ არ მოხდა უახლოეს დღეებში პარლამენტში საგანგებო სხდომის მოწვევა და აღნიშნული ე.წ. კანონის გაუქმება, ანტიეკლესიური ნორმის გაბათილება, მერე ძალიან ბევრი რამ გვიანი იქნება. მათ შორის, მათი პირადი უსაფრთხოებაც.

# დეპუტატებს მამა ბართლომეს წყევლის არ ეშინიათ?

ნანა მიშელაშვილი

**პარლამენტის მიერ მიღებულ ხმაურიან კანონზე გუშინ წმინდა სინოდის სხდომაზე იმსჯელეს.**
**წმინდა სინოდმა ხელისუფლებას მოუწოდა, რომ რელიგიურ გაერთიანებებთან დაკავშირებით საკანონმდებლო ცვლილებით სხვა გაერთიანებებს არ მიეცეთ ისეთივე უფლებები, როგორიც აქვს ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიას.**

წმინდა სინოდის სხდომის დასრულების შემდეგ განცხადება მეუფე სერაფიმემ გააკეთა. მისი თქმით, სინოდს მიაჩნია, რომ აღნიშნული კანონის მიღება მართლმადიდებელ ეკლესიასთან შეუთანხმებლად ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის საკონსტიტუციო შეთანხმების დარღვევაა.

— დღეს ჩვენთან მოსული იყო ლაშა თორდია და მან მოგვცა პირობა, რომ არანაირად არ იქნება ამ ცვლილების შედეგი ის, რომ სხვა რელიგიური გაერთიანებები გაუთანაბრდებიან მართლმადიდებელ ეკლესიას, — განაცხადა მეუფე სერაფიმემ.

ბოლო რამდენიმე დღეა, რაც პარლამენტის მიერ რიგგარეშე სესიაზე მიღებულ კანონთან დაკავშირებით სასულიერო პირები განცხადებებს აკეთებენ.

სამოქალაქო კოდექსში შეტანილი ცვლილებებით რელიგიურ გაერთიანებებს შეუძლიათ, საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დარეგისტრირდნენ. პრეზიდენტმა რელიგიური გაერთიანებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირად დარეგისტრირების შესახებ კანონს ვეტო არ დაადო და კანონი ძალაში უკვე რამდენიმე დღეა რაც შესულია.

ამ კანონის მიხედვით, რელიგიური გაერთიანებების რეგისტრაციას ახორციელებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი — საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი — საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო — უფლებამოსილია, საჯარო სამართლის იურიდიულ პირად დაარეგისტრიროს საქართველოსთან ისტორიული კავშირის მქონე რელიგიური მიმდინარეობა ან ის რელიგიური მიმდინარეობა, რომელიც ევროპის საბჭოს წევრ ქვეყნებში კანონმდებლობით მიჩნეულია რელიგიად.

კანონპროექტი პარლამენტში პირველ ივლისს შევიდა და პარლამენტმა პირველი მოსმენით ის იმავე დღეს დაამტკიცა, მეორე და მესამე მოსმენა კი 5 ივლისს მოხდა. ამ კანონპროექტის განხილვის შეჩერებას მოითხოვდა საპატრიარქო, მაგრამ პარლამენტმა მასზე მსჯელობა მაინც დაიწყო და მიიღო. ოპოზიცია პროტესტის ნიშნად სხდომას არ ესწრებოდა. 70-მა დეპუტატმა კანონს მხარი ერთხმად დაუჭირა.

პარლამენტის პირველი ვიცე-სპიკერი მიხეილ მაჭავარიანი აცხადებს, რომ რელიგიური გაერთიანებების სტატუსთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღება მართლმადიდებელი ეკლესიის ზურგს უკან არ მომხდარა.

როგორც მაჭავარიანი განმარტავს, საპატრიარქოში კონსულტაციები 2 და 5 ივლისს გაიმართა და პირველი მოსმენით მიღებული კანონპროექტის ფორმულირებები მეორე მოსმენისათვის სწორედ სასულიერო პირების პოზიციის გათვალისწინებით შეიცვალა.

უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი ირწმუნება, რომ „სამოქალაქო კოდექსში“ შეტანილ ცვლილებებს რაიმე ახალი კანონის მიღება, მათ შორის, „რელიგიური გაერთიანებების“ შესახებ კანონის ინიცირება არ მოჰყვება.

პარლამენტის პირველი ვიცე-სპიკერის მიხეილ მაჭავარიანი მტკიცებით, სურვილის შემთხვევაში, ქართული ეკლესია შეძლებს, სომხეთში ოფიციალურად დარეგისტრირდეს, როგორც ეკლესია.

ჟურნალისტებთან საუბარში მაჭავარიანმა განაცხადა, რომ სომხეთის ხელისუფლება მზადაა, მიიღოს შესაბამისი კანონი, რითაც სომხეთში ქართულ ეკლესიებს მიენიჭებათ იგივე სტატუსი, რაც საქართველოში — სომხურ ეკლესიებს.

მისი თქმით, გარეგინ II-ისა და მის თანმხლებ პირებს საქართველოში ვიზიტის შემდეგ ჰქონდათ შეხვედრა სომხეთის ხელისუფლებასთან და მიიღეს დასტური, რომ არსებობს სრული მზაობა, აღნიშნული კანონმდებლობაში აისახოს.

მიხეილ მაჭავარიანის განმარტებით, საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ კანონში არანაირ ქონებრივ საკითხებზე საუბარი არ არის. მისი თქმით, თუკი ასეთი საკითხი მაინც წამოიჭრება, რადგან სომხეთის მხრიდან არის საუბარი რამდენიმე არამოქმედ ეკლესიაზე საქართველოში, შეიქმნება ერთობლივი კომისიები ეკლესიისა და ისტორიკოსების მონაწილეობით, რომელიც მიიღებს გადაწყვეტილებას და მასში სახელმწიფო არ ჩაერევა.

პარლამენტის პირველი ვიცე-სპიკერი მიხეილ მაჭავარიანი ამბობს, რომ ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიას, სურვილის შემთხვევაში, სომხეთში ეკლესიად დარეგისტრირების შესაძლებლობა ექნება.

მაჭავარიანი აცხადებს, რომ სომხური ეკლესია მზადაა, მათ ქვეყანაში საქართველოს ეკლესიასაც ზუსტად იგივე სტატუსი მიანიჭოს, რომელიც სომხურ ეკლესიას საქართველოში ექნება.

— ჩემი ინფორმაციით, როგორც კი სომხური დელეგაცია, გარეგინ II და მისი თანმხლები პირები, საქართველოდან დაბრუნდნენ, ჩვენი საელჩოს წარმომადგენლები მიიწვიეს და დაადასტურეს, რომ არის სრული მზაობა იმისა, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კანონის საფუძველზე მუშაობა დაიწყონ და ეს პრობლემა გადაწყვიტონ, — აცხადებს მიხეილ მაჭავარიანი.

რაც შეეხება მამა ბართლომეს წყევლას, პარლამენტის პირველ ვიცე-სპიკერ მიხეილ მაჭავარიანს დეპუტატების წყევლა არ წაუკითხავს და არც აპირებს მის წაკითხვას. მამა ბართლომე (ფირცხალაიშვილმა) საქართველოს პარლამენტის დეპუტატები ვინც, კანონს რელიგიური უმცირესობის სტატუსის შესახებ ხმა მისცა, დასწყევლა. სოციალურ ქსელ ფეისბუქში მამა ბართლომემ კანონპროექტის მხარდამჭერი დეპუტატები დასწყევლა და განაცხადა, რომ ქართული სამართლის ძეგლებს დაესესხება და დასწყევლის მათ.

— ყველა დეპუტატს ვწყევლი, რომლებმაც ხმა მისცეს ამ კანონს. თავი მათ მხრებზე წყეული იყოს, მხრები მკერდზე, მკერდი წელზე, წელი ბარძაყთა ზედა წყეული იყოს, ბარძაყი მუხლზე, მუხლი წვივზე, წვივი კოჭთა ზედა, კოჭი ტერფთა ზედა იყოს წყეული. მის ტერფქვეშ მიწა იყოს წყეული, მიწამ პირი უყოს და ჯოჯოხეთმა შთანთქას სული და ხორცი მათი, სახელურთ მათ. ამინ! — წერს მამა ბართლომე.

ამ წყევლას სოციალურ ქსელებში არაერთგვაროვანი გამოხმაურება მოჰყვა. საკანონმდებლო ცვლილებაზე მიხეილ მაჭავარიანი ამბობს, რომ პოლიტიკაში არის მომენტი, როცა ან ახლა უნდა გააკეთო, ან არასოდეს.

მაჭავარიანის თქმით, გადაწყვეტილება, რომელიც პარლამენტმა მიიღო, საკმაოდ ძველი თემაა და განხილვის საგანიც დიდი ხნის განმავლობაში იყო.

— ეს სჭირდებოდა ძლიერ სახელმწიფოს. შეიძლება, კიდევ იყოს ვნებათაღელვა. ვიმეორებ, ქართულ სახელმწიფოს ის აძლიერებს, სახელმწიფოში კი — ენას, მამულსა და სარწმუნოებას, ერთად ვგულისხმობ, — დასძინა მაჭავარიანმა.

სამოქალაქო კოდექსში ცვლილებებით რელიგიურ გაერთიანებებს საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დარეგისტრირება შეუძლიათ, თუმცა, მათზე „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონი არ გავრცელდება.

უმრავლესობის წევრების მტკიცებით, პარლამენტის მიერ მიღებული კანონი კონკორდატს არ ეწინააღმდეგება. საპარლამენტო ოპოზიცია ამბობს, რომ პარლამენტმა შეცდომა დაუშვა, როდესაც პატრიარქს არ მოუსმინა და კანონი ისე მიიღო. პარლამენტის ვიცე-სპიკერი რუსუდან კერვალიშვილი მიიჩნევს, რომ საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას განსაკუთრებული სტატუსი გააჩნია, რომელიც კონსტიტუციის მე-9 მუხლით არის გამყარებული და წარმოადგენს დომინანტს ყველა რელიგიურ მიმდინარეობასთან შედარებით, მისი ისტორიული როლითა და იმ მდგომარეობით, რომელიც მართლმადიდებელ ეკლესიას ქვეყნის წინაშე აქვს.

რუსუდან კერვალიშვილი პატრიარქის მოწოდებაზეც საუბრობს და განმარტავს, რომ უწმინდესის მოწოდება — ეს იყო სიბრძნის, შორსმჭვრეტელობის, სიკეთისა და სიფრთხილისკენ გაკეთებული მოწოდება.

— აუცილებელია, ეს მოწოდება გავიზიაროთ. თუ რაიმე უხერხულობა შეიქმნება, რომ კანონი განსაკუთრებული სიჩქარით იყო მიღებული, თქვენ იცით, რომ პარლამენტის საგაზაფხულო სესია დასრულებულია და კანონი რიგგარეშე სხდომაზე იქნა მიღებული. ეს იყო ვალდებულება საერთაშორისო თანამეგობრობის წინაშე და გაერო-ს შესაბამისი რეზოლუციებით იყო განპირობებული. მისი უწმინდესობა ამ ვითარებას სრული გაგებით მოეკიდა და, დარწმუნებული ვარ, შემდეგი კონსულტაციები ყველა გაუგებრობას დაარეგულირებს, რაც კი შეიძლება არსებობდეს, — აღნიშნა კერვალიშვილმა.

პარლამენტის ვიცე-სპიკერი დარწმუნებულია, არც ერთი დეპუტატი იმ გადაწყვეტილებას არ მიიღებდა, რომელსაც შეიძლება ზიანი მოეტანა საქართველოს ეკლესიისა და სახელმწიფოსთვის.

— პატრიარქის პოზიცია, როგორც ყოველთვის, სიყვარულითა და სიმშვიდით სავსეა. უწმინდესი უფრო მეტად დაფიქრებულია და თითოეულ ჩვენგანს სიფრთხილისა და დაფიქრებისკენ მოგვიწოდებს, — აღნიშნა კერვალიშვილმა.

# საკონსტიტუციო სასამართლოს წევრად თამაზ ცაბუტაშვილი დაინიშნა

ნანა მიშელაშვილი

თამაზ ცაბუტაშვილი კახეთის საოლქო პროკურორი 2004 წლიდან იყო.

მანამდე ცაბუტაშვილი 2003-2004 წლებში მუშაობდა საქართველოს გენერალურ პროკურატურაში, შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებში მოკვლევისა და ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის კანონიერებაზე ზედამხედველობის სამმართველოს, შსს ორგანოებში კორუფციის, ნარკოდანაშაულისა და ადმინისტრაციულ პოლიციაში მოკვლევის კანონიერებაზე ზედამხედველობის განყოფილების პროკურორად.

სანამ პრეზიდენტი ცაბუტაშვილის კანდიდატურას წარადგენდა, ვრცელდებოდა ხმები, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლედ ვიცე-სპიკერ პაატა დავითაიას კანდიდატურის წარდგენა იგეგმებოდა, თუმცა, ეს ინფორმაცია არ გამართლდა. დავითაია პარლამენტიდან ჯერ არსად წასვლას არ გეგმავს.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო 9 მოსამართლისგან შედგება. სამ წევრს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი, სამ წევრს ირჩევს პარლამენტი და სამ წევრს ნიშნავს უზენაესი სასამართლო.

ცაბუტაშვილმა პრეზიდენტის კვოტით დანიშნული ჯონი ხეცურიანი შეცვალა, რომელსაც უფლებამოსილება მიმდინარე წლის 6 ივლისს ამოეწურა.

საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის უფლებამოსილების ვადა 10 წელია.

# 100 ჟურნალისტი დაკავებული ფოტოგრაფების გათავისუფლებას ითხოვს

**ჯაშუშობის ბრალდებით დაკავებული ფოტორეპორტიორების გია აბდალაძისა და ზურაბ ქურციკიძის გათავისუფლების თხოვნით ჟურნალისტებმა ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს მიმართეს.**

ნათია ხურცილავა

გუშინ ჟურნალისტებმა ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოში „ალია ჰოლდინგის“ მიერ ინიცირებული განცხადება შეიტანეს, სადაც ფოტორეპორტიორების თავდებით განთავისუფლების თხოვნაზეა საუბარი. განცხადებას ხელს 100-მდე ჟურნალისტი აწერს.

ქმედებას, არამედ პროფესიულ საქმიანობას უკავშირდება. ჩვენ გვაქვს ეჭვი, რომ ეს არის ხელისუფლების მაღალჩინოსნების მხრიდან განხორციელებული პირადი ანგარიშსწორება. ჩვენ გვაქვს ბევრი კითხვა, რომელზეც პასუხს ვერ ვიღებთ და მხოლოდ თქვენი დახმარების იმედი დაგვრჩა. მხოლოდ თქვენი ჩარევის შემთხვევაში შეიძლება ამ საქმეს მოეხსნას საიდუმლო გრიფი და დაკავე-



ჟურნალისტების ნაწილმა კი დოკუმენტში დააფიქსირა, რომ ისინი ირაკლი გედენიძის თავდებით გათავისუფლებასაც ითხოვენ. „ალია ჰოლდინგის“ განცხადება მხოლოდ აბდალაძესა და ქურციკიძეს ეხება, იმ მოტივით, რომ გედენიძემ აღიარებითი ჩვენება მისცა.

ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოსადმი გაგზავნილ განცხადებაში ნათქვამია:

— ქალბატონებო და ბატონებო, თქვენ ბრძანდებით დემოკრატიული ქვეყნების წარმომადგენლები და იწონებთ საქართველოს დემოკრატიულ კურსს. თქვენთვის უკვე ცნობილია, რომ ჯაშუშობის ბრალდებით დააკავეს ქართველი ფოტორეპორტიორები და აღნიშნულ საქმეს გრიფით საიდუმლო დაედო. ჩვენთვის აბსოლუტურად ბუნდოვანია, კონკრეტულად რა სახის ინფორმაციის და რომელი ქვეყნის სპეცსამსახურისთვის ინფორმაციის გადაცემაში ადანაშაულებენ. ის მასალები, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოაქვეყნა, არა თუ პასუხს სცემს კითხვებს, არამედ უფრო მეტ კითხვას სვამს. დაკავებული ფოტორეპორტიორები თანამშრომლობდნენ ამერიკულ და ევროპულ სააგენტოებთან და პროფესიულ მოვალეობას ასრულებდნენ. ერთ-ერთი დაკავებული გიორგი აბდალაძე, რომელსაც მე-5 დღეა მშრალი შიმშილობა აქვს გამოცხადებული, „ასოშეიტედ პრესის“ სტრინგერია, ხოლო მეორე — ევროპის პრესფოტოს სააგენტოს ფოტორეპორტიორია საქართველოში, — ნათქვამია განცხადებაში.

ასევე განცხადებაში საუბარია ჟურნალისტების დამოკიდებულებაზე.

— ჩვენ გვაქვს საფუძვლიანი ეჭვი, რომ ეს არის საქართველოს ხელისუფლების მხრიდან განხორციელებული ზეწოლა ქართულ მედიაზე და ფოტორეპორტიორების დაკავება არა მათ დანაშაულებრივ

ბულები პატიმრობიდან განთავისუფლდნენ. ყველა ხელმომწერი არასამთავრობო ორგანიზაცია და მედიასაშუალება თავდებით ვუდგებით დაკავებულებს. ისინი ითანამშრომლებენ გამოძიებასთან. მოგმართავთ თხოვნით, დროულად ჩაერიოთ და მოახდინოთ სათანადო რეაგირება, — აღნიშნულია ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოსადმი გაგზავნილ განცხადებაში.

აღნიშნული განცხადება ასევე დაეგზავნათ სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებსა და საელჩოებსაც.

გია აბდალაძემ მიმართვა გაუგზავნა ამერიკის შეერთებული შტატების ელჩს საქართველოში ჯონ ბასს და საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს.

გია აბდალაძე და ზურაბ ქურციკიძე თავს დამნაშავეებად არ ცნობენ.

გუშინ გამართულ აქციაზე ჟურნალისტები შინაგან საქმეთა მინისტრთან, ვანო მერაბიშვილთან ითხოვენ შეხვედრას. თუმცა, მათთვის ცნობილი გახდა, რომ ვანო მერაბიშვილი საქართველოში არ იმყოფება.

ჟურნალისტებმა ფოტორეპორტიორების მხარდამჭერი აქცია ბათუმშიც გამართეს.

ზურაბ ქურციკიძის ადვოკატის ნინო ანდრიაშვილის ინფორმაციით, ქურციკიძემ შესაძლოა, უახლოეს დღეებში კონკრეტული პირებისადმი წერილობითი მიმართვა გაავრცელოს. კონკრეტულად ვის მიმართავს ქურციკიძე, ადვოკატს არ დაუკონკრეტებია და აღნიშნა, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფი საკუთარ უდანაშაულობაზე კიდევ ერთხელ ისაუბრებს.

„ჟურნალისტების ეთიკის ქარტიის“ საბჭოს თავმჯდომარემ ზვიად ქორიძემ ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, რომ ფოტორეპორტიორების მხარდამჭერი აქცია, რომელიც პარლამენტთან გაიმართება, უფრო წარმომადგენლობითი იქნება.

# რუსეთის ჯაშუშები მერაბიშვილი და სააკაშვილი არიან

ნონა ცაბა ე

## ინტერვიუ გოგა ხაინდრავასთან

*— ბატონო გოგა, თქვენთვისაც ცნობილია, რომ პარლამენტის მიერ მიღებულმა კანონმა დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია ქართულ მართლმადიდებლურ საზოგადოებაში. როგორია თქვენი დამოკიდებულება ამასთან დაკავშირებით და, თქვენი აზრით, რატომ გადადგა ხელისუფლებამ ასეთი არაპოპულარული ნაბიჯი?*

— რომელი პოპულარული ნაბიჯი გადადგა ხელისუფლებამ?! ეს არის თავზეხელაღებული ავაზაკების ჯგუფი, ბოროტი ძალების მიერ მხარდაჭერილი, დაფინანსებული და წაქეზებული, სპობს და ანადგურებს ყველაფერს, რაზეც დგას, იდგა და მომავალში უნდა იდგეს ქართული სახელმწიფო, ეს არის ენა მამული და სარწმუნოება. მამული ააწიოკეს და დააჩანაკეს, შემდეგ ენას მიესივნენ და ფლეჩერები მიუსიეს ჩვენს შვილებს. ენასა და ეროვნებას ერჩოდნენ და ახლა ჩათვალეს, რომ დრო მოვიდა, მთავარ ციხესიმაგრეს შეუტიონ. ეს არის ქართული მართლმადიდებელი ეკლესია. მტერმა მშვენივრად იცის, სად ინახება ქართული მადლი და სიბრძნე. აგერ ორი დღის წინ ვაშინგტონელი ცეკას მდივანი გამოვიდა ტელევიზიით და ყველას განგვიცხადა, რომ ვაშინგტონი ძალიან კმაყოფილია, ეს გადაწყვეტილება რომ მიიღო საქართველოს ხელისუფლებამ. ბუნებრივია და აბსოლუტურად ნათელია, საიდან მოდის ეს ყველაფერი. ეს დიდი ხნის წინაც იყო ნათელი და ჩვენ ყველამ კარგად ვიცით, უამრავი წიგნია ამ თემაზე დაწერილი. ამერიკელი იდეოლოგი დერჟინსკი თავის ცნობილ წიგნში ამბობდა, რომ ერთ-ერთი ძირითადი მტერი კომუნიზმი ჩვენ დავამარცხეთ და შემდეგი არის მართლმადიდებლობაო. თუ ვინმე დარჩა კიდევ ილუზიაში იმასთან დაკავშირებით, რას წარმოადგენს სააკაშვილი და მისი ავაზაკების ნაკრები საქართველოში, არა მგონია, თუ არადა პირადი კეთილდღეობით და გამორჩენის საბაბით ჩვენი ხელით ვანადგურებთ სამშობლოს, ჩვენს მომავალს. მე პირველ რიგში მინდა გავამახვილო ყურადღება იმ ადამიანებზე, უფრო სწორად, იმ არსებებზე, რომლებიც საქართველოს პარლამენტში არიან შეკრებილნი. მათ ხშირად ვხედავ ეკლესიებში, პატრიარქის გვერდზე, სხვადასხვა დღესასწაულზე ბავშვებთან ერთად მოდიან და თითქოსდა ლოცულობენ ეს ფარისევლები. ერთი მაინტერესებს, ნუთუ მთელი თავისი ისტორიით, წარსულით, მომავლით, შვილებით და შვილიშვილებით, მთელ საქართველოს ერთი მიშა სააკაშვილის ბღავილი ურჩევნიათ თუ როგორ არის მათი საქმე? ეს ეხება მკერვალიშვილებს, წერეთლებს, ბაქრაძეებს და დანარჩენებს. დღესასწაულზე რომ საკურთხეველთან ჩამწკრივებულები დგანან კურთხევის მისაღებად, იქნებ შეტრიალებულიყვნენ, ისედაც ღებულობენ სააკაშვილისგან ბნელ კურთხევას და იმ ბნელეთის საკურთხეველთან დარჩენილიყვნენ, რომელთანაც ახლა დგანან.

***— ბატონო გოგა, ქართველი საზოგადოება ამას მწვავედ აპროტესტებს. როგორ ფიქრობთ, ეს შედეგის მომტანი იქნება?***

— მე ვფიქრობ, რომ ჯერ 28 მაისს რაც მოხდა თბილისში და მერე გუშინ და გუშინწინ რაც ხდებოდა, ეს კიდევ იმედის ნაპერწკალს ტოვებს, რომ მთლად გონება არ დაბნელებია ქართველ ხალხს და თეთრისა და შავის გარჩევის უნარი ჰქონია. უბრალოდ, არ ვიცი, რატომ უნდა მიგვეყვანა საქმე იქამდე, როდესაც რეალურად მომაკვდინებელი დარტყმაა განხორციელებული საქართველოს სამოციქულო ეკლესიის წინააღმდეგ, იმიტომ რომ, ძალიან ცოტა დრო გავა და მალე დავრწმუნდებით, რა ფასს გადაიხდის ქართველი ხალხი იმაში, რასაც სააკაშვილის ნამოქმედარი ჰქვია. კონკრეტულად ეს კანონი უაღრესად მძიმე მდგომარეობაში ჩაგვაყენებს. მთავარია, რომ ბასი გამოვიდა, ახალი ცეკას მდივანი, ვაშინგტონელი და თქვა, რომ ეს კარგია. აი, ეს არის მთავარი. ამის მერე, ალბათ, გეგეჭკორიც მოგვისევს ხალხს, ასევე სპეცრაზმის ტანსაცმელში გამოწყობილი შარდგადასხმულებიც გამოვლენ და სისხლის გუბეებს დააყენებენ იმ ადამიანებისას, რომლებიც გუშინ აპროტესტებდნენ და ვინც მანიფესტაცია მოაწყო. კარგი, ჩვენ მტრები ვართ, გავყიდეთ საქართველო, მიშა იცავს ამ სამშობლოს, როგორც შეუძლია და ეს მანქურთებიც ეხმარებიან, 26 მაისს ვინც რუსთაველის გამზირზე არბევდა საკუთარ დედებს, მამებს, დებსა და ძმებს. ეკლესიის საქმე როგორ არის? მინდა ვკითხო გრიგალაშვილს, გეგეჭკორს, იმ სპეცრაზმის წევრებს, რეფორმირებული პოლიციის თანამშრომლებს, აქ როგორ არის საქმე, ქართული მართლმადიდებელი ეკლესიაც მოღალატეა და რუსეთის ჯაშუში და მიშაა ერთადერთი ხსნა და ხატი ქართული სახელმწიფოებრიობისა?! მიშასი ეშინიათ, ვანოსი ეშინიათ და უფლის არ ეშინიათ?! პატრიარქის სიტყვებს არ ისმენენ?! არ ესმით, რას უმზადებენ საკუთარ შვილებსა და შვილიშვილებს, შთამომავლობას?! ძალიან მაინტერესებს, იქნებ გეგეჭკორმა გაგვცეს ამაზე პასუხი.



***— პატრიარქს რაც შეეხება, თქვენთვისაც ცნობილია, რომ საკმაოდ მწვავე იყო მისი დამოკიდებულება ამ საკითხთან დაკავშირებით. მან პრეზიდენტს რამდენჯერმე მოუწოდა, არ აჩქარებულიყო, მომხდარიყო ამ საკითხის საჯარო განხილვა, თუმცა, სააკაშვილმა იგნორირება გაუკეთა მის თხოვნას. როგორ ფიქრობთ, ეს მიზანმიმართული დისკრედიტაციაა პატრიარქისა და საპატრიარქოსი?***

— ეს პატრიარქის დისკრედიტაცია არ არის. ეს არის ჩვენი ქვეყნის განადგურება და მიზანმიმართული ქმედება. პატრიარქის დისკრედიტაცია შეუძლებელია. როგორ შეიძლება, სააკაშვილმა პატრიარქის დისკრედიტაცია მოახდინოს. პატრიარქის დისკრედიტაცია შესაძლებელია მხოლოდ მკვდარ გულებში. თუ ქართველ ხალხს გული გაეყინა, მხოლოდ ამ შემთხვევაშია შესაძლებელი და ესეც დისკრედიტაცია არ იქნება. ეს იქნება უბედურება ყველა ჩვენგანის. როგორ შეიძლება, სააკაშვილმა, ჭიამ, პატრიარქის დისკრედიტაცია გააკეთოს. ეს არის, უბრალოდ, დავალების შესრულება, რომელშიც მილიარდებს იღებენ და ფულს არ იშურებენ ბნელი ძალები იმისთვის, რომ ერთხელ და სამუდამოდ დასამარდეს ყველაფერი ის, რაც მათთვის ძალიან დიდ საფრთხეს წარმოადგენს. იმიტომ რომ ეს გლობალიზმის იდეების განხორციელება ასე მარტივად არ ხდება. მაგას სჭირდება იმ ზღუდეების დაძლევა და ერთ-ერთი ზღუდე, მართლმადიდებლობა მსოფლიოში, ხოლო ერთ-ერთი ბურჯი მსოფლიოში მართლმადიდებლობისა ქართული სამოციქულო ეკლესიაა. ამიტომ, ის არის დასანგრევი, აღმოსაფხვრელია ქართველი ხალხის სულიდან და გულიდან სიყვარული, ერთგულება უფლისა და ყველაფერი ამისკენ არის მიმართული, იმიტომ არის სააკაშვილი ამდენი ხანი ხელისუფლების სათავეში, იმიტომ ეპატიება მას ყველა სიბინძურე და ყველა ბოროტება, რომელსაც ის სჩადის. ამიტომ ჰყავს ქომაგად გამოგზავნილი ეს ეშმაკის მოციქული ბასი, რომელიც ყველა მის გადაწყვეტილებასა და მოქმედებას ამართლებს და აქებს. მისი განცხადება ნათლად მეტყველებს, საიდან იყო მოსული განკარგულება მოსული ამ კანონის მიღებასთან დაკავშირებით. მე ის მაინტერესებს, ამ ვითომ პარლამენტს რომ ეძახიან, იქ რომ სხედან ის არსებები, იმათ რამე სინდისის, ნამუსის, ეროვნების, დედის ან შვილის სიყვარულის ნასახი თუ დარჩათ. იმათი ამბავი მაინტერესებს, თორემ, საიდან მოდის ეს ბრძანებები და ვინ ასრულებს მაგას, კარგად ვიცი. ან რისთვის არის სააკაშვილი საავაზაკო ძალაუფლებაში დატოვებული, ან რატომ კვებავენ ფულებით და მხარდაჭერით. ეს ყველაფერი ნათელია. მე იმათი უფრო მაინტერესებს.

***— გარიგება მოხდა სომხეთისა და საქართველოს ხელისუფლებას შორისო. რა დგას ამ გარიგების უკან?***

— ქართველებს არა, სომხებსა და სომხებს შორის მოხდა ეს გარიგება, იმიტომ რომ ამ შეთანხმების განსახორციელებლად გარეგინ II იყო ჩამოსული საქართველოში და ქართულმა ეკლესიამ თავისი პოზიცია განაცხადა. შემდეგ ის დაბრუნდა, ჩამოვიდა ნალბანდიანი და სომხებთან ერთად ჰპოვა გადაწყვეტილება საქართველოში. ახლა გამოცვივდებიან ვილაცები და იტყვიან, რომ მე ქსენოფობიურ განცხადებებს ვაკეთებ. არაფერი ქსენოფობიური ამაში არ არის. რა არის ამაში ქსენოფობიური, როდესაც კაცს თავის ეროვნებას ახსენებ და როდესაც ხედავ, რომ ამ ეროვნების წარმომადგენელი იმ ქვეყნის საქმეს აკეთებს და არა ამ ქვეყნის, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ. რა არის ამაში ქსენოფობიური? ქართველს რომ ქართველს დაუძახებ, ამაში ქსენოფობური არის რამე, ან რუსს რომ რუსს დაუძახებ და გერმანელს — გერმანელს? სომეხს რომ სომეხი დაუძახო, ამაში ქსენოფობიური რა არის, ვერ გავიგე. არანაირი გარიგება ქართველებსა და სომხებს შორის ამ საკითხზე არ მომხდარა და ვერც მოხდება ვერასოდეს. გარიგება მოხდა სომხებსა და სომხებს შორის და ეს ბრბოდ ქცეული მასა, პარლამენტში მჯდომი, ქართველებად რომ მიაჩნიათ თავი, ამას მხარი დაუჭირა იმიტომ, რომ ათას ლარს დაკარგავდნენ და ათ ხინკალს ვერ შეჭამდნენ ან ხუთ ქაბაბს.

***— სადამდე მიგვიყვანს ეს ყველაფერი და თუ ხედავთ გამოსავალს?***

— ეს გამოიწვევს ამ ქვეყნის დანგრევას, გაჩანაკებასა და გაუბედურებას, რასაც იწვევს უკვე და რაც ჩანს. საქართველო ქრება და გაქრა უკვე პოლიტიკური რუკიდან, გეოგრაფიული რუკიდანაც გაქრება მალე. აი, აქამდე მივა ქართველი ხალხი, დროულად თუ არ მოვა აზრზე და კომბლებს ხელში არ აიღებს, იმიტომ რომ, სხვანაირად ამ ეშმაკებს ჩვენ აქედან ვერაფრით გავყრით. კომბლები ხელში!

***— მართლმადიდებლობა ისეთი თემაა, რომ ალბათ არავინ უნდა დარჩეს გულგრილი...***

— ვნახოთ, პარასკევი და ხვალეო. შევხედოთ, რა იქნება. ერთი დღე გამოვარდნა ქართველებმა მაგრად ვიცით და მერე კიდევ შემოტრიალება და იმის თქმა, ხომ გამოვედით, არაფერი შეიცვალა და რაღა აზრი აქვს, რამდენჯერ გამოვიდეთო. ეს კარგად აქვს უკვე ამ საზოგადოებას დამუღამებული. ხომ გამოვიდნენ კვირას და მთელ მსოფლიოს დაანახვეს, რომ აპროტესტებენ. ვნახოთ, ხვალ და ზეგ როგორ იქნება. ბერძნები და სირიელები კი ყოველდღე გამოდიან ქუჩაში. ათობით და ასობით ხოცავენ, მაგრამ მაინც გამოდიან ქუჩაში თავიანთი მიზნის მისაღწევად და არ ეპუებიან და არ ეგუებიან იმ უსამართლობასა და აღვირახსნილობას, რასაც მათი ქვეყნის ძალაუფლება წარმოადგენს. აბსოლუტურად ყოველდღე გამოდიან, თავს დებენ, სიცოცხლეს დებენ, მაგრამ იბრძვიან. ჩვენთან ხომ გამოვიდნენ გუშინ და გუშინწინ და ვნახოთ ახლა როგორ იქნება. რაღა დროის მართლმადიდებლობაა, მიშა ხომ მაგარია ძალიან, ეგ არის, რა. რად უნდათ მართლმადიდებლობის დაცვა, აგერ, მიშა არის, აგერ არის გეგეჭკორი, აგერ არის სპეცრაზმი, აგერ არიან მერაბიშვილი და ბეჟუაშვილები, გილაურები, ნალბანდიანები, ასე არ ჯობია? რელიგიის დაცვას ამათთან ერთად ფულის შოვნა არ სჯობია და აბა, წინ, ქართველებო!

***— რაც შეეხება მეორე თემას, თქვენთვისაც ცნობილია, რომ სამ ფოტორეპორტიორს სასამართლომ ჯაშუშობის მუხლით წინასწარი პატიმრობა***

გაგრძელება მე-5 გვერდზე

# მე არ ვიცი, ჩადიოდა თუ არა აბდალაძე დანაშაულს

ნათია ხურცილავა

მიუწვდებოდა თუ არა ხელი რაიმე სახის ინფორმაციაზე გიორგი აბდალაძეს, როგორც სამინისტროს თანამშრომელს, ეს იყო ის კითხვა, რომელიც აინტერესებდათ ჟურნალისტებს.

კალანდაძის განცხადებით, საგარეო უწყების ნებისმიერ თანამშრომელს კონფიდენციალურ ინფორმაციაზე ხელი მიუწვდება.

— საგარეო უწყების სპეციფიკიდან გამომდინარე, ნებისმიერ თანამშრომელს, რომელიც ამ უწყების თანამშრომელია, გარკვეულ სენსიტიურ ინფორმაციაზე მიუწვდება ხელი. რეალურად აქვს ყოველდღიური შეხება, დეპარტამენტის მუშაობის მსვლელობის პროცესში მიღებული ინფორმაცია თუ არის ეს, მიზანმიმართულად მოპოვებული ინფორმაციაა, — აღნიშნა მინისტრის მოადგილემ.

ტრადიციულ ბრიფინგზე ნინო კალანდაძემ განმარტებები გააკეთა საგარეო საქმეთა სამინისტროს ფოტორეპორტიორ გია აბდალაძესთან დაკავშირებით.

კალანდაძის თქმით, საგარეო საქმეთა სამინისტრო არ ფლობს ინფორმაციას, მის შესახებ ჩადიოდა თუ არა რაიმე დანაშაულს აბდალაძე.

— გია აბდალაძე რაიმე სახის დანაშაულს ჩადიოდა თუ არა, ამის თაობაზე ინფორმაციას არ ვფლობთ და მისი ბრალეულობის საკითხს სასამართლო დაადგენს, — განაცხადა კალანდაძემ.

ნინო კალანდაძემ იმ შეზღუდვებზე ისაუბრა, რომელიც მოქმედებს საჯარო მოხელის მიმართ.

მისივე თქმით, აბდალაძე იყო საჯარო მოხელე და არც ერთ საჯარო მოხელეს არ აქვს უფლება, განახორციელოს სხვა საქმიანობა, გარდა სამეცნიერო პედაგოგიური და შემოქმედებითი საქმიანობისა.

— ეს შეზღუდვა ვრცელდება ყველა სახელმწიფო მოხელეზე. იმ

**საგარეო საქმეთა სამინისტროში ტრადიციული პრესკონფერენცია გაიმართა. ნინო კალანდაძემ გასული კვირის მოვლენები შეაჯამა და სამინისტროს სამომავლო გეგმებზე ისაუბრა. საგარეო საქმეთა სამინისტროში შეკრებილი ჟურნალისტების მთავარი კითხვები საგარეო საქმეთა სამინისტროს ფოტოგრაფ გია აბდალაძეს უკავშირდებოდა.**

შემთხვევაში, თუ პირი არღვევს შეთანხმებას, ეს არის კონკრეტულად მისი პირადი პასუხისმგებლობის საკითხი და არა იმ უწყებებისა, სადაც ის არის დასაქმებული, — აღნიშნა კალანდაძემ.

მისივე თქმით, აბდალაძე არ იყო საგარეო საქმეთა სამინისტროს შტატიანი თანამშრომელი, ის უწყებაში ხელშეკრულებით მუშაობდა. თუმცა, ითვლებოდა საგარეო უწყების სრულფასოვან თანამშრომლად.

— ის იყო ხელშეკრულებით აყვანილი თანამშრომელი, რომელიც მიუხედავად ამისა, სახელმწიფო მოხელა და ითვლება საგარეო საქმეთა სამინისტროს სრულფასოვან თანამშრომლად. კიდევ ერთხელ ვამბობ, ნებისმიერ თანამშრომელს, რომელიც ამ უწყებაში გადაადგილდება, აქვს ყოველდღიური შეხება როგორც დიპლომატებთან, ისე ინფორმაციასთან, რომელიც საგარეო უწყებაში, ჩვენს ოთახებში თუ ტექნიკურ მოწყობილობებში მოიპოვება. ნებისმიერ ადამიანს აქვს ვალდებულება, დაიცვას კონფიდენციალურობა, — აღნიშნა საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ.

შეკითხვაზე, როგორ დაახასიათებდა იგი აბდალაძეს, კალანდაძემ



აღნიშნა, რომ მას გაუჭირდება ფოტორეპორტიორის პიროვნული დახასიათება, რადგან მასთან პირადად შეხება არ ჰქონია.

საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე აცხადებს, რომ გიორგი აბდალაძეს, როგორც საჯარო მოხელეს, არ ჰქონდა უფლება გაევრცელებინა ის ფოტომასალა, რომელსაც ის საგარეო საქმეთა სამინისტროში მოიპოვებდა.

— საჯარო მოხელეებს კონკრეტული ვალდებულებები გააჩნიათ იმ მასალების განკარგვასთან დაკავშირებით, რომელსაც ისინი ფლობენ. საჯარო მოხელეს ფოტოს მესამე პირზე გაყიდვის უფლება აქვს მხოლოდ შესაბამისი უწყების თანხმობის შემთხვევაში. მას არ ჰქონდა უფლება, გაეყიდა ფოტო მესამე სააგენტოზე. აბდალაძის მიერ გავრცელებული ფოტო იყო საგარეო უწყების დაკვეთა, არ იყო მისი პირადი საკუთრება და ამ ფოტომასალის განკარგვის უფლება მხოლოდ საგარეო უწყებას ჰქონდა, — განაცხადა ნინო კალანდაძემ.

შეკითხვაზე, შეიძლება თუ არა აბდალაძის საქმიანობას მიეცეს ჯაშუშობის კვალიფიკაცია, კალანდაძემ უპასუხა, რომ გაუჭირდება ამ თემაზე საუბარი, რადგან საკითხის სამართლებრივი შეფასების უფლება არ გააჩნია.

კიდევ ერთი საკითხი, რაზეც ნინო კალანდაძემ ტრადიციულ პრესკონფერენციაზე ისაუბრა, რუსეთ-საქართველოს მორიგი შეხვედრა იყო.

კალანდაძის განცხადებით, წინა მოლაპარაკებები შვეიცარიის ინიციატივით, ტექნიკური მიზეზების გამო გადაიდო.

შეხვედრა ჟენევაში გაიმართა. კონსულტაცია მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში რუსეთის გაწევრიანების შესახებ შედგა.

საგარეო საქმეთა სამინისტროში აცხადებენ, რომ კონსულტაციის ერთ-ერთი მთავარი შედეგი არის ის, რომ მხარეები მოლაპარაკების მორიგ რაუნდზე შეთანხმდნენ, რომელიც თვის ბოლოს უნდა შედგეს.

ჟენევაში გამართულ შეხვედრას ქართული მხრიდან თამარ კოვზირიძე და სერგი კაპანაძე წარმოადგენდნენ, რუსულ მხარეს კი მაქსიმ მედვედკოვი.

ნინო კალანდაძე აცხადებს, რომ შეთანხმება, რომელიც მიღწეულია (მოლაპარაკება შემდეგ რაუნდზე), შეიძლება მივიჩნიოთ მოლაპარაკების გარკვეულ შედეგად.

— ამჯერად მხარეებს მოლაპარაკების მაგიდასთან ჩართული ჰყავდათ საბაჟო ექსპერტებიც. მოლაპარაკება შედგა, რამდენადაც მხარეები შეთანხმდნენ, რომ თვის ბოლოს გაგრძელდება მოლაპარაკებების შემდეგი რაუნდი, — განაცხადა კალანდაძემ.

კიდევ ერთი საკითხი, რაზეც საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ისაუბრა, საქართველოში არსებულ კონფესიებს და მათ სტატუსს შეეხება.

კალანდაძე აცხადებს, რომ რელიგიური კონფესიების შესახებ კანონი სომხეთსა და საქართველოს შორის გაურკვევლობას არ გამოიწვევს.

ამის შესახებ ინფორმაცია, როგორც აღვნიშნეთ, კალანდაძემ გააკეთა. მისი თქმით, ქართველებსა და სომხებს შორის ტრადიციულად კარგი ურთიერთობები არსებობდა და გასაკვირი იქნება, თუ ამ კანონს ქვეყნებს შორის რაიმე სახის დაპირისპირება მოყვება.

— ქართველებსა და სომხებს შორის ტრადიციულად კარგი ურთიერთობები არსებობს და ეს ურთიერთობები დღითიდღე უმჯობესდება. რაც შეეხება კონკრეტულად ამ კანონს, სომხური ეკლესია დაინტერესებული იყო ამ კანონის მიღებით და გამიკვირდება, რომ ამას რაიმე სახის დაპირისპირება მოყვეს, — განაცხადა ნინო კალანდაძემ.

საგარეო საქმეთა სამინისტრომ მომდევნო კვირის საერთაშორისო დონის ვიზიტების განცხადებაც გააკეთა:

14-15 ივლისს საქართველოში უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრი ჩამოვა. ასევე ცნობილი გახდა, რომ ბრიუსელში საქართველო-ევროკავშირის მოლაპარაკებების მე-6 სესია შედგა.

# რუსეთის ჯაშუშები მერაბიშვილი და სააკაშვილი არიან

დასაწყისი მე-4 გვერდზე

***შეუვარდა. დღეს გია აბდალაძის წერილი გავრცელდა. იგი მიიჩნევს, რომ 26 მაისის ამსახველ კადრებს შეეწირა. თქვენ რას ფიქრობთ ამ ყველაფერთან დაკავშირებით, ეს მართლაც ანგარიშსწორება იყო?***

— მთავარი ჯაშუშები არიან მერაბიშვილი, სააკაშვილი, ბეჟუაშვილი, ბოკერია, რამიშვილი და ადეიშვილი, ასევე ბენდუქიძე. აბდალაძე რა ჯაშუშია. მე ძალიან კარგად ვიცნობ მას და ასეთი წესიერი და პატიოსანი კაცი ცოტა თუ მინახავს ამ ქვეყანაზე. მთელი ჩვენი საზოგადოება ფეხზე უნდა იდგეს, იმიტომ რომ გიორგი კვდება. მას მშრალი შიმშილობა აქვს გამოცხადებული. მე მაქვს თავად მშრალი შიმშილობა 6 დღე ჩატარებული გია ჭანტურიასთან ერთად უშიშროების ციხეში და მშვენივრად ვიცი, რას ნიშნავს ეს. რამდენიმე დღეღა დარჩა მას. მაინცდამაინც უნდა მოკვდეს ვიღაცა საქართველოში, რომ ქართველები გონს მოვიდნენ?! ეს ყველაფერი გამიზნულია იმისთვის, რომ გადაეფარათ ეს მთავარი თემა, რაც ეხება ეკლესიას. ქართულ პარტიაში ასი კაცის შევარდნაც სწორედ ამით იყო განპირობებული. ზუსტად იმ საღამოს მიიღეს კანონი. იმ დღეს შევარდა ასი პოლიციელი ქართულ პარტიაში. ვის ეძებდნენ, რას ეძებდნენ, რა უნდოდათ იქ, ვერავინ ვერაფერი გაიგო, მაგრამ ხმაური ხომ იყო, ყურადღება ხომ გადაიტანეს. მეორე დღეს ფოტორეპორტიორები დაიჭირეს, ახლა ამაზე გადაიტანეს ყურადღება. ახლა კიდევ ახალ რამეს გამოაცხობენ. ჩვენ ძალიან ვერაგ მტერთან გვაქვს საქმე. აისბერგის თავია სააკაშვილი, ბოკერია და დანარჩენი ნაძირლები, თორემ მაგათ რისი თავი აქვთ, დანარჩენი ყველაფერი წყლით არის დაფარული. როგორ შეიძლება, საზოგადოება შეეგუოს იმას, რაც ხდება! ეწირებიან უდანაშაულო, წესიერი და პატიოსანი ადამიანები. მძევლებად ჰყავთ მთელი საქართველო ქცეული. ნათია გამოუშვეს და მის ქმარს რაღაცა დააწერინეს, ვითომდა აღიარებითი ჩვენება. საერთოდ, რომელ ცივილიზებულ ქვეყანაში იღებენ თვითაღიარებას დამამტკიცებელ საბუთად? არც ერთში. მხოლოდ ჩვენთვის არის საკმარისი, ვანო მერაბიშვილის ტელევიზია გამოაცხობს რაღაცას, ეს ნაძირლები ესენი.

# თბილისისა და ერევნის დაპირისპირება რუსეთის ინტერესებში შედის

ქეთი ხომერიკი

## ინტერვიუ ექსპერტ სოსო ცინცაძესთან

***— პარლამენტის მიერ მიღებულმა კანონმა საპატრიარქოსა და მართლმადიდებელი მრევლის უკმაყოფილება გამოიწვია. თქვენი აზრით, რატომ გადადგა მმართველმა გუნდმა ასეთი ნაბიჯი, ბატონო სოსო?***

— ვფიქრობ, რომ ეს კანონი იმ სახით, როგორითაც მიიღეს, არანაირ საფრთხეს არ წარმოადგენს. იცით, აქ აბსოლუტურად ყველა ერიდება მთავარ მიზეზზე საუბარს. დიახ, ყველა ერიდება საუბარს იმაზე, თუ რამ გამოიწვია ეს აჟიოტაჟი. აჟიოტაჟი გამოიწვია, არც მეტი, არც ნაკლები, სომხეთის ეკლესიისა და პრესის განცხადებებმა. მთელი ეს ვაი-უშველებელი მას შემდეგ დაიწყო, რაც გარეგინი დაბრუნდა სომხეთში, ანუ მაშინ, როცა ქართულმა ეკლესიამ სრულიად დასაბუთებულად უარი უთხრა მას ექვსი ეკლესიის გადაცემაზე. საერთოდაც, არც არის დამტკიცებული, ეს ეკლესიები ნამდვილად იყო სომხური თუ არა და ქართული ეკლესია სწორედ იმას მოითხოვდა, რომ კომისია შემდგარიყო და ამ ეკლესიების წარმომავლობა შესწავლილიყო. საერთოდაც, ვინც არ ადევნებს თვალყურს სომხურ პრესას, ის არ შეიძლება, რომ აქ სრულად ფლობდეს სიტუაციას. იგივე სომხურ პრესაში გარეგინის დაბრუნების შემდეგ უკმაყოფილება კი არა, ერთი ამბავი იყო ატეხილი. მე დავითვალე, 63 საზიზღარი, ანტიქართული სტატია იყო დაწერილი. ჩვენი პატრიარქის შეურაცხმყოფელი განცხადებებიც კი იყო პოლიტიკოსების, პოლიტოლოგებისა და ეკლესიის წარმომადგენლების მხრიდან. ქართულ ეკლესიას ლამის ქურდობას სდებდნენ ბრალად — აი, ქართული ეკლესია 6 ეკლესიას პარავს სომხებსო. ასეთი რაღაცები ეწერა და ეს უკმაყოფილებაც სწორედ ამან გამოიწვია. ვინც სომხურ პრესას ადევნებს თვალყურს, დაინახავს, რომ ძალიან არაკეთილმეზობლურად გვექცევიან ჩვენი მეზობელი სომხები.

***— თუნდაც ამ ფონზე რამდენად გამართლებულია მსგავსი კანონის მიღება, თანაც დაჩქარებული წესით, ბატონო სოსო?***

— იცით, მე ჩახედული ვარ და გეტყვით, რაშია საქმე. დღეს ძალიან ნაყოფიერად და ანტიქართულ ჭრილში მუშაობს სომხური დიასპორა და ლობი ევროსტრუქტურებში, ეუთოში და განსაკუთრებით ევროკავშირში. თქვენ შეიძლება არ გახსოვთ, მაგრამ 90-იანი წლების დასაწყისში სომხურმა ლობიმ მიაღწია იმას, რომ ევროკავშირში დაიბადა კანონპროექტი ეროვნული უმცირესობებისათვის ადმინისტრაციული პოლიტიკური უფლებების გაფართოებისა. მაშინ ეს კანონპროექტი უკვე კანონად უნდა ქცეულიყო და აი მერე გენახათ თქვენ სომხეთის ამბავი ჯავახეთთან დაკავშირებით. მაშინ გადავრჩით. ვენეციის კომისიამ გადაგვარჩინა. ვენეციის კომისიის დასკვნა იყო კატეგორიული და ამბობდა, რომ ევროკავშირს არა აქვს უფლება, ჩაერიოს სუვერენულ სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში. აი, ეს იყო და ჩაკვდა კიდეც ეს კანონპროექტი. დღეს უკვე თუ გვინდა ევროკავშირის წევრობა და ევროსტრუქტურებთან ურთიერთობა, მაშინ, იმ თამაშის წესებს, რომლებსაც ისინი კატეგორიულად გვთხოვენ, იმას, რომ თანაბარი უფლებები გვქონდეს და დისკრიმინაცია არ იყოს არავისი, ნებისმიერი ხელისუფლება უნდა დაემორჩილოს. ჩვენ სხვა გზა არა გვაქვს.

***— ეგ კი, მაგრამ ხელისუფლებამ პატრიარქის თხოვნაც კი არ გაითვალისწინა, არადა, რას ითხოვდა ისეთს საპატრიარქო — არ აჩქარდეთო...***

— უნდა გამართულიყო თუ არა დიალოგი და არ აჩქარებულიყვნენ თუ არა, ეს უკვე სახელისუფლებო სამზარეულოა და რა მოტივაცია ჰქონდა ხელისუფლებას, ჩემთვის არ არის ცნობილი. მე პროფესიონალი მეცნიერი ვარ. თუ დოკუმენტი არა მაქვს და რაღაც ფაქტს, ინფორმაციას არ ვფლობ, კომენტარს ვერ გავაკეთებ. ზერელე, ინფორმაციის გარეშე განცხადებების კეთება პოლიტიკოსების საქმეა. ამიტომ, ვერ გეტყვით, რატომ მოხდა ასე.

***— რამდენად დასაშვებია, რომ აქ რუსულ ინტერესებს ჰქონდეს ადგილი?***

— რუსული ინტერესები დევს იმაში, რომ ქართულ-სომხური ურთიერთობა დაიძაბოს და, საერთოდ, ამიერკავკასიაში არ შედგეს ამ სამი ხალხის — ქართველების, აზერბაიჯანელებისა და სომხების ერთიანი ფრონტი. დღეს ეს ერთიანი ფრონტი შეიძლება იყოს ნეიტრალური რუსეთისადმი, თუმცა, რუსეთი არ იქნება ნეიტრალური, მაგრამ, თუ მოხდა ბაქოთბილისი-სომხეთის კავშირი ნებისმიერი სახით ეს, რასაკვირველია, გაალიზიანებს რუსეთს. გუშინ ერთ-ერთ გადაცემას ვუყურებდი და ირაკლი კაკაბაძის და ისეთი გაკაპასებული იყო და იქამდე მივიდა, რომ პატრიარქის პიროვნებასაც კი შეეხო. ელემენტარული ზრდილობა და თავაზიანობა მოითხოვს მეტ თავშეკავებულობას. ვიმეორებ, რუსული ინტერესი ყველგან არის, კერძოდ, იქ, სადაც, აი, მოდით, ასე ვთქვათ, რაც კი საქართველოში გამოიწვევს ვნებათაღელვას და



გაგრძელება მე-6 გვერდზე

თქვენი ზარით შეეწიეთ
ბებნისის დედათა მონასტრის
მშენებლობას
მაგთის, ჯეოსელის,
ბილაინის აბონენტებმა
დარეკეთ ნომერზე
700 605
ღმერთმა შეგიწიროთ!
ზარის ღირებულებაა 1 ლარი

შედით საიტზე atb.ge



# თბილისისა და ერევნის დაპირისპირება რუსეთის ინტერესებში შედის

დასაწყისი მე-5 გვერდზე

საზოგადოებაში რაღაც ახალი ბზარების გაჩენას, ეს არის რუსეთისთვის ბროლის ოცნება.

***— ითქვა ისიც, რომ სააკაშვილმა ამ გადაწყვეტილებით რუსეთს, ასე ვთქვათ, აამა...***

— არა, რუსეთს არ აამა. აი, აქ ზომიერება უნდა დაიცვას ყველამ, ვინც ამას ამბობს. მაშინ სააკაშვილი კამიკაძე ყოფილა, ანუ ქვეყანაში რაც შეიძლება მეტი დაძაბულობა იყოს და რუსეთს ამით აამებს ყველაზე მეტად. მაშინ სააკაშვილი თვითმკვლელი ყოფილა, იმიტომ რომ რუსეთს რითი გაახარებ ყველაზე მეტად? რა თქმა უნდა, დესტაბილიზაციით. მას უნდა, რომ საქართველოში იყოს დესტაბილიზაცია და ამაზე დიდ საჩუქარს რუსეთს ვერ მიუტან. ეს, რასაკვირველია, სააკაშვილს არ სურს. დღეს მეტი სიმშვიდეა საჭირო. ისევ კანონს დავუბრუნდები. თვითონ კანონი საფრთხედ შეიძლება იქცეს მხოლოდ მაშინ, თუ მას მოჰყვება ქონებრივი პრეტენზიები.

***— ამბობენ, შემდეგი ნაბიჯი სომხური მხარისთვის ეკლესიების გადაცემა იქნებაო...***

— ვერ მოითხოვენ, რადგან, როგორც იურისტებმა მითხრეს, აქ წერია, რომ საჯარო იურიდიული პირები კი არიან, მაგრამ იქვე ამის გარანტიაც არის ჩადებული კანონში. ნეიტრალურ, არც ხელისუფლების და არც ოპოზიციის მომხრე იურისტებს ვკითხე და მათ მითხრეს, რომ ეს კანონი ისეა დაწერილი, რომ ქეც მისცეს და არც მისცესო. ერთი მუხლი აძლევს, შემდეგი მუხლი — არა, ანუ აბათილებს ამასო. ამ კანონით სომხური ეკლესია ქონებას ვერ მოითხოვს, მაგრამ ის, რომ სომხური ეკლესია და საზოგადოება არ შეწყვეტს ამისათვის ინსუნიაციებს, ეს წინასწარვე შემიძლია გითხრათ, რამდენადაც ვიცი სომხური მედიისა და საზოგადოების ერთი ნაწილის განწყობა და ეს უკვე ცხადია. მეტი რა გინდათ, სომხური ლობი რუსეთის დუმაში პირდაპირ მოითხოვს შავ ზღვამდე, ვთქვათ, კორიდორის გაჭრას, როგორ, თანაც, იცით? ისე, რომ ეს იყოს სომხეთის საკუთრება.

***— სომხეთის პატრიარქის პრესსამსახურის ხელმძღვანელმაც განაცხადა, რომ შემდეგი ნაბიჯი ეკლესიების გადაცემა იქნება და ამას გამორიცხავთ, ბატონო სოსო?***

— ეგრე ისინი ბევრ რამეზე საუბრობენ, მაგრამ აქ უკვე ეს დამოკიდებული იქნება იმ კანონზე, რომელიც მივიღეთ და ამ კანონში, როგორც მითხრეს, ეს არ შეეძლებათ მათ. ჩემი აზრით, ევროკავშირი ამ კანონით უკვე კმაყოფილია, თუმცა, ვიმეორებ, სომხები დამატებით პრეტენზიებს წამოგვიყენებენ. მადა ჭამაში მოდისო, ხომ იცით. აქვე იმასაც გავიხსენებ, რომ ცნობილმა მილიარდერმა, ნავთობმრეწველმა მამა გულბეკიანმა 20 წლის წინ სომხურად ათარგმნინა „ვეფხისტყაოსანი“, რომელსაც წინ ათგვერდიანი წინასიტყვაობა დაურთო, სადაც მტკიცდებოდა, რომ შოთა რუსთაველი სომეხი იყო და „ვეფხისტყაოსნის“ ორიგინალი სომხურად იყო დაწერილი. შემდეგ პარიზში გულბეკიანის ფონდმა გამოსცა ჩვენი კულტურის ძეგლები, სადაც დამტკიცებული იყო, რომ ეს ძეგლები სომხური იყო, მათ შორის, ჯვარიც. ასევე კონფერენციები ეწყობოდა ერევანსა და მოსკოვში, სადაც იყო დავა, რომ მხოლოდ ჯვარი კი არა, სვეტიცხოველიც კი სომხური წარმოშობის იყო. ნუ, იყო ახლა სომხური ექსპანსია თბილისში, მთელი სოლოლაკი სომხების აშენებულია, პირველი კაპიტალისტები იყვნენ სომხები აქ, მაგრამ, ეს უკვე ზედმეტია. თუკი რევოლუციას რამე კარგი მოჰყვა საქართველოში, ერთი ის იყო, რომ თბილისი გახდა ქართული ქალაქი, თორემ ეს იყო სომხური ქალაქი, არამიანციდან დაწყებული, ხუდადოვით დამთავრებული. ეკლესიების დარგში სომხეთს არავითარი საფრთხე არ ელის, რადგან არ ყოფილა სომხეთში ისეთი ტოლერანტობა კულტურისა, როგორიც ჩვენთან იყო. ჩვენთან იყო მართლმადიდებელი ეკლესია, მეჩეთი, ბაპტისტური თუ კათოლიკური და ამით ვტრაბახობდით, რომ ტოლერანტები ვართ, რამდენი რელიგიური კონფესია მშვიდობიანად ცხოვრობს საქართველოში და ა.შ. მაგრამ ახლა, როდესაც 21 საუკუნეა, უკვე ევროპას თავისი კანონები შემოაქვს, ჩვენ კი გვინდა, რომ ევროპის წევრი გავხდეთ და, მოგვწონს თუ არ მოგვწონს და მოჰყვება თუ არა რაღაც რისკები და საფრთხეები, ეს უნდა მივიღოთ, რადგან ამ საფრთხეების განეიტრალება ძალიან ადვილად შეიძლება.

***— თქვენი აზრით, რამდენად გაამწვავებს ეს ვითარებას, ბატონო სოსო?***

— დაძაბულობა შეიძლება ყველაფერმა გამოიწვიოს, თუ თვითონ საზოგადოება არ შეხვდება მზად. სხვათა შორის, დღეს, როცა ლაპარაკობენ, რომ 6-7 წელი მიდიოდა ამ საკითხზე დისკუსია, მე მაინტერესებს, სად მიდიოდა ეს დისკუსია. მოდით, მაშინ ის გავარკვიოთ, ვისი ბრალია, რომ დისკუსიები მიმდინარეობდა დახურულ სივრცეში. ხომ ამბობენ, რომ აქტიური დისკუსიები და აზრთა გაცვლა-გამოცვლა მიმდინარეობდა. 6 წელი 6 დღე ხომ არ არის. რატომ არ იყო აქ ცხოველი ინტერესი? გუშინ ბაპტისტთა წარმომადგენელმა ქალბატონმა ერთ-ერთ გადაცემაში განაცხადა, ეს ჟურნალისტების ბრალია, ეს თემა არ აინტერესებდათო.

***— ჟურნალისტებისთვის გადაბრალება პოლიტიკოსებსაც ახასიათებთ. აქვე ფოტორეპორტიორების დაკავებაზეც გკითხავთ, როგორ აფასებთ ამ ფაქტს? ითქვა, რომ ხელისუფლებამ უკვე ჟურნალისტების დაშინება დაიწყო...***

— დიახ, ყველაზე ადვილია. რაც შეეხება ამ საკითხს, იმავეს ვიტყვი ზეპირად — მე არაფრის არ მჯერა, თუმცა, არაფერს გამოვრიცხავ. აი, ითქვა, როგორ შეიძლება, ჟურნალისტი იყოს ჯაშუშიო. ჯაშუში შეიძლება იყოს ნებისმიერი პროფესიის ადამიანი, დაწყებული დამლაგებლით, დამთავრებული პრესსამსახურის ხელმძღვანელით. თეორიულად რომ მიუდგე, ყველა შეიძლება იყოს, მაგრამ, ნამდვილად იყვნენ თუ არა ჯაშუშები, ეს სხვა საკითხია. ამიტომ ჩვენ, აპრიორი, რომ რაღაც ხელშეუხებელ კასტად ვაქციოთ ფოტოგრაფები, აი, ფოტოგრაფს რა უნდა გადაეღო ისეთიო, არ არის სწორი. ძალიან ბევრი რამ შეეძლო ფოტოგრაფს გადაეღო, რასაც უცხო ქვეყნის სპეცსამსახურები ძალიან ძვირად იყიდდნენ. და ასეთი მაგალითიც უამრავია მსოფლიო საერთაშორისო პრაქტიკაში, რადგან ნებისმიერი ფოტო, თუ ის მონტაჟი არ არის, დოკუმენტია. რაც შეეხება გრიფით საიდუმლოს, ეს მსოფლიოში მიღებული პრაქტიკაა. მაგალითად, აშშ-ში ატომური ბომბის ქურდი ცოლ-ქმარი როზენბერგები რომ დააკავეს, რომელთაც საბჭოთა კავშირს ატომური ბომბის საიდუმლოება მიჰყიდეს, მთელი იმათი პროცესი, რომელიც ორი წელი მიდიოდა, გრიფით საიდუმლო იყო და არასოდეს ახსნილა. დღესაც ბევრი პროცესია ასეთი, ზოგი გარკვეული ვადით საიდუმლოა და მერე ეს გრიფი ეხსნება, ზოგს კი — არა. სანამ სასამართლო არ იტყვის, რომ ისინი არიან დამნაშავენი, მანამდე მათზე მოქმედებს უდანაშაულობის პრეზუმფცია. ერთი სიტყვით, წინასწარ ნუ გამოვრიცხავთ ნურაფერს, ნურც იმას ვიტყვით, რომ ისინი უკვე ჯაშუშები არიან და ნურც იმას, რომ ანგელოზები არიან და როგორ შეიძლება, ჯაშუშები ყოფილიყვნენო.

***— დაბოლოს, ექვსიანსაც მინდა შევეხო. რა პერსპექტივა აქვს მათ გეგმებსა და გზას, გამოუვათ რამე, ბატონო სოსო?***

— ყველაფერი დამოკიდებულია თვითონ ექვსიანზე. მოდით, პირდაპირ გეტყვით და დაწერეთ. მე ფრთხილი ოპტიმიზმითა და დიდი ეჭვით ვუყურებ იმ პერსპექტივას, რომ მეშვიდე გახდება საზოგადოება, იმას, რომ მეშვიდე უნდა იყოს საზოგადოება და სამოქალაქო საზოგადოება ჩაერთოს ამ პროცესში. ეს ურთულესი მექანიზმია, მეტიც, ზერთული. ასე რომ, არ ვიცი, საზოგადოების გაწევრიანებას, ჩართვას ამ პროცესში როგორ მოახერხებენ. შეიძლება, გამინაწყენდნენ კიდეც, იქ ბევრი ჩემი ახლობელი ადამიანია, მაგრამ მე იმის პოტენციას, რომ ექვსიანი შეძლებს, სამოქალაქო საზოგადოება მეშვიდედ მიიწეროს და ბრწყინვალე შვიდეულად იქცეს, ვერ ვხედავ.

***— კეთილი, აბა, რა უნდა მოიმოქმედოს ექვსიანმა, რას ურჩევდით მათ?***

— ჩემი რჩევა მათ არ აინტერესებთ, თუმცა, თქვენ მაინც გეტყვით. ყველაზე ჭკვიანური იქნებოდა, ისევ საერთაშორისო პრაქტიკიდან გამომდინარე გეუბნებით, რომ შემოდგომამდე დაისვენონ, სიმშვიდე შეინარჩუნონ. დიახ, დაისვენონ კარგად, ცოტა გაირუჯონ ზღვაზე. რაღაც ფერი არ მომწონს მათი, რომ ვუყურებ, რაღაც ძალიან ფერმკრთალები არიან. შემდეგ დასხდნენ და ანალიზი, ანალიზი და კიდევ ერთხელ ანალიზი, ანუ გააანალიზონ ყველაფერი, თუ რა შეცდომა დაუშვეს და მხოლოდ ამის შემდეგ სწორ გზაზე იზრუნონ და იფიქრონ. და კიდევ ერთი, შეეშვან ამ ექსპერტებათან რაღაც ლაციცს. დღეს საქართველოში არ არსებობს იმ დონის ექსპერტი, რომ პოლიტიკურ პარტიას რაიმე ჭკვიანური ურჩიოს.

# ბათუმში მეჩეთი ხელისუფლების მოთხოვნით შენდება

## ნაციონალი არასდროს ვყოფილვარ

**შაბათს ქაშვეთის ეკლესიის ეზოში შეკრებილ საზოგადოებაში პარლამენტის წევრი თამაზ დიასამიძე ვიხილე. თამაზ დიასამიძე ერთ-ერთი იმათგანია, ვინც პარლამენტში რელიგიური თემების შესახებ კანონს მხარი არ დაუჭირა.**

გულიკო ბალა ე

ალსანიშნავია ისიც, რომ ერთი წლის წინ თამაზ დიასამიძემ სააკაშვილის უმრავლესობა დატოვა.

თამაზ დიასამიძის თქმით, სა-



ქართველოში 1995 წლის შემდეგ ჩამოყალიბდა ერთი პარტიის მყარი უმრავლესობა. წლების განმავლობაში პარლამენტში მოდიოდნენ კოლექტივები, რომლებიც გადაწყვეტილებას იღებენ. პასუხს კი რამდენიმე ადამიანი აგებს. დღემდე არსებული ყველა პარლამენტების უმრავლესობის წევრები ერთნაირად იქცევიან — რასაც ხელისუფლების პირველი პირები ეტყვიან, ხელს იმას აწერენ.

**თამაზ დიასამიძის** შეფასებით, პროტესტის ნიშნად მასობრივად ხალხის გამოსვლა იმას ნიშნავს, რომ პოლიტიკური ცხოვრება ასე აღარ გაგრძელდება.

***— ბატონო თამაზ, თქვენი აქ მოსვლა როგორ გავიგოთ? ძნელბედობის ჟამს, როგორც დეპუტატი, როგორც მოქალაქე, თქვენს ხალხთან ერთად ხართ?***

— დიახ.

***— რას იტყვით იმასთან დაკავშირებით, რამაც დღეს ხალხი აქ შეკრიბა?***

— აბსოლუტურად მიხარია და მეამაყება, რომ ადამიანები, საზოგადოება ასე ჯანსაღად გამოხატავენ პროტესტს. ეს იმას მიანიშნებს, რომ პოლიტიკური ცხოვრება ასე აღარ წავა, როცა უაღრესად მნიშვნელოვანი, სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადაწყვეტილებას პარლამენტის ელიტარული, პრეზიდენტთან უნისონში მყოფი ჯგუფი ისე ლებულობდა, რეაგირებაც კი არ ხდებოდა. ხელისუფლების გადაწყვეტილებები ძირეულ წინააღმდეგობაში მოდის ჩვენს ინტერესებთან, საზოგადოებრივ მოთხოვნებთან. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ეკლესიას, საპატრიარქოს ძალიან დიდი ადგილი უკავია ჩვენს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. ამოდენა ინსტიტუტის დემონსტრაციული იგნორირებით მიიღეს გადაწყვეტილება, რაც უპასუხო არ შეიძლება დარჩეს, რადგან საპატრიარქო პრინციპული წინააღმდეგი არ ყოფილა რელიგიური თემების თავისუფლებისა და ყველანაირი უფლებისა, რაც დემოკრატიული სახელმწიფოსთვისაა დამახასიათებელი. უბრალოდ, მოთხოვნა იყო, რომ გადაწყვეტილება საქართველოს ინტერესებთან თანხვედრილი ყოფილიყო, რათა ჩვენს რელიგიურ თემებს და ჩვენს ინტერესებს სხვა ქვეყნებში ჰ ქონოდათ ისეთივე უფლება, როგორც აქ აქვთ სხვა რელიგიურ თემებს. ისეთივე უფლებებით ყოფილიყვნენ აღჭურვილი, ისე ყოფილიყო ჩვენი ინტერესები უზრუნველყოფილი, ვთქვათ, ისრაელში, თურქეთში, კათოლიკურ ქვეყნებში,როგორც მათი ინტერესები ჩვენთან არის აღიარებული. ისევე, როგორც ბაპტისტური ეკლესია და მისი თემი საქართველოს ტერიტორიაზე თავისი სარწმუნოებრივი და ქონებრივი უფლებების დაცვისთვის აყენებდა საკითხებს და ითხოვდა რაღაც უფლებებს, ჩვენც ასეთივე უფლებები გვქონდეს და გვაქვს ამ რელიგიების მატარებულ სახელმწიფოებში. ეს კომპლექსში უნდა გადაწყვეტილიყო, მაგრამ ეს არ გააკეთეს პოლიტიკოსებმა. ეს არ გაითვალისწინა იმ პოლიტიკურმა ელიტამ, რომელიც ამ გადაწყვეტილების უკან იდგა. რატომღაც ჩათვალეს, რომ ეკლესიის გარეშე და ამ პრინციპული მოთხოვნის გარეშე, შეიძლებოდა გადაწყვეტილების მიღება. მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილება არის ძალიან უხეში და თავხედური გამოწვევა.

***— ეკლესიის გამოწვევაა, საზოგადოების თუ მთლიანად მთელი ერისა და ბერის?***

— ამ გადაწყვეტილების მიღება პარლამენტის პასუხისმგებელი პოლიტიკური ელიტის მხრიდან არის ეკლესიის, მთლიანად საზოგადოების და მთელი სახელმწიფოს გამოწვევა. საუბარი არ არის მხოლოდ სარწმუნოებრივ ინტერესებზე, რომ შეილახა მხოლოდ საპატრიარქოს ღირსება და მოხდა კათოლიკოს-პატრიარქის თხოვნის იგნორირება, არამედ საუბარია მთლიანად სახელმწიფო ინტერესებზე. ჩვენთან არ არის სახელმწიფო პოლიტიკა, რომლებშიც ყველას ინტერესი იქნება მოაზრებული. სახელმწიფო ეს არის კონცენტრირებული გამოხატულება ეკლესიისაც, სოციალური ფენებისაც, პოლიტიკური ინსტიტუტებისაც, რეგიონებისაც და ჩვენი საგარეო ინტერესებისაც.

***— როგორ ფიქრობთ, ვინც ხმა მისცეს ამ გადაწყვეტილებას, ასე რატომ მოიქცნენ, როცა იცოდნენ, რომ მათ გადაწყვეტილებას საზოგადოების მხრიდან გარკვეული რეაქცია მოჰყვებოდა? თუ თქვენ მიერ ხსენებულ პოლოტიკურ ელიტას, რომელმაც ხსენებულ გადაწყვეტილებას ხმა მისცა, არაფრად მიაჩნია საზოგადოების რეაქცია?***

— არის ასეთი ფსიქოლოგია — საქართველოში 1995 წლის შემდეგ ტრადიციად ჩამოყალიბდა, რომ ხელისუფლებაში მოდის ერთი პარტიის უმრავლესობა. პარლამენტში მოდის კოლექტივი, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას, პასუხს კი რამდენიმე ადამიანი აგებს. უმრავლესობა — არც თუ ისე ნაცნობი სახეები — ამ გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობენ. რეალურად ისინი განსაზღვრავენ ამ გადაწყვეტილებისთვის საჭირო ქვორუმს, ყველაფერს, მაგრამ ისინი ამაზე პასუხს არ აგებენ. მათ პასუხს არც არავინ სთხოვს. მათთვის პასუხი არც არასოდეს მოუთხოვიათ. მაგალითად, პასუხს სთხოვენ უმრავლესობის ლიდერს, კომიტეტის თავმჯდომარეს. ისინი ხშირად გამოდიოდნენ და თავს იმართლებდნენ. კამათში ან დებატებში ამტკიცებენ თავიანთ სიმართლეს თავიანთი შეხედულებისამებრ. მთელი უმრავლესობა არასოდეს არაფერზე პასუხს არ აგებდა. ზუსტად იგივე ფსიქოლოგია მუშაობს ახლაც.

გაგრძელება მე-7 გვერდზე

# „დემოკრატიული მოძრაობა“ დაკავებულ ფოტორეპორტიორებს თანადგომას უცხადებს

„დემოკრატიული მოძრაობა — ერთიანი საქართველოს„ განცხადებით, „26 მაისის შემდეგ საქართველოში განხორციელებული ყველა მოქმედება მოსახლეობის საბოლოო დამონებას და განსხვავებული აზრის ჩახშობას ემსახურება“.

„დემოკრატიული მოძრაობა-ერთიანი საქართველო“ ფოტოჟურნალისტების დაპატიმრებასა და მათ საქმეზე გრიფის „საიდუმლო“ დადების ფაქტს გმობს. ეს არის პირდაპირი ზეწოლა მედიაზე, ყველაზე, ვინც ჟურნალისტის პროფესიულ მოვალეობას მეტ-ნაკლებად ობიექტურად ასრულებს და მიუხედავად მიხეილ სააკაშვილის პირად ჟურნალისტად მუშაობისა, დაკავებული ფოტოგრაფების პროფესიონალიზმი და ობიექტურობა საზოგადოების მხრიდან ეჭქვეშ ერთი წამით არ დამდგარა. 26 მაისს ამ ფოტორეპორტიორებს, სხვა ჟურნალისტებისაგან განსხვავებით, რომლებიც ხელისუფლებამ ცემა და მუშაობის საშუალებას არ აძლევდა, ჰქონდათ შესაძლებლობა, დარბევის დროს სპეცსამსახურების ხელისშეშლის გარეშე ემუშავათ, ვინაიდან ისინი პრეზიდენტის ფოტორეპორტიორებად ითვლებოდნენ. მათ ეს შესაძლებლობა მაღალი პროფესიონალიზმით და სინდისის კარნახით გამოიყენეს და 26 მაისის სისხლიანი სადამსჯელო სპეცოპერაცია ობიექტურად გააშუქეს. მათ მიერ გადაღებულმა ფოტოებმა მთელ მსოფლიოს სიმართლე და ის რეალობა მიაწოდა, რომლის დამალვას ხელისუფლება ყველა ხერხით ცდილობდა. ის, რომ ევროპაში ახალი დიქტატორი დაიბადა მიხეილ სააკაშვილის სახით, ყოველდღიურად მტკიცდება და პრეზიდენტის პირადი პატიმრების რიცხვიც ადექვატურად იზრდება. დემოკრატიული მოძრაობა-ერთიანი საქართველო„ აბსურდული ბრალდებით დაკავებულ ფოტორეპორტიორებს თანადგომას უცხადებს და მოითხოვს, რომ თუ ეს ადამიანები უცხო ქვეყნის სპეცსამსახურებს საიდუმლო ინფორმაციას მართლაც გადასცემდნენ, მაშინ დაუყონებლივ დატოვონ თანამდებობა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის, სახელმწიფო დაცვის სამსახურის უფროსის, პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის და ყველა იმ თანამდებობის პირის მიმართ, რომლებმაც სახელმწიფოსათვის ასეთი მნიშვნელოვანი ინფორმაციის დაცვა ვერ უზრუნველყვეს და რომელზეც, როგორც გამოძიება აცხადებს, ასე ადვილად მიუწვდებოდათ ხელი პრეზიდენტის ფოტოგრაფებს, სამსახურებრივი გულგრილობის მუხლით საქმე აღიძრას. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ პასუხისმგებელი უმაღლესი თანამდებობის ყველა ეს პირი არ დაისჯება, დაკავებული ფოტორეპორტიორები დაუყონებლივ გაათავისუფლონ, — ნათქვამია განცხადებაში.

ამასთან, „დემოკრატიული მოძრაობა — ერთიანი საქართველო“ საერთაშორისო საზოგადოებისაგან საქართველოში არსებული რეალობის შესწავლას და ადექვატურ რეაგირებას მოითხოვს.

**პირველი**

# ხელისუფლების გამოწვევას აუცილებლად უნდა ვუპასუხოთ

შორენა გოგოლა

## ინტერვიუ გიორგი ლაღიძესთან

***— პარლამენტის მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებამ საპატრიარქოს შეშფოთება გამოიწვია, ვინაიდან მიიჩნია, რომ ამ ცვლილებამ მომავალში შესაძლოა ბევრი გაუთვალისწინებელი პრობლემა წამოჭრას, როგორია თქვენი პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით?***

— მე მთლიანად ვეთანხმები ეკლესიის შეფასებას, რომ სამოქალაქო კოდექსში შეტანილი ცვლილებები, რომელიც აძლევს საშუალებას სხვადასხვა კონფესიებს დარეგისტრირდნენ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად, ეს არის სახელმწიფოსათვის საფრთხის შემცველი, ეს პრაქტიკულად საქართველოში არსებულ სხვადასხვა რელიგიებსა და სექტებს აყენებს მართლმადიდებლურ რელიგიასთან თანაბარ მდგომარეობაში. სამწუხაროდ, ეკლესიის აზრი არ იქნა გათვალისწინებული და ნაჩქარევად მოხდა ამ კანონის მიღება. პრეზიდენტმა სააკაშვილმა, რომელსაც წინ ჰქონდა კვირაზე მეტი გადაწყვეტილების მისაღებად, ძალიან ნაჩქარევად, სულ რამდენიმე საათში მოაწერა ამ დოკუმენტს ხელი. ეს ყველაფერი მეტყველებს იმაზე, რომ როგორც ჩანს, ხელისუფლებას აწყობს ქართული ეკლესიის დაკნინება, გამოწვევა და მე ვფიქრობ, ქართველმა საზოგადოებამ ეს გამოწვევა უნდა მიიღოს. როდესაც საკანონმდებლო ორგანო არ იზიარებს დედა ეკლესიის პოზიციას, მე ვფიქრობ, რომ ამ შემთხვევაში საჭიროა სხვა ზომების მიღება. მაშინ, როდესაც ჩვენმა ეკლესიამ ძალიან კარგად იცის თუ რა მდგომარეობაშია სულიერი თვალსაზრისით მართლმადიდებელი მრევლი, მის გარეშე ასეთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება დაუშვებელია. მართალია ჩვენ პატივი უნდა ვცეთ სხვა რელიგიის ადამიანებს, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ მათი ამბიციები დავაკმაყოფილოთ მართლმადიდებლობის ხარჯზე. სომხები თავიდან ორასზე მეტ ეკლესიას ედავებოდნენ საქართველოს, პირველ რიგში მათი დაჟინებული მოთხოვნა იყო, რომ მათი სტატუსი განსაზღვრულიყო საქართველოს კანონმდებლობით. ფაქტიურად, სხვა რელიგიები თავიანთ მოთხოვნებში არ აყენებდნენ ასე მკაფიოდ სტატუსის განსაზღვრას ამ ჭრილში, რაშიც ეს კანონი იქნა მიღები. რამდენიმე წლის წინ, როდესაც წამოიჭრა საკითხი სომხურ ეკლესიებთან დაკავშირებით, საპატრიარქომ დააყენა საკითხი, რომ სომხეთის ტერიტორიაზე არის არაერთი ქართული ეკლესია, მაგრამ ეს საკითხი დღემდე ღიად რჩება. როდესაც საქართველოს ხელისუფლება მიდის ასეთ დათმობაზე, საინტერესოა, რა ბედი ეწევა იმ ქართულ ეკლესიებს, რომლებიც არის სომხეთის ტერიტორიაზე. როგორც ჩანს, ჩვენ ვთმობთ ყველაფერს არაფრის სანაცვლოდ და ეს ძალიან ცუდია, ეს არის ანტისახელმწიფოებრივი და არის დამღუპველი ქართველი ერისთვის. სანამ დროა სააკაშვილი და მისი ხელისუფლება უნდა მოეგოს გონს, სხვა შემთხვევაში, მერწმუნეთ, რომ ამ ხელისუფლების დასასრული ძალიან მალე დადგება.



***— კანონის მიღება დაემთხვა სომხეთის პატრიარქის ვიზიტს საქართველოში, მაგრამ ამ კანონის მიღებას პირდაპირ გვავალდებულებენ საერთაშორისო ორგანიზაციები...***

— გარეგინ მეორის ვიზიტს მოყვა სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ვიზიტი საქართველოში, რაც პირდაპირ კავშირშია ამ კანონის მიღებასთან და თუ ვინმეს აწყობდა ამ კანონი მიღება, ეს არის პირველ რიგში სომხური ეკლესია. მე მათი საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, მაგრამ ჩვენ პირველ რიგში უნდა დავიცვათ ჩვენი სახელმწიფოებრივი ინტერესი და ხელისუფლება, რომელიც უპირისპირდება ეკლესიას, ის თანდათან შორდება საკუთარ ხალხს და ეს ყველაფერი მას ბუმერანგივით დაუბრუნდება უკან. თუ გადავხედავთ ისტორიას, არც ერთი ფაქტი არ ყოფილა ისეთი, როდესაც ხელისუფლება დაპირისპირებია ეკლესიას და ამ ბრძოლაში არ დამარცხებულიყო ხელისუფლება. ჩემთვის გაუგებარია იმ ადამიანების აზრი, ვინც ეს კანონი მიიღო და არ გაიზიარა ეკლესიის აზრი, მე ვფიქრობ, ეს არის არამართლმადიდებლური გადაწყვეტილება და ეს ქართული სახელმწიფოებრიობისაგან ძალიან შორს დგას. მიუხედავად იმისა, რომ დოკუმენტს უკვე ხელი მოეწერა, ჯერ კიდევ არის დრო, რომ ხელისუფლება მოეგოს გონს და რაღაც ფორმით გამოასწოროს სიტუაცია, წინააღმდეგ შემთხვევაში, ქართველი ხალხი არ აპირებს დათმობას და ეს საკითხი ძალიან ცუდად შემოუბრუნდება ამ ხელისუფლებას, ხალხს ჯერ კიდევ აქვს შემორჩენილი იმდენი ვაჟკაცობა, რომ დაიცვას საკუთარი სარწმუნოება. მთელი ერი გამოვა და არ მისცემს საშუალებას ხელისუფლებას, საბოლოოდ იქნეს მიღებული ეს ანტიეროვნული კანონი. რაც შეეხება საერთაშორისო ორგანიზაციების მოთხოვნებს, არის ძალიან ბევრი ევროპული სახელმწიფო, რომლებიც არც ისე ტოლერანტულები არიან სხვადასხვა რელიგიური კონფესიების მიმართ, მაშინ როდესაც, საქართველოში ძირითადი სარწმუნოება არის მართლმადიდებლობა, მაგრამ ის არ არის სახელმწიფო რელიგია; ქართველ ხალხს ვერავინ ვერ დასწამებს, რომ ჩვენ სხვა რელიგიების მიმართ არ ვართ ტოლერანტულები, მაგრამ ჩვენ ერთი რამ უნდა ვიცოდეთ, რომ საქართველო არის ძირძველი მართლმადიდებლური სახელმწიფო და ყველა სარწმუნოების მქონე პირი, რომელიც საქართველოში ცხოვრობს, ვალდებულია პატივი სცეს პირველ რიგში მართლმადიდებლურ სარწმუნოებას.

***— ეს არის პირველი შემთხვევა, როდესაც საპატრიარქო ასე ღიად დაუპირისპირდა ხელისუფლების გადაწყვეტილებას და შედეგიც ვნახეთ, რამდენი ადამიანი გამოვიდა პატრიარქის მხარდასაჭერად. ხომ არ არის იმის ალბათობა, რომ ეს პროტესტი გადაიზარდოს პოლიტიკურ მოთხოვნებში?***

— ჩვენი უწმინდესი არის ბრძენი ადამიანი, მან დაინახა ამ კანონის საფრთხე და მან გადადგა ეს ნაბიჯი, სხვა შემთხვევაში ჩვენ ყოველთვის ვხედავდით ჩვენს უწმინდესს უფრო ლმობიერს და ამ კონკრეტულ შემთხვევაში უწმინდესის პოზიცია არის საკმაოდ მკაფიო და მე ვფიქრობ, რომ ეს არის სწორი. მე ყოველთვის მიკვირდა, რომ საპატრიარქო ბევრი საკითხის მიმართ იჭერდა საკმაოდ დიპლომატიურ პოზიციას და ალბათ ამან მიგვიყვანა იქამდე, რომ ხელისუფლებამ გაბედა ქართული ეკლესიის გვერდის ავლით მიეღო ასეთი გადაწყვეტილება. ეს არის მართლმადიდებლობის დასაცავად გამართული აქცია, თითოეულმა მართლმადიდებელმა საკუთარ თავს უნდა დავუჭიროთ მხარი, საკუთარი სარწმუნოებრივი ინტერესი უნდა დავიცვათ და აქ არაფერ შუაშია პოლიტიკური მოთხოვნები, მაგრამ ალბათ სიტუაციის გამწვავების შემთხვევაში არც ეს უნდა გამოვრიცხოთ. ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ხელისუფლებამ ფერიის მთაზე დაანგრია ეკლესია, მაშინ უნდა ყოფილიყო გაცილებით მკაცრი რეაქცია და ასეთ რამეს დღეს უკვე ველარ გაბედავდნენ.

# ბათუმში მეჩეთი ხელისუფლების მოთხოვნით შენდება

დასაწყისი მე-6 გვერდზე

***— ერთ პერიოდშიც თქვენც უმრავლესობის წევრი იყავით...***

— პარლამენტის უმრავლესობის ვიყავი, მაგრამ ასეთი გადაწყვეტილებებისთვის მხარი არასოდეს დამიჭერია. 2004 წლის აჭარის მოვლენებიდან მოყოლებული, რეგიონულ დიქტატორთან წარმატება რომ მოგვეპოვებინა, მე ამ ძალასთან ერთად აღმოვჩნდი. ნაციონალური მოძრაობის წევრი არ გახლავართ. სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტისას ჩვენი გზები გადაიკვეთა და მათთან ერთად აღმოვჩნდი პარლამენტში. მე გადაწყვეტილებებს არ ვიღებდი. პარლამენტის სხდომებს ხშირად არ ვესწრებოდი. ხშირად, გარკვეული საკითხების გადაწყვეტისას, წინააღმდეგაც მივდიოდი. თუმცა, არის ისეთი საკითხები, რომლისთვისაც მხარი დამიჭერია. რაც მხარდასაჭერი იყო, მხარს ვუჭერდი. სხვათა შორის, ჩემი მხარდაჭერის გარეშეც გადიოდა საკითხები იმიტომ, რომ იქ იყო და არის ადამიანთა ჯგუფი...

***— რეზერვი...***

— ყოველთვის არის ადამიანთა ჯგუფი, რომელიც ნებისმიერ გადაწყვეტილებას ხმას აძლევს.

***— რატომ?***

— მათი ლიდერები ეუბნებიან, რომ ეს არის სწორი გადაწყვეტილება და უნდა დაუჭირონ მხარი.

***— რატომ უჭერებენ, უკაცრავად, მაგრამ უვიცები არიან თუ უბრალოდ, შემსრულებლები არიან, იმიტომ, რომ ხელისუფლებას ისინი გამოჭერილი ჰყავს?***

— ეს არის თანამედროვე პარლამენტარიზმის ტექნოლოგია, როგორც იტალიაში ბერლუსკონის მოთხოვნით უმრავლესობა შტამპავდა კანონებს. ბერლუსკონი რომ მოვიდა ხელისუფლებაში, პარლამენტს მიაღებინა კანონი, რომლის თანახმად პრემიერებისა და მინიტრების სასამართლო დევნა კანონით იკრძალებოდა. ბერლუსკონმა ასეთი კანონი მიაღებინა იმ უმრავლესობას, რომლის მეშვეობით ის პარლამენტში მოვიდა.

***— ჰო, მაგრამ იტალიაში სასამართლომ ახლა ბერლუსკონის მითითებით მიღებული გადაწყვეტილებები უკანონოდ გამოაცხადა.***

— მერე სასამართლომ ბერლუსკონის ზეწოლით მიღებული გადაწყვეტილება უკანონოდ ცნო, საკითხი პლებისციტზე გავიდა და პლებისციტით დადგინდა, რომ ხალხს ბერლუსკონის მოწონებული კანონები არ მოსწონდა, მაგრამ იქ სხვა ინსტიტუტები აღმოჩნდა თავის სიმაღლეზე, რომელმაც წესრიგი დაამყარა და კანონიერებას გზა გაუხსნა. საქართველოში კი ინსტიტუტი არ არსებობს. არსებობს ერთი ინსტიტუტი, პარლამენტი, რომლებშიც უმრავლესობას ფლობს ადამიანთა ერთი ჯგუფი. ისინი იმ გადაწყვეტილებას ღებულობენ, რაც უნდათ. გარეთ არც საკონსტიტუციო სასამართლოა, არც – პლებისციტის პრაქტიკა. სამწუხაროდ, საქართველოში არ არიან ისეთი ინსტიტუტები განვითარებული, რომ მისი საშუალებით რომელიმე დონეზე უკანონობა აღიკვეთოს და მოვიდეს შესაბამისობაში კონსტიტუციასა და კანონიერებასთან. სამწუხაროდ, საქართველოში განვითარებული არ არის პოლიტიკური სისტემა. საქართველოში არის ავტორიტარული სისტემა, რომელიც რეფორმირებას საჭიროებს. ოღონდ, არსებული სისტემის რეფორმირება უკვე სხვა ძალამ უნდა მოახდინოს. ნაციონალურმა მოძრაობამ თავისი თავის რეფორმირება რომ მოახდინოს, იგივეა, მიუნჰაუზენი რომ თავის თავს ქაჩავდა ჭაობიდან (ხომ გახსოვთ, მიუნჰაუზენის ტყუილები, თავისი თავი ჭაობიდან რომ ამოიყვანა). შეუძლებელია ნაციონალურმა მოძრაობამ თავისი თავის რეფორმირება შეძლოს. არსებული სისტემის რეფორმირება სხვა ძალამ უნდა მოახდინოს. ალბათ, ვინმე გამოჩნდება. თანამედროვე საპარლამენტო ტექნოლოგიები უცნაურ შედეგებს იძლევა — პარლამენტში უმრავლესობის სახელით იღებენ გადაწყვეტილებას, არჩევნებით მოსული ხალხი თავს უფლებას აძლევს თქვას: ხალხის ნებით, ხალხის მხარდაჭერით ვართ მოსული და მსგავს გადაწყვეტილებას რომ ვიღებთ, ხალხის ნებას ვასრულებთო. ამიტომ უმრავლესობაში მყოფი დეპუტატების დიდი ნაწილი ამ თამაშის წესს ყვება ხოლმე. ძალიან ბევრი ადამიანი, რომელიც პარლამენტში მოსვლამდე კარგი სახელით იყო ცნობილი, ნორმალური რეპუტაცია ჰქონდა, ამ მარაქაში რომ ერევა, ისე იქცევა, როგორც პოლიტიკურ სახელისუფლებო ელიტას სურს. ასე იქცეოდნენ ყველა პარლამენტის უმრავლესობაში მოხვედრილი ადამიანები.

***— ქვეყნის ინტერესების საწინააღმდეგო გადაწყვეტილებების მიმღები დეპუტატები პარლამენტში პარტიული სიებით არიან მოხვედრილი, მაჟორიტარები არიან თუ მნიშვნელობა არ აქვს, რა გზით მოხვდებიან პარლამენტში?***

— მნიშვნელობა არა აქვს, ყველა მათგანი ნაციონალების მოყვანილია. ამ პოლიტიკური ძალის პოლიტიკური თუ ფინანსური მხარდაჭერით მოხვდნენ პარლამენტში. ან „საკუთარი“ ფინანსებით, რომელი ფინანსებიც მათ ხელისუფლებასთან თანამშრომლობით აქვთ, ან კიდევ იმ ბიზნესებით მოვიდნენ პარლამენტში, რომელიც ხელისუფლების ხელშეწყობით შექმნეს — მომგებიანი ტენდერებით და სხვა მაქინაციებით.

***— რა შედეგს მოგვიტანს პარლამენტის ბოლო გადაწყვეტილება, რომელიც საზოგადოების უმრავლესობას შეეხო და მათში სამართლიანი პროტესტი გამოიწვია?***

— ვფიქრობ, ამ საკითხის პოლიტიკურად გადაწყვეტა შეიძლება. ამ საკითხის ნიველირება უნდა მოხდეს.

***— საკონსტიტუციო სასამართლოში საჩივრის შეტანისა და გაუქმების გზით შეიძლება მიღებული გადაწყვეტილების გაუქმება?***

— საკონსტიტუციო სასამართლო და სხვა ინსტიტუტები აბსოლუტურად ბუტაფორიულია. ბუტაფორიულია იმიტომ, რომ რაც სახელისუფლებო პოლიტიკურ ელიტას უნდა, იმ გადაწყვეტილებას მიაღებინებს. წარმოუდგენელია ჩვენთან ისე გაკეთდეს, როგორც იტალიის სასამართლომ გააკეთა. იგივე უნდა გაკეთდეს, რაც ბათუმში მეჩეთის მშენებლობასთან დაკავშირებით. ბათუმში მეჩეთის მშენებლობა მოინდომეს, საზოგადოებამ თავისი მკვეთრად უარყოფითი აზრი გამოთქვა და ახლა ამ საკითხზე დუმან. ღმერთით, ალბათ, ბათუმში მეჩეთის აშენებას დღის წესრიგიდან მოხსნიან. ზუსტად ასეთი საკითხია, თუმცა, ბათუმში მეჩეთის აშენების საკითხი უფრო ლოკალურია. ჩვენი ეკლესია შეზღუდულია. ტაო-კლარჯეთში ჩვენს ეკლესიებში წირვა-ლოცვა არ მიმდინარეობს. შეიძლება იქ ძალიან ცოტაა მართლმადიდებლური მრწამსის მატარებელი, მაგრამ მართლმადიდებლური აღმსარებლობა, წირვა-ლოცვა, ჩვენ აკრძალული გვაქვს. სამაგიეროდ, ჩვენთან ისლამის აღმსარებლობა არის, მეჩეთიც არის და მოქმედებს კიდეც. ჩვენ კი თურქეთში მოქმედი ეკლესია არ გვაქვს. საკითხი იდგა, რომ მეჩეთის აშენების სანაცვლოდ, იქ ჩვენი ეკლესიები აღგვედგინა. თურქეთის მთავრობას კი ტურისტების მიღებით ფული მიეღო. ჩვენ მორალურ ვალდებულებას ვიხდიდით ჩვენი სიწმინდეების წინაშე, ვარემონტებდით ეკლესიებს, ისინი კი ამით სარგებელს ღებულობდნენ. სამაგიეროდ, კიდევ უფრო მეტი სარგებლის მიღება გადაწყვიტეს თურქებმა, აქეთ — ბათუმში მეჩეთის მშენებლობას ლამობდნენ.

***— მეჩეთებს ისედაც აშენებენ აჭარაში.***

— ბათუმში მრევლი არ არის, მეჩეთის აშენებას მრევლი არ ითხოვს. როცა მრევლი არ არის და არც არავინ ითხოვს, როგორ შეიძლება სახელმწიფო ითხოვდეს მეჩეთის აშენებას? მთავრობის რა საქმეა მეჩეთის აშენება. ბათუმში მეჩეთის აშენება, სამთავრობო შეთანხების საგანი იყო.

***— საქართველოს ხელისუფლების წინადადება ხომ არ იყო ბათუმში მეჩეთის აშენება?***

— კაცმა არ იცის. პროცესი გასაიდუმლოებულად მიმდინარეობდა. შეთავაზება ვისგან იყო, არ ვიცი, მაგრამ თურქებმა მეჩეთის აშენება რომ მოითხოვეს, ფაქტია, ესენი არ შეწინააღმდეგებიან. მათ მოქმედი მეჩეთის აგება უნდოდათ, რომელიც იმ მეჩეთის პარალელურად იმოქმედება, რომელიც ბათუმშია.

***— ფერიის მთაზე ეკლესიაც ხომ დაანგრიეს? ანუ ხელისუფლება დროდადრო ახორციელებს შეტევას ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის წინააღმდეგ?***

— საქართველოს ხელისუფლებას ეკლესიასთან დაკავშირებით პოლიტიკა ჩამოყალიბებული არა აქვს. ის სპონტანურად მოქმედებს. ხელისუფლების პოლიტიკა აგებულია ვითომდა ეკონომიკის განვითარებაზე, ტურისტისა და კაპიტალის შემოსვლაზე.

***— ბათუმში მეჩეთი ხომ არის, ახალი მეჩეთი რაღა საჭირო იყო?***

— დიახ, მეჩეთი არის და თუ ტურისტს უნდა, თავისი რელიგიური წეს-ჩვეულებები აღასრულოს, ამის საკმარისი საშუალება არის. ნამეტანი დათმობებზე წასვლა, იმხელა განვითარებადი და ეკონომიკურად აღმავალი ქვეყნისთვის, რომელსაც საკმაოდ დიდი რელიგიური გადახრა აქვს, არ შეიძლება. ეს საქმე ძალიან საფრთხილოა. ეს მაგალითი იმიტომ მოვიყვანე, როცა რელიგიურ თემებს კანონმდებლობით რაღაც უფლებებს აძლევ, უნდა გაითვალისწინო, შენი რელიგიური თემების უფლებები როგორაა უზრუნველყოფილი ისრაელში, თურქეთში, გინდათ ნებისმიერი კათოლიკური აღმსარებლობის ქვეყნებში. თუნდაც მართლმადიდებლური აღმსარებლობის ქვეყნებში, მაგალითად, რუმინეთში, სადაც საკუთრებისა და სამოქალაქო უფლებების საკითხებია გასარკვევი. ამ საკითხებს მათი კანონმდებლობა აწესრიგებს ისე, როგორც ჩვენ ვაწესრიგებთ? თორემ ის ნორმა, რაც ახლა კანონში შევიდა, გაუგონარი ნორმა არ არის. ეს იმ ქვეყნებში მოქმედებს, მაგრამ ჩვენი ეკლესიისა და ჩვენი სახელმწიფოს ინტერესებიც ხომ უნდა იყოს უზრუნველყოფილი იმ ქვეყნებში, სადაც ისტორიულად ჩვენს ეკლესიას გარკვეული პოზიციები ჰქონდა, იქ მორწმუნეები ჰყავს, იმ ტერიტორიაზე ეკლესია-მონასტრები აქვს, მაგრამ საკუთრების საკითხი ჯერ გარკვეული არ არის. ეკლესია ამ კუთხით აყენებდა საკითხს და ამ კუთხით ითხოვდა კანონების ფართო საზოგადოებრივ განხილვას. პარლამენტის უმრავლესობამ კი ეს არ გააკეთა. ეს ყველაფერი ამიტომ არის ცუდი.

***— როგორ ფიქრობთ, რა შედეგი შეიძლება მოიტანოს ამ გადაწყვეტილებამ?***

— შედეგი ის იქნება, საზოგადოებამ მოითხოვოს, ხელისუფლებამ ეკლესიის მოთხოვნას ანგარიში გაუწიოს, რომ სხვა ქვეყნებში ჩვენი ეკლესიის ინტერესები გათვალისწინებული იყოს.

***— უშუალოდ ამ კანონს რაიმე ეშველება?***

— დღევანდელი ძალთა განლაგების პირობებში ძნელია ამ კანონის შეცვლა ან გაუქმება. ამის შესაძლებლობები არ არსებობს.

ჩვენს საყვარელ
**ნანა მიშელაშვილს**
ვულოცავთ დაბადების დღეს,
ვუსურვებთ დღეგრძელობას,
ჯანმრთელობას, სიმხნევეს,
სულიერ სიმშვიდეს,
წარმატებებს პირად
ცხოვრებასა და
ჟურნალისტურ საქმიანობაში.
უფლის წყალობა არ
მოგჰკლებოდეს!
*სიყვარულით,*
*„ახალი თაობა“*

# ჩერქეზების გენოციდიდან ეჩმიაძინამდე

გიორგი უ ილაური

მშვიდი ზაფხული არ გამოვიდა. შუა ზაფხულში სააკაშვილის ჯიბის პარლამენტმა 2 დღეში 3 მოსმენით მიიღო კანონი, რომელიც საჯარო იურიდიული პირის სტატუსს ანიჭებს საქართველოში მოქმედ მუსლიმანურ, იუდეველთა, გრიგორიანულ, კათოლიკურ და ბაპტისტურ ეკლესიებს.

საქართველოს პატრიარქმა შესთავაზა პარლამენტსა და პრეზიდენტს, კანონი არ შესულიყო ძალაში მანამ, სანამ მას არ გაეცნობოდა საზოგადოება, მაგრამ პრეზიდენტმა მაშინვე ხელი მოაწერა კანონს.

პრინციპში, რა მოხდა, თუ კონფესიებს, რომლებიც აქამდეც არსებობდნენ საქართველოში, მიეცემოდათ საჯარო პირის იურიდიული სტატუსი. არც არაფერი. ყველას აქვს რწმენის თავისუფლება და ყველა არადესტრუქციულ რელიგიურ ინსტიტუტს აქვს უფლება, ჰქონდეს თავისი საკულტო ნაგებობები. საქართველოში თავისუფლად ფუნქციონირებენ მეჩეთები, სინაგოგები, პროტესტანტული, გრიგორიანული და კათოლიკური ტაძრები. თითქმის ყველა მათგანი ითხოვდა მეტ უფლებებს, რაც ასევე არაა გასაკვირი. ქართული ეკლესია და მთავრობა კი წლების განმავლობაში წელავდა ამ საკითხს, რაც ასევე არ არის გასაკვირი. საკითხი რთული იყო, წინააღმდეგ შემთხვევაში, შეუძლებელია ახსნა, თუ რატომ არ ჩქარობდნენ არც გამსახურდია, არც შევარდნაძე და არც სააკაშვილი (მისი პრეზიდენტობის მე-8 წელია), მიეცათ სხვა რელიგიური თემებისთვის მეტი სტატუსი.

სტატისტიკური მონაცემებით, საქართველოში აღმსარებლობა შემდეგნაირად არის გადანაწილებული:

საქართველოს მოსახლეობის სტრუქტურა რელიგიური აღმსარებლობის ნიშნით:

მართლმადიდებლები — 83.87; კათოლიკეები — 0.79; სომხურ-გრიგორიანული — 3.91; იუდეისტური — 0.08; მაჰმადიანური — 9.92; სხვა — 0.77; არც ერთი — 0.65. ქართველებიდან: მართლმადიდებელნი — 94.75;კათოლიკენი — 0.31; სომხურ-გრიგორიანული — 0.08; იუდაისტური — 0.01; მაჰმადიანური — 3.84; სხვა — 0.38; არც ერთი — 0.66.

აშკარად ჩანს, რომ საქართველოს მოსახლეობაში რელიგიური კუთვნილება მნიშვნელოვანი სოციალ-კულტურული ფაქტორია. საქართველო არ არის ჰოლანდია, სადაც ათეისტთა რაოდენობა უტოლდება მორწმუნეთა რაოდენობას, ან გერმანია, სადაც 30% კათოლიკეა, 30% — პროტესტანტი, 30%-ც — ათეისტი. საქართველოში ათეისტების რაოდენობა მიზერულია.



შესაბამისად, რელიგიას საზოგადოებაში დიდი როლი აქვს. საქართველოში მართლმადიდებელი ქრისტიანების შემდეგ ყველაზე მრავალრიცხოვანია მუსლიმანური თემი (მოსახლეობის თითქმის 10%), მის შემდეგ კი მოდის სომხურ-გრიგორიანული (თითქმის 4%). დანარჩენებს არ ჩამოვთვლით მათი სიმცირის გამო, თუმცა, ყველას აქვს და აქამდეც ჰქონდა აღმსარებლობის თავისუფლება.

რა არის ამ კანონში ისეთი, რომ ეს საფრთხეს უქმნის ქართულ ეკლესიას? მარტივად რომ ვთქვათ, ეს კანონი ყველაზე მეტად სჭირდება მეზობელ სომხურ-გრიგორიანულ ეკლესიას, რათა მან ქართულ სამართლებრივ სივრცეში საჯარო იურიდიული პირის სტატუსით იდავოს სასამართლოში ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიასთან იმ ტაძრებზე, რომლებზეც წლების განმავლობაში გამოთქვამს პრეტენზიებს. მაგალითად, თბილისში სომხურ ეკლესიას პრეტენზია აქვს 26 ტაძარზე, თბილისის გარშემო, მათ შორის, შავნაბადაზე, წყნეთში, ლისის ტბის მიდამოებში და ა.შ. ტაძრებზე სიღნაღში (6 ტაძარი), თელავში (2 ტაძარი) და ველისციხეში, ლაგოდეხში, დედოფლისწყაროში, ქუთაისში (4 ტაძარი), ხაშურში (2 ტაძარი). სომხურ ეკლესიას პრეტენზია აქვს ასევე ალავერდზე და გერგეტის ტაძარზე სტეფანწმინდაში, საუბარი აღარაა სამცხე-ჯავახეთის რეგიონზე. სომხური ეკლესიისთვის ერთ-ერთი მთავარი არგუმენტი იმის დასამტკიცებლად, რომ ტაძარი მათ ეკუთვნით, არის ტაძარზე დაშენებული სამრეკლოები, რომლებსაც სომხური ეკლესია სომხურ სტილად მიიჩნევს. მოკლედ, ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, ახალი სტატუსი უფლებას აძლევს ეჩმიაძინს, იდავოს ამ ტაძრების კუთვნილებაზე. დღეს სადავო ტაძრების უმრავლესობა შედის საქართველოს საპატრიარქოს გამგებლობაში, სადაც აღესრულება წირვები და სადაც დადის მრევლი. მგონი, უკვე აღარ არის საჭირო იმის ახსნა, თუ რატომ ითხოვდა ქართული ეკლესია კანონპროექტის საზოგადოებრივ განხილვას მის მიღებამდე. თუ გავითვალისწინებთ, რომ ქვეყნის მოსახლეობის 84% მართლმადიდებელია, რთულია, იპოვო არგუმენტი, რომლითაც გააბათილებდი ეკლესიის თხოვნას. საზოგადოებამ, მრევლმა უნდა იცოდეს, რა კანონს იღებს მის მიერ არჩეული პარლამენტი და პრეზიდენტი.

სომხურ-გრიგორიანული ეკლესიის პრეტენზიები სრულიად საფუძვლიანიც რომ იყოს, საქართველოს საზოგადოებას აქვს უფლება, იცოდეს, რა პერსპექტივებს უნდა ელოდოს პარლამენტისგან ამ მხრივ. მაგრამ ეს უფლება პარლამენტმა და პრეზიდენტმა უგულებელყვეს და მალულად, ფორსირებულად მიიღეს კანონი. გასათვალისწინებელია, რომ კანონის მიღება მოხდა მას შემდეგ, რაც საქართველოს ეწვია ჯერ სომხეთა პატრიარქი გარეგინ II და შემდეგ სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ნალბანდიანი. ორივე სტუმარი ჩამოვიდა ერთი მიზნით — საქართველოს მიეღო ეს კანონი. და მიზანი მიღწეულ იქნა. მეზობელი ქვეყნის ზეწოლამ სააკაშვილზე გაჭრა და პრეზიდენტმაც მიიღო გადაწყვეტილება, რომლის შედეგების პროგნოზირება რთულია.

ჩნდება კითხვა — რატომ დათანხმდა სააკაშვილი ეჩმიაძინსა და ერევანს, მიეღო ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც მიუღებელი იქნებოდა არა მარტო საქართველოს საპატრიარქოსთვის, არამედ მთელი მართლმადიდებელი მრევლისთვის? ცოტა საეჭვოა, სააკაშვილს სომხური ეკლესია გამოეყენებინა საქართველოს პატრიარქის დასამარცხებლად. ზედმეტად არაპოპულარული სვლა ინებოდა. კანონის პრინციპული ამოქმედების შემდეგ შესაძლოა ხალხს ჩაეთვალა, რომ სააკაშვილი ეკლესიაზე ძლიერი აღმოჩნდა, მაგრამ, მეორე მხრივ, თავად სააკაშვილისადმი ზიზღი არ შენელდებოდა.

მაშინ მეორე ახსნა პრეზიდენტის გამოუვალი მდგომარეობაა. ამ მდგომარეობაში ის ჩავარდა მას შემდეგ, რაც აღიარა ჩერქეზების გენოციდი, რამაც გამოიწვია სომხეთისა და სომხების ლოგიკური კითხვა — რატომ არ აღიარებთ სომხების გენოციდს თურქეთში? ამის აღიარებით კი საქართველო გაიფუჭებდა ურთიერთობას თურქეთთან და აზერბაიჯანთან, რაც ასევე ცუდი გამოსავალია. სომხეთს კი გენოციდის აღიარების მოთხოვნის ტოლფასი სხვა მოთხოვნებიც აქვს — ავტონომია ჯავახეთს და სადავო ტაძრები საქართველოში. თუ სააკაშვილი არ მისცემდა სომხეთს მათთვის საჭირო კანონს, მაშინ სომხეთი, რასაკვირველია, მოსკოვის დიდი მხარდაჭერით აამოქმედებდა ჯავახეთს და საქართველოში კიდევ ერთი ომი დაიწყებოდა. საქართველოს პრეზიდენტმა სამი ულტიმატუმიდან მისთვის ყველაზე ნაკლებად სახიფათო აირჩია და სომხეთს ტაძრების საკითხი დაუთმო, რითაც, ფაქტობრივად, ომი გამოუცხადა საკუთარ ხალხსა და ეკლესიას. მაგრამ პრობლემა მხოლოდ ეს არ არის, სააკაშვილის არჩევანმა უბიძგა ცუდი ტენდენციებისკენ, რომლებიც შესაძლოა გადაიზარდოს დაძაბულობაში ქართველებსა და სომხებს შორის ნაციონალურ-რელიგიურ ნიადაგზე. რუსეთის გავლენის ქვეშ არსებულმა რამდენიმე საიტმა უკვე გაავრცელა პროვოკაციული ინფორმაცია სომხების ცემასთან დაკავშირებით. არ არის გამორიცხული, პროვოკაციები მოეწყოს სამცხე-ჯავახეთშიც. პრეზიდენტის მორიგმა ავანტიურამ საქართველო კვლავ საფრთხის წინაშე დააყენა. არც პატრიარქზე დაბოღმილ დეპუტატთა რევანში და არც მათ მიერ ინიცირებული ჩერქეზთა გენოციდის აღიარება არ ღირდა ამდენი.

ქართულ ფსევდოინტელექტუალურ ვითომ ლიბერალურ წრეებში უკვე დაიწყო საპატრიარქოს კრიტიკა ანტისომხურობისა და ფუნდამენტალიზმის გამო. საინტერესოა, რა რეაქცია ექნებოდა სომხეთის საზოგადოებას, სომხეთის პარლამენტს, ჩუმად, საზოგადოებასთან საუბრის გარეშე რომ მიეცა საშუალება ქართული ეკლესიისთვის, ედავა სომხეთის მიწაზე არსებული საკულტო ნაგებობებისთვის? რასაკვირველია, ქართული ეკლესია აღშფოთდებოდა, ხუმრობა ხომ არ არის, იდავო მეზობელ ქვეყანასთან დაახლოებით ასი ტაძრისთვის. და არც ისაა გასაკვირი, რომ ეკლესია ამ კანონით პრობლემებს ელის სწორედ მეზობელი სომხეთისგან, რადგან არც კათოლიკეებს, არც მუსლიმანებს, არც ებრაელებსა და არც ბაპტისტებს არა აქვთ ამხელა, სახელმწიფოთაშორის დონეზე აყვანილი პრეტენზიები ქართული ეკლესიისადმი.

საინტერესოა, მოვლენების როგორი განვითარება წარმოუდგენიათ ლიბერალ ფსევდოინტელექტუალებს? საპატრიარქოს არ ეთხოვა არაფერი პარლამენტისთვის და დალოდებოდა იმ დროს, როცა ეჩმიაძინი სასამართლო დავების ფრონტს გახსნიდა? თუ უკეთესი იქნებოდა, ქართულ ეკლესიას სინოდზე მშვიდად გადაეწყვიტა, რადგან ეჩმიაძინი და ერევანი ითხოვს ტაძრების მის გამგებლობაში გადაცემას, გადავცეთ და ამოვწუროთ კონფლიქტიო? თუ ასეა, მაშინ პარლამენტს ხვალ შეუძლია მიიღოს კანონი, რომლითაც დაიწყებს თურქი-მესხების მასობრივ ჩამოსახლებას საქართველოში, მათი ძველი დასახლების ადგილას — სამცხე-ჯავახეთში. და თუ იქ მცხოვრები სომხები გააპროტესტებენ ამ ჩამოსახლებას, იმათაც მივაფაროთ ევროსაბჭოს მოთხოვნა — ვუთხრათ, როგორც ვეუბნებით ეკლესიასა და მრევლს — თქვენ, ძმაო, ბნელები ხართ, ევროპული დემოკრატია თუ გინდათ, ისე უნდა მოიქცეთ, როგორც ევროსაბჭო ითხოვს! თუ ევროსაბჭოს მოთხოვნა მოქმედებს ეკლესიაზე, მაშინ უნდა იმოქმედოს ჯავახეთის მოსახლეობაზეც — მიიჩოჩონ და შეისახლონ თურქი-მესხები. თუ ამ ჩასახლების გაპროტესტებას დაიწყებენ, მაშინ მათაც ვეძახოთ ფაშისტები! კარგია ასეთი ვარიანტი? როგორც ჩანს, არა. როგორც ჩანს, უკეთესია კანონის მიღება არა ჩუმად, არამედ საზოგადოებისთვის წარდგენის შემდეგ და შესაძლო შედეგების გათვალისწინებით. მაშინ, რატომ გვიკვირს, რომ მართლმადიდებელი ეკლესია აპროტესტებს იმ ნაჩქარევ კანონს, რომელმაც შეიძლება ორი ერი ერთმანეთს გადაჰკიდოს? დარწმუნებული ვარ, თურქ-მესხებთან დაკავშირებითაც ეკლესია კვლავ მოითხოვს კანონზე საზოგადოებრივ მსჯელობას, რათა დაიცვას ჯავახეთის სომეხი მოსახლეობა თურქ-მესხებთან შესაძლო დაპირისპირებისგან. მაგრამ, სამწუხაროდ, დღეს ხელისუფლების ინტერესებშია როლების შეცვლა და ეკლესიის წარმოჩენა ანტისომხურად. ამ თამაშმა კი შესაძლოა საქართველო გააქროს.

შექმნილი ვითარებიდან გამოსავალი არ ჩანს. არც სააკაშვილი და არც პარლამენტი არ დათანხმდება შესწორებების გაუქმებაზე. ქართული ეკლესია კი ვერ მოახერხებს, მხოლოდ ლოცვით აიძულოს ხელისუფლება, დათმოს პოზიციები. პოლიტიკურად ეკლესია ვერ გააქტიურდება, მიუხედავად იმისა, რომ სააკაშვილის ბოლო ნაბიჯებმა კიდევ უფრო გაზარდა ეკლესიის პოლიტიკური როლი. ჯერჯერობით არ ჩანს ისეთი ძალა, რომლის ავტორიტეტი საკმარისი იქნებოდა მრევლის დიდი ნაწილის მიმხრობისა და პოლიტიკური გააქტიურებისთვის, რაც საბოლოოდ ზრდის ქაოტური და არაორგანიზებული მოქმედებების ალბათობას და რაც სრულიად პრეზიდენტისა და პარლამენტის პასუხისმგებლობაა.


## ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

პროექტის ფარგლებში შესაძლებელი გახდა ტაძრის შიგნით და ეზოში ჩაგვეტარებინა არქეოლოგიური გათხრები. ახალმა აღმოჩენებმა შეცვალა ტაძრის ისტორია. ის, რაც ისტორიულად ცნობილი იყო, დღეს ფაქტითაც დასტურდება — აღმოჩენილ იქნა პირველი ტაძრის საძირკველი და წმიდა ცოტნე აღმსარებლის საოჯახო საძვალე. არქიტექტორების, ხელოვნებათმცოდნეებისა და ისტორიკოსების ჯგუფი მუშაობს ამ საკითხების შესწავლაზე. პარალელურად ბატონ ზურა კუდავას (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორი) ხელმძღვანელობით გამოსაცემად მზადდება წიგნი „ხობის მონასტერი“.

ტაძარში დამონტაჟდა ახალი კანკელი, იწერება ახალი ხატები, გამოიცვალა სარკმლები, დასრულდა იატაკის ფილების დაგება; მიმდინარეობს საპატრიარქო რეზიდენციის მშენებლობა. ტაძარსა და რეზიდენციაში დამონტაჟდა გათბობის სისტემა.

მზადდება პროექტი წმიდა ცოტნე აღმსარებლისა და მისი ოჯახის წევრების საძვალის მოსაწყობად.

დასამზადებელია საეკლესიო ავეჯი; შესაცვლელია განათების სისტემა, ტაძრის ძირითადი კარები.

იმისათვის, რომ შევძლოთ დაწყებული სამუშაოების დასრულება, გვჭირდება თანადგომა.

გახდით მონასტრის მეგობარი.

გვჯერა, თქვენი თანადგომით შევძლებთ გავუფრთხილდეთ წინაპართა დანატოვარს და თავად გავხდეთ ღირსეული წინაპარი.




იცხოვრეთ მომავალისთვის.

უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.

**საბანკო რეკვიზიტები:**

ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: 220 101 465
ანგ. N 36 010 892 GEL;
136 180 892 USD;
236 180 892 EUR



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ან დარეკოთ: მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი — 700 607; ახალი ქსელები — 700 608; სილქნეტი — 608 608 (ზარის ღირებულებაა 1 ლარი).

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი
იღუმენია ანა (მუსელიანი)



## განცხადებები

● იყიდება, მცხეთის რაიონის სოფელ ვაზიანში (თბილისიდან 30 კმ-ში), 2000 კვ.მ. საკარმიდამო მიწის ნაკვეთი ხეხილით, სასმელი და სარწყავი წყლით. 1 კვ.მ.-ის ფასი 3 დოლარი. ტელ: 8790 53-02-41; 253-15-87.

● ოსტეოქონდროზის, სმენის დაქვეითების (ნევრიტის), ოტიტის, პროსტატიტის, ცისტიტის, კუჭ-ნაწლავის დაავადებების, სახსრების ანთების, კიდურების დაბუჟების, რადიკულიტისა და სხვა დაავადებების მკურნალობა უმაღლესი შედეგებით. მიღება ჩაწერით. გადახდა ყოველ პროცედურაზე. ფასი შეთანხმებით. ტელ: 595-45-50-35 რეაბილიტოლოგი ბ-ნი ლევანი.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● იყიდება 2-სართულიანი კერძო სახლი მეტრო „ვარკეთილთან“ (50 მეტრში). ტელ.: 273-35-63; 593 93 40 36 ლიკა.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ნევროზი, აგრესია, შიშები, ღვიძლისა და თირკმლის ფუნქციის აღდგენა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით უკუჩვენების გარეშე, იმუნიტეტის გაძლიერება 100% შედეგებით (ანონიმურობა დაცულია). ტელ: 558-96-89-15 ან 234-02-38 ექიმი მეგი.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, ტკივილი შარდვისას, ორგანიზმის გაწმენდა დაინფიცირებისგან, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით 100%-იანი შედეგებით. ტელ: 234-02-38; 558-968-915 ექიმი ქ-ნი მეგი.

● სიმაღლეში სწრაფი და ეფექტური ზრდა თვეში 3-5 სმ-ის მომატებით, 25 წლამდე, კურსის გამეორება შეიძლება სასურველ შედეგამდე, გახდომა თვეში 7-დან 20 კგ-მდე, უვნებლად, მიღებული შედეგის შენარჩუნებით, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, იმუნიტეტის გაძლიერებით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 234-02-38; 595-293-299; 8790-293-299. ექიმი ქ-ნი ინგა.

# ბულგარეთმა ახალი ამერიკელი შეიმატა და ძველიც გამოიძახა

საქართველოს ეროვნული ნაკრების დარად, ბულგარელებიც 2 ნატურალიზებული ამერიკელით მოემზადებიან ევროპის ჩემპიონატისთვის. სლავთა დამრიგებელმა როსენ ბარჩევსკიმ ახალი ამერიკელი შეარჩია: 25 წლისა 206 სანტიმეტრი სიმაღლის ცენტრი სედრიკ სიმონსი. რაც შეეხება მეორე ოკეანგაღმელს, მწვრთნელმა ორ უკანახაზელს შორის არჩევანი უკვე გააკეთა: იბრაჰიმ ჯააბერს ერლ როულანდი ამჯობინა, რომელიც 2009 წლის ევროპის ჩემპიონატზე ბულგარელთა ბომბარდირი იყო.

სიმონსმა გასული სეზონი ბერძნულ „კავალაში“ გაატარა და მატჩში საშუალოდ 12 ქულას, 10 მოხსნას და 1,8 დაფარებას აკეთებდა. 2008-□09 წლებში სიმონსი ნბაში, „ჩიკაგო ბულსსა“ და „საკრამენტო კინგსში“ გამოდიოდა, შემდეგი სეზონი კი „ნიუ ორლეანსა“ და „კლივლენდში“ გაატარა.

ორივე ამერიკელი ბულგარელთა შეკრებაზე გამოცხადდა და ნაკრებთან ერთად შეკრებას გაივლის. ხოლო ის, თუ რომელი ითამაშებს ევროპის ჩემპიონატზე, მოგვიანებით გაირკვევა. შეგახსენებთ, რომ ბულგარეთი ევრობასკეტზე საქართველოს ჯგუფშია და მათ შორის მატჩი 5 სექტემბერს, კლაიპედაში გაიმართება.

ბულგარეთის ნაკრებმა კი შეკრება 10 ივლისს დაიწყო. ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრების ერთ-ერთი მეტოქე ბულგარულ კურორტ ბოროვეცში შეიკრიბება და 25 ივლისამდე, ვიდრე ხორვატიაში ამხანაგური მაჩების გასამართად გაემგზავრებოდეს, იქ დარჩება. შეკრების დაწყების წინ ბულგარელი ჟურნალისტები მთავარ მწვრთნელ როსენ ბარჩევსკის გაესაუბრნენ.

***— რა განწყობით ხვდებით შეკრებას?***

— ჩვენი ნაკრებისთვის ევროპის ჩემპიონატზე თამაში ჩვეულებრივი მოვლენაა და არავითარ დაძაბულობას არ ვგრძნობთ. მე საკმაოდ მშვიდად ვხვდები მოსამზადებელი პროცესის დაწყებას და საფიქრალი მხოლოდ ის მაქვს, ბოროვეცში ყველა მოთამაშე ვიხილო და ყველა მწყობრში იყოს.

***— სეზონის დასრულებასა და ნაკრების შეკრების დაწყებამდე პერიოდი საკმაოდ ხანგრძლივი გამოვიდა. რაც ფიქრობთ, ეს მომზადებაზე უარყოფითად ხომ არ იმოქმედებს?***

— ნაკრების წევრები პროფესიონალები კი არიან, მაგრამ ისინი ამ პერიოდის განმავლობაში ინდივიდუალურად 100□პროცენტით მოტივირებულნი ვერ ივარჯიშებდნენ. მიუხედავად იმისა, რომ უქმად ყოფნის პერიოდი მოთამაშეებს მართლაც საკმაოდ ხანგრძლივი გამოუვიდათ, მე მჯერა ჩვენი ფიზმომზადების მწვრთნელის, ბრანკო კარალიჩის, რომელიც ამ საქმეში საკმაოდ გამოცდილია. მან იცის აღნიშნული პრობლემის შესახებ და სამედიცინო შემოწმების შემდეგ დაგეგმავს, თუ როგორი ინტესივობით და რა კომპონენტებზე ავარჯიშოს ნაკრების წევრები. იმედი მაქვს, ისინი შეკრებაზე კარგ სპორტულ ფორმაში გამოცხადდებიან. ამ მხივ სანერვიულო არ მაქვს.



***— თქვენი აზრით, შემადგენლობა რამდენად ოპტიმალურია? ორ ნატურალიზებულ უკანახაზელს შორის რატომ აარჩიეთ ერლ როულანდი?***

— შემადგენლობა საკმაოდ გაფართოებულია. მის შერჩევაზე ბევრი ვიფიქრე. რა თქმა უნდა, არიან სხვა მოთამაშეებიც, რომლებიც ნაკრებში გამოძახებას იმსახურებენ, მაგრამ ყველას ხომ ვერ გამოიძახებ. რაც შეეხება როულანდს, არსებობს არაერთი მიზეზი, რის გამოც იგი იბრაჰიმ ჯააბერს ვამჯობინე. მან დატოვა კარგი შთაბეჭდილება, როცა ბოლოს ითამაშა (ევროპის 2009 წლის ჩემპიონატზე) ბულგარეთის ნაკრებში. ამასთან ერთად, მას შემდეგ როულანდმა მოუმატა, უმაღლესი დონის გუნდთან გააფორმა კონტრაქტი. იგი საკმაოდ პოზიტიური პიროვნებაა.

***— რას ფიქრობთ, იმ ახალგაზრდა მოთამაშეებს, რომლებიც 1988 წლის შემდეგ არიან დაბადებულნი, შესაძლებელია, რომ ბოლომდე დაეყრდნოთ?***

— ახალგაზრდა მოთამაშეებმა გასულ საკვალიფიკაციო ეტაპზე ნაკრებს დიდი დახმარება გაუწიეს. მაგალითისთვის ჩავდარ კოსტოვს და ალექსანდრ იანევს მოვიყვან. მათ რიცხვს, ვფიქრობ, წლეულს ივან ლილოვიც დაემატება. მე მათი მეიმედება.

***— რას იტყოდით ევრობასკეტზე ჩვენი კონკურენტების შეკრებების შესახებ?***

— კარგი იქნება თუკი კონკურენტებს დავაკვირდებით და ეს ასეც იქნება. ამ ეტაპზე ბევრს ვერაფერს ვიტყვით. თითქმის ყველა შეიკრიბა, თუმცა ჯერჯერობით ლიდერების გარეშე. ცოტა ხანიც გავიდეს, სრულად შეიკრიბონ, სპარინგ□მატჩები გამართონ და მერე უფრო მეტი გვეცოდინება მათ შესახებ. ამ ეტაპზე ნაადრევია ამ თემაზე საუბარი.

***— დაგეგმილ საკონტროლო მატჩებზე რას იტყვით?***

— მე ვიტყოდი, რომ საკმარისზე მეტი სპარინგ□მატჩი დავგეგმეთ. ვთამაშობთ 14 მატჩს, ხოლო ზოგიერთი მეტოქე ევროპის საუკეთესო ნაკრებთა სიაში შედის. თანაც ყველა შეხვედრას სტუმრად ვატარებთ. საერთოდ, კომბინაციების სრულყოფისთვის უმჯობესია, თუკი შენი ძალის, ან ცოტა სუსტ გუნდს შეხვდები. ამ შემთხვევაში კი ჩვენ რამდენიმე გრანდი გვყავს მეტოქედ, რომლებთანაც ალბათ წავაგებთ, თუმცა ეს არ მაღელვებს. ბოლო წლებში ჩვენ ძალიან მოტივირებულნი ვიყავით და საკმაოდ წარმომადგენლობითი ამხანაგური ტურნირები მოვიგეთ კიდეც იტალიასა და ბელარუსში, რაც იმიტომ გავაკეთეთ, რომ ბულგარეთის ნაკრების პრესტიჟი აგვემაღლებინა და ნდობა მოგვეპოვებინა. ამჯერადაც ექნება შედეგს მნიშვნელობა, მაგრამ აქცენტს მოგებებზე იმდენად არ გავაკეთებთ, რამდენადაც ყველა კანდიდატის გამოცდასა და გუნდის შეთამაშებაზე.

# ფიბამ 14 კაცი დააკანონა

გადაწყდა: ევროპის ჩემპიონატზე თითოეული გუნდი 14 კალათბურთელით გაემგზავრება. აქამდე ეს მხოლოდ ვარაუდი იყო, რადგან ფიბა□ევროპის აღმასრულებელ კომიტეტს 2010 წლის 30 მაისს მიღებული გადაწყვეტილების რატიფიცირება არ ჰქონდა მოხდენილი. გასულ წელს ეს გადაწყვეტილება ფიბა□ევროპამ ევრობასკეტის მონაწილე გუნდების თხოვნით მიიღო. მოგეხსენებათ, ევროჩემპიონატზე გუნდებს ძალიან დატვირთული გრაფიკი (5 მატჩი 6 დღეში მხოლოდ ჯგუფურ ეტაპზე) დაუდგინეს და ევროპული კალათბურთის მმართველი ორგანოც შემადგენლობის გაზრდას დათანხმდა. ამ ცვლილების დაკანონება კი ახლაღა მოხდა.

ასე და ამგვარად, ევროპის ჩემპიონატზე, რომელიც 31 აგვისტოს ლიტვაში დაიწყება, თითოეული ნაკრები 14 კალათბურთელით იქნება წარმოდგენილი, თუმცა კონკრეტული მატჩის განაცხადში 12 მათგანს შეიყვანენ. შესაბამისად, გაიზარდა გუნდში ნატურალიზებული მოთამაშეების ყოლის ოდენობაც. თუკი აქამდე, 12□კაციან შემადგენლობაში მხოლოდ 1 ნატურალიზებული მოთამაშის ყოლის უფლება იყო ნებადართული, 14□კაციანში 2 უცხოელის აყვანა შეიძლება. ოღონდ, როგორც აქამდე, მატჩის განაცხადში მხოლოდ 1 მათგანის შეყვანა იქნება შესაძლებელი.

# შვიდკაცას ცუდი შედეგი

საქართველოს მორაგბეთა 7-კაცა ნაკრებმა, ევროპის გრან პრის მე-3, ბარსელონას ეტაპზე ძალიან ცუდი შედეგი აჩვენა. კახა ალანიას შეგირდებმა, კატალონიის დედაქალაქში ჩატარებული 7 შეხვედრიდან 5 წააგეს, მხოლოდ ერთხელ იმარჯვეს და ერთი თამაშიც ფრედ დაასრულეს. შედეგად, „ბორჯღალოსნებმა“ ეტაპზე მხოლოდ მე-10 ადგილი დაიკავეს.

საქართველოს ნაკრებმა ტურნირი იტალიასთან მატჩით გახსნა. მართალია, იტალია ექვსი ერის წარმომადგენელი ნაკრებია, მაგრამ 7-კაცაში დიდი არაფერი გუნდი ჰყავს, მაგრამ ამჯერად, იტალიელები ფორმაში იყვნენ. „სკუადრა აძურამ“ 2 ლელო გაიტანა და ერთი რეალიზაცია გამოიყენა, ქართველებმა მხოლოდ ერთი ურეალიზაციო ლელოთი უპასუხეს და 5:12 დამარცხდნენ.

შემდეგ მატჩი „ბორჯღალოსნებს“ წინა 2 ეტაპის გამარჯვებულ ინგლისთან უწევდათ და უშანსოდ — 7:33 დამარცხდნენ.

საფრანგეთთან ჯახის წინ, ალანიას შეგირდებს თასის ნახევარფინალში გასვლის იმედი ჯერ კიდევ ჰქონდათ. პირველი ტაიმისთვის განკუთვნილი დრო უკვე ამოწურული იყო, როდესაც მსაჯმა სანდრო ნიჟარაძე გაასინბინა და ფრანგებმაც კაცნაკლულ მეტოქესთან ლელო გაიტანეს. ამან მეორე ნახევრის მსვლელობაზეც იმოქმედა და ფრანგებმა 12:0 იმარჯვეს.

აქ, ნახევარფინალზე ოცნება დასრულდა და იმედად, მე-5-8 ადგილების ბრძოლის შანსი დარჩა, მაგრამ „ბორჯღალოსნებმა“ ვერც ჰოლანდიელებს მოუხერხეს რამე, წონასწორობა სულაც ბოლო წუთებზე აღადგინეს და — 14:14. მეორე დღეს, საქართველოს ნაკრებს ჯგუფის ბოლო მატჩში რუმინეთი რაც შეიძლება დიდი სხვაობით უნდა დაემარცხებინა და მერე ინგლისი-ჰოლანდიის შედეგს დალოდებოდა. თუ ორივე მატჩის შედეგად გატანილ-გაშვებული ბურთების სხვაობა ჩვენთვის და ჰოლანდიელებისთვის ოცდათორმეტს შეადგენდა, მაშინ ჯგუფში მე-4 ადგილი გარანტირებული გვქონდა, მაგრამ საქართველოს ნაკრები 7:12 დამარცხდა და იმედი საბოლოოდ მოკვდა.

ქართველმა მორაგბეებმა პირველი გამარჯვება მხოლოდ მე-9-12 ადგილების ნახევარფინალში, უსუსტეს მოლდოვასთან მოიპოვეს, როდესაც მეტოქეს 24:5 აჯობეს და უელსს დიდი ბრძოლა გაუმართეს, მაგრამ მათ მიერ გატანილი 3 ლელო საკმარისი არ აღმოჩნდა და 19:33 მარცხით, საქართველოს ნაკრები ბარსელონას ეტაპზე მხოლოდ მე-10 ადგილს დასჯერდა.

ამან უკუსვლა გამოიწვია საერთო ჩათვალშიც და ახლა „ბორჯღალოსნები“ მეხუთედან მე-7 ადგილამდე დაქვეითდნენ.

საქართველოს ნაკრები ბარსელონას ეტაპზე ასეთი შემადგენლობით ითამაშა: გიორგი კალმახელიძე (არმია), გიორგი შკინინი (ხულიგანა), ირაკლი გეგენავა (ყოჩები), დავით ჩიტიძე (ლოკომოტივი), შალვა მახარაშვილი (ყოჩები), ალექსანდრე ტუჩაშვილი (ლოკომოტივი), ირაკლი ღვინჯილია (ლოკომოტივი), ალექსანდრე ნიჟარაძე (ყოჩები), გიორგი ჯიმშელაძე (კლერმონი, საფრანგეთი), ვახტანგ კავთიძე (ლოკომოტივი), გიორგი კობერიძე (ლოკომოტივი), რატი ნუცუბიძე (არმია).

მდგომარეობა 3 ეტაპის შემდეგ: 1.ინგლისი 50; 2.პორტუგალია 45; 3.ესპანეთი 43; 4.რუსეთი 38; 5.საფრანგეთი 35; 6.იტალია 26; 7.საქართველო 25; 8.უელსი 24; 9.უკრაინა 16; 10.ჰოლანდია 13; 11.რუმინეთი 8; 12.მოლდოვა 4.

# ზაზა ფაჩულიამ „ბეშიქთაში“ დაადასტურა

ყოველდღე იცვლება ინფორმაციები საქართველოს ვაჟ კალათბურთელთა ეროვნული ნაკრების კაპიტანი, ცენტრალური თავდამსხმელი, ნბა-ს ერთ-ერთი საუკეთესო კლუბის, „ატლანტა ჰოუქსის“ წევრი ზაზა ფაჩულიაზე. საბოლოოდ თავად კალათბურთელმა დაადასტურა, რომ ნბა-ში ლოკაუტის დასრულებამდე, თურქეთის ერთ-ერთ საუკეთესო კლუბ „ბეშიქთაშის“ შემადგენლობაში ითამაშებს.

— ვადასტურებ, რომ მე და □„ბეშიქთაშის“ ხელმძღვანელობამ ურთიერთშეთანხმებას მივაღწიეთ და ნბა-ში ლოკაუტის დასარულებამდე, ამ კლუბში ვითამაშებ. თურქულ კლუბთან კონტრაქტს დაახლოებით ერთ კვირაში გავაფორმებ.

რაც შეეხება საქართველოს ნაკრებში თამაშს, რომელიც ამჟამად ევროპის ჩემპიონატისთვის შეკრებას გადის, ფაჩულიას თქმით, ნაკრებს 24 ივლისიდან შეუერთდება, როცა გუნდი ევროპის ჩემპიონატის ფინალური ტურნირისთვის მზადებას ავსტრიის ქალაქ შტაინბრუნში განაგრძობს. მისი აზრით, ჯგუფიდან გასვლის ყველაზე კარგი შანსი სლოვენიას და რუსეთს აქვს. რაც შეეხება მე-3 ადგილს, დანარჩენი გუნდებიდან ყველას შეუძლია იბრძოლოს.

შეგახსენებთ, რომ ნბა-ში გადასვლამდე, ფაჩულია თურქულ კლუბ □„ულქერში“□ თამაშობდა და ამ ქვეყნის პასპორტიც გააჩნია.

# ევროჩელენჯზე ქართული კლუბებისთვის ლეგიონერთა შიდა ლიმიტი იმოქმედებს

მომავალ სეზონში ევროტურნირებში 2 ქართული გუნდი იასპარეზებს. ევროჩელენჯის გათამაშებაში საქართველოს ჩემპიონი □„არმია“□ და □„სოხუმი“ გამოვლენ. ფიბა□ევროპის რეკომენდაციით, საქართველოს კალათბურთის ფედერაცია კლუბებს და ზოგადად, გულშემატკივრებს შეახსენებს იმ ლიმიტის შესახებ, რომელიც უცხოელი კალათბურთელების რაოდენობას არეგულირებს.

ფიბა□ევროპას საკუთარ ტურნირებში უცხოელებზე კონკრეტული შეზღუდვა არ აქვს დაწესებული. ყველა გუნდი ევროტურნირზე საკუთარი ქვეყნის კალათბურთის ფედერაციის მიერ დაწესებული ლიმიტის შესაბამისად გამოდის. ანუ, □„არმია“□ და „სოხუმი“ ევროჩელენჯზე ლეგიონერთა იმ ლიმიტს უნდა დაემორჩილოს, რომელიც საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატშია დაწესებული და რომელიც შემდეგში მდგომარეობს:

1. გუნდს უფლება აქვს 16□კაციან განაცხადში მაქსიმუმ 5 უცხოელი (ნებისმიერი ეროვნების) შეიყვანოს.

2. კონკრეტული მატჩის (12□კაციან) განაცხადში შესაძლებელია ხუთივე ლეგიონერის შეყვანა.

3. მატჩის მსვლელობისას შესაძლებელია მოედანზე ერთდროულად მაქსიმუმ 4 ლეგიონერის ყოფნა. შესაბამისად, მოედანზე ყოველთვის უნდა იმყოფებოდეს მინიმუმ ერთი არალეგიონერი (საქართველოს მოქალაქე).

ეს წესები საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში მოქმედებს და შესაბამისად, იგივე წესები გავრცელდება ქართული კლუბებისთვის ევროტურნირებში.

# კოლუმბია მეოთხედფინალში

**კოლუმბია-ბოლივია 2:0**

***1:0, 2:0 ფალკაო (14, 29, პ)***

**კოლუმბია:** მარტინესი, არმერო, იეპესი, პერეა, სუნიგა, სანჩესი, გუარინი (კუარდადო 50), აგილარი, მორენო (როდალეგა 46), რამოსი (სოტო 78), ფალკაო

**ბოლივია:** არიასი, რალდესი, ალვარესი, ვარგასი, ამადორი, არსე (პედრიელი 71), რობლესი, გარსია, კამპოსი, ედივალდო (ვაკა 46), მარტინსი (პენა 61)

პირველი გუნდი, რომელმაც კოპა ამერიკის მიმდინარე გათამაშებაში მეოთხედფინალის საგზური მოიპოვა, კოლუმბიის ეროვნული ნაკრებია. მე-3 ტურის პირველ მატჩში მოგებით, ერნან გომესის შეგირდებმა არა მხოლოდ შემდეგ ეტაპზე თამაშის უფლება მოიპოვეს, არამედ მათ ჯგუფში პირველობაც გაინაღდეს.

კოლუმბია ბოლივიასთან თავიდანვე ფავორიტად იყო შერაცხული და იოლი გამარჯვება გასაკვირი არ ყოფილა. ერნან გომესის შეგირდებმა მეტოქეს საქმე საწყის ნახევარ საათში მოუმთავრეს. მე-14 წუთზე, მორენოს გადაცემით მეკარესთან პირისპირ გასულმა ფალკაომ ანგარიში გახსნა, ხოლო თოთხმეტ წუთში, მანვე თერთმეტმეტრიანი გარდასახა გოლად და შედეგად ფალკაო გახდა პირველი ფეხბურთელი მიმდინარე გათამაშებაში, რომელმაც დუბლი გაიფორმა. გარდა ამისა, იგი გახდა მე-5 კოლუმბიელი ფეხბურთელი, რომელმაც კოპა ამერიკის ერთ მატჩში 2-ჯერ მოახერხა მეტოქის კარის აღება.

არგენტინელებთან პირველივე ტურში ნათამაშები ფრეს შემდეგ ბოლივიელთაგან ცოტა მეტს ელოდნენ და ეს მხოლოდ მე-2 ნახევრის დასაწყისში გამოჩნდა, როდესაც ბოლივიამ მცირე უპირატესობა მოიპოვა, მაგრამ ფავორიტმა მალევე მატჩის სადავეები დაიბრუნა და რამდენიმე სახიფათო მომენტიც შექმნა, მაგრამ მეტი გოლის გატანა ველარ მოახერხეს.

ამ ჯგუფში მეორე მეოთხედფინალისტის ვინაობა დილით გაირკვეოდა, არგენტინისა და კოსტა რიკის ეროვნული გუნდების მატჩისას.

**სატურნირო ცხრილი:**

**ა ჯგუფი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.კოლუმბია | 3 | 2 | 1 | 0 | 3:0 | 7 |
| 2.კოსტა რიკა | 2 | 1 | 0 | 1 | 2:1 | 3 |
| 3.არგენტინა | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 2 |
| 4.ბოლივია | 3 | 0 | 1 | 2 | 1:5 | 1 |

## შედეგები

**ფეხბურთი**

**კოპა ამერიკა**

კოლუმბია-ბოლივია .......... 2:0

**უკრაინა. ვიშა ლიგა**

შახტარი-ობოლონი .......... 2:0
დინამო-მეტალისტი .......... 1:1
ჩერნომორეცი-მეტალურგი(დ) .......... 0:1

**ირლანდია. პრემიერ დივიზიონი**

სტ.პატრიკი-დანდალკი .......... 2:2

**შვედეთი. ალსვენსკა**

გიოტებორგი-სირიანსკა .......... 3:0
მიალბი-ჰეკენი .......... 1:2
ელფსბორგი-იორებრო .......... 3:0

**ნორვეგია. ტიპელიგა**

ვალერენგა-ტრომსო .......... 2:0

**ფინეთი. ვეიკაუსლიგა**

ვაასა-კუუპიო .......... 1:1
მარიეჰამნი-ჰაკა .......... 2:1
ჰონკა-მიუპა .......... 1:1

**აშშ. მლს**

პორტლენდი-სიეტლი .......... 2:3

**ბრაზილია. სერია ა**

ატლეტიკო(გ)-კორინთიანსი .......... 0:1
ბაია-ბოტაფოგო .......... 1:1
გრემიო-კურიტიბა .......... 2:0
ფლუმინენსე-ფლამენგო .......... 0:1
ატლეტიკი(მ)-ამერიკა .......... 2:0
პალმეირასი-სანტოსი .......... 3:0
ფიგუირენსე-სეარა .......... 1:1

**ფრენბურთი**

**მსოფლიოს ლიგა. რვათა ფინალი**

**კაცები**

არგენტინა-პოლონეთი .......... 0:3
რუსეთი-ბრაზილია .......... 3:2

**ევროლიგა**

ჰოლანდია-ესპანეთი .......... 0:3
საბერძნეთი-ავსტრია .......... 0:3
სლოვენია-ბელგია .......... 0:3
სლოვაკეთი-თურქეთი .......... 3:2
ხორვატია-დ.ბრიტანეთი .......... 3:2

**ევროლიგა**

**ქალები**

საბერძნეთი-სერბეთი .......... 0:3

**ელცინის თასი**

**ქალები**

რუსეთი-პოლონეთი .......... 3:2
ჩინეთი-ბრაზილია .......... 3:2

**ჩოგბურთი**

**ატპ. ნიუპორტი. ბალახი**

**ფინალი**

ისნერი-როხუსი ო. .......... 6:3;7:6

**ვტა. ბუდაპეშტი. თიხა**

**ფინალი**

ვინჩი-ბეგუ .......... 6:4;1:6;6:4

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

# „საბამ“ გამარჯვებულები გამოავლინა

ეკა ირემაშვილი

ლიტერატურულმა პრემიამ „საბა“, რომელიც ყველაზე პრესტიჟულ ლიტერატურულ პრემიად არის მიჩნეული, რიგით მეცხრე დაჯილდოების ცერემონიალი „თიბისი ბანკში“ გამართა და საუკეთესოები დაასახელა. შეკრებილი საზოგადოებისთვის ამაღლებული მუსიკალური განწყობის შექმნაზე თბილისის ბიგ ბენდი ზრუნავდა.

წელს „საბაში“ მონაწილეობის სურვილი სხვადასხვა გამომცემლობამ და ავტორმა გამოთქვა. 148 წიგნიდან ჟიურიმ ფინალში მხოლოდ 56 საუკეთესო გაადიყვანა. წელს ჟიურიში მწერალი ბესო ხვედელიძე, პოეტი დიანა ანფიმიადი, მწერალი გურამ ოდიშარია, მთარგმნელი მანანა ღარიბაშვილი და ირაკლი ჯავახიშვილი გაერთიანდნენ. კონკურსის ორგანიზატორმა „თიბისი ბანკმა“ გამარჯვებულებს, პრიზებთან ერთად, სოლიდური ფულადი პრემიები გადასცა. წლევანდელი საპრემიო ფონდი 40.000 ლარს შეადგენდა.

ყოველწლიური ლიტერატურული პრემია „საბა“ 2003 წელს დააფუძნა „თიბისი ბანკმა“, ტელეკომპანიამ „რუსთავი-2“-მა და „პენცენტრმა“. პრემიის მიზანია წინა ერთი წლის საუკეთესო წიგნების გამოვლენა. 5-კაციანი ჟიურის მიერ პრემიაზე განიხილება საქართველოში წინა წელს წიგნად გამოცემული ყველა ორიგინალური ლიტერატურული ნაწარმოები და უცხოური ნაწარმოების ქართული თარგმანი, ხოლო იმ ავტორს, რომელსაც გამორჩეული წვლილი მიუძღვის ქართული ლიტერატურის წინაშე, გადაეცემა პრემია „ლიტერატურის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის“.

წელს „საბას“ ნომინაციების რაოდენობას ერთი ნომინაცია დაემატა — „წლის საუკეთესო ლიტერატურული კრიტიკა“ ლიტერატურული პრემიის ორგანიზატორებმა ცალკე ნომინაციის სახით გამოიყვეს, რათა მეტი სტიმული შეიქმნას ამ უმნიშვნელოვანესი მიმართულებით ახალი წიგნების გამოსაცემად. წლევანდელ ცერემონიას ტრადიციულად პოეტი რატი ამაღლობელი უძღვებოდა. დაჯილდოების ცერემონიალის მეორე წამყვანი რუსთაველის თეატრის წამყვანი მსახიობი ნინო კასრაძე იყო.

ნომინაციაში „წლის საუკეთესო პროზაული კრებული“ გამარჯვებული გახდა მაკა მიქელაძე „მე და ჩემი კუსტურიცა“. ნომინაციაში ასევე წარდგენილნი იყვნენ ნინო თარხნიშვილი, „სათაური 37-ე გვერდზე“ (დიოგენე), გურამ მეგრელიშვილი „ადამიანის ქალაქი“ (დიოგენე), ბესო სოლომანაშვილი, „რეისი ლონდონი-ზუზუმბო“ (დიოგენე), ზურაბ ლეჟავა, „უხურდავებელი მონეტა“ (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა), ლადო კილასონია, „როცა უკვე დაგვაგვიანდა“ (პეგასი), გიგი თევზაძე, „უცნობი წიგნები ქართველებისთვის“ (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა).

ნომინაციაში „წლის საუკეთესო პოეტური კრებული“ გაიმარჯვა გივი ალხაზიშვილმა „ჩაბრუნებული მზერა“. ამ ნომინაციაში ასევე წარდგენილნი იყვნენ ლელა სამნიაშვილი „ფრაქტალები“ (სიესტა), ეკა ქევანიშვილი „აქ ნუ დადგებით“ (დიოგენე), დათო ყანჩაშვილი „სიფხიზლის გამო“ (დიოგენე), პაატა შამუგია „უპირატესობა“ ( დიოგენე), თემურ ჩხეტიანი „უადრესატოდ“ (დიოგენე), კატო ჯავახიშვილი „მარცხნივ“ (საუნჯე), ნიკა ჯორჯანელი, „სიმღერები დაწყვეტილი სიმებისათვის“ (საუნჯე), ქეთი ნიჟარაძე, „წაუკითხავი ლექსები“ (ინტელექტი).

ნომინაციაში წლის საუკეთესო პიესა საუკეთესო გახდა თამაზ ექვთიმიშვილი „პუანტები“. ნომინაციაში წარდგენილნი იყვნენ დათო გაბუნია „სხვისი შვილები, საპნის ოპუსი“ (სიესტა), შოთა იათაშვილი, „მავედრებელი“ (ჟურნალი „აფრა“), ზურაბ კანდელაკი „სულ ერთი წუთი მადროვე, ჯალათო!“ (ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოება), ლაშა ბუღაძე „თავი“ (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა), თამარ ბართაია „სათამაშო პისტოლეტი“ (ჟურნალი „ლიტერატურული პალიტრა“), ირაკლი სოლომანაშვილი „მაპატიე, დედიკო!“ და „მარილი“ (ჟურნალი „ლიტერატურული პალიტრა„ და „ქართული მწერლობა„), მანანა დოიაშვილი „ერთი ტყვიაც, რა, ღმერთო!„ (ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“).

ნომინაციაში „წლის საუკეთესო დებიუტი“ გაიმარჯვა თამთა მელაშვილმა „გათვლა“. ამ ნომინაციაში წარდგენილნი იყვნენ მიშა ბახსოლიანი „ყველას უყვარს მარი“ (დიოგენე), ირმა არჩუაშვილი „ინო“ (სააარი), ოლესია თავაძე „სევდიანი ჩანაწერები“ (ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოება), ლუკა ბაქანიძე „ღმერთი ჩემი მოხეტიალე“ (კავკასიური სახლი), ნატა ვარადა, „ერთი საათით გვიან“ (ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოება), დევი ბერძენიშვილი (მთარგმნელი), კნუტ ჰამსუნის „შიმშილი“ (არეტე).

ნომინაციაში „წლის საუკეთესო თარგმანი“ „საბა“ მიიღო გიორგი ლობჟანიძემ საადი შირაზელის „გოლესთანი“ (კავკასიური სახლი). ამ ნომინაციაში წარდგენილნი იყვნენ: გიორგი კახაბერი ჟან ჟენეს „ნოტრ-დამ-დე-ფლერი“ (დიოგენე), ლია ჩლაიძე ორჰან ფამუქის „მე წითელი მქვია“ (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა), მაია ქაცანაშვილი მარტენ პაჟის „როგორ გავხდი იდიოტი“ (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა), გიორგი ლობჟანიძე საადი შირაზელის „გოლესთანი“ (კავკასიური სახლი), მერი ტიტვინიძე, ხულიო კორტასარის „კლასობანა“ (არეტე), ლელა დუმბაძე „განდი“ (ქართული ბიოგრაფიული ცენტრი), თემურ ხანთაძე „ავსტრიული მოთხრობა“ (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა), გივი კიკილაშვილი, ფეოდორ დოსტოევსკის „ძმები კარამაზოვები“ (მხატვრული ლიტერატურა).

ნომინაციაში „წლის საუკეთესო კრიტიკა“ გამარჯვებული გახდა ნუგზარ მუზაშვილი „გაქცევა ისტორიიდან“ და შოთა იათაშვილი „დალაგება“. ამ ნომინაციაში მხოლოდ ეს ორი ავტორი იყო წარდეგნილი და ჟიურიმ წელს პირველად დაწესებულ ნომინაციაში „წლის საუკეთესო კრიტიკა“ „საბა“ ორ ავტორს გაუყო.

ნომინაციაში „წლის საუკეთესო ესეისტიკა და დოკუმენტური პროზა“ „საბა“ მიიღო პაატა ქურდაძემ „ფსიქოდელიური ქრონიკა“. ამ ნომინაციაში წარდგენილნი იყვნენ: ნაირა გელაშვილი „ჰოლდერლინი“ (კავკასიური სახლი), ინგრიდ დეჰრავე, თამარ ბაბუაძე „□ცხოვრება მუზეუმში“ (ლინკი), გიორგი კაკაბაძე „ნიკო ფიროსმანი — დაკარგული უბრალოების ძიება“ (პეგასი), დათო ტურაშვილი, „ამერიკული ზღაპრები“ (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა), გივი ალხაზიშვილი, „მომავალი წარსული“ (სიესტა), ლევან ბერძენიშვილი, „წმინდა წყვდიადი“ (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა), ლევან ბრეგაძე, „მოგ-

გაგრძელება მე-11 გვერდზე

# ბუბა კიკაბიძეს ახალ ფილმში იღებენ

მას შემდეგ, რაც ქართველი მსახიობის ბუბუა კიკაბიძის გმირს, ვალიკო მიზანდარს კინოფილმ „მიმინოდან“ დილიჟანში მონუმენტი დაუდგეს, ქართველი მსახიობი ახალ ფილმში მონაწილეობისთვის ემზადება. სომხეთში ვალიკო მიზანდართან „მიმინოს“ მეორე არანაკლებ მნიშვნელოვან პერსონაჟს რუბიკ ხაჩიკიანსაც დაუდგეს. მის როლს ფილ-



მში ცნობილი მსახიობი ფრუნზიკ მკრტიჩიანი ასრულებს. რუბიკ ხაჩიკიანის მშობლიურ ქალაქში მონუმენტის გახსნის ცერემონიას საქართველოს ელჩი სომხეთში თენგიზ შარმანაშვილი დაესწრო. როგორც მონუმენტის პრეზენტაციაზე გახდა ცნობილი, „მიმინოს“ ცნობილ პერსონაჟებს მსგავს მონუმენტს სულ მალე თბილისშიც დაუდგამენ.

მანამდე კი ბუბა კიკაბიძე ახალ კომედიაში სათამაშოდ ემზადება. ცნობილი ქართველი მომღერალი და მსახიობი სომხურ კომედიაში ითამაშებს. ფილმის სახელწოდებაა „ბაბუა-005“. ბუბა კიკაბიძე უკვე სომხეთშია, სადაც ფილმის გადაღებები მიმდინარეობს. „ბაბუა 005“-ის გადაღებები პირველ ივლისს დაიწყო. შემოქმედებითმა ჯგუფმა გადასაღები მოედანი სევანის ტბაზე გაშალა. ფილმის რეჟისორი თეატრისა და კინოს ცნობილი მსახიობის ფრუნზიკ მკრტიჩიანის ძმისშვილია.

ფილმში მთავარ როლებს რუსი მსახიობები სერგეი შაკუროვი და დიმიტრი მარიანოვი ასრულებენ. როგორც სერგეი შაკუროვი ფილმთან დაკავშირებით განმარტავს, მთელი შინაარსის მოყოლას არ აპირებს, თუმცა იმის გამხელა კი შეუძლია, რომ ახალ სომხურ კომედიაში ბაბუა ცდილობს, შვილიშვილს ბედნიერების ძიებაში დაეხმაროს. მისი შვილიშვილი ახალგაზრდა ნიჭიერი ბიჭია, რომელიც დიპლომატად მუშაობს. მას შეცდომა მოსდის, რომლის გამოსწორებასაც უშიშროების ფედერალური სამსახურის თანამშრომელი ბაბუა ცდილობს.

ახალი სომხური კომედიის „ბაბუა 005“-ის გადაღებების მეორე ნაწილი რუსეთშია დაგეგმილი. ჯერჯერობით უცნობია, მოუწევს თუ არა ბუბა კიკაბიძეს რუსეთში ჩასვლა, რადგან 2008 წლის რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომის შემდეგ ქართველმა მომღერალმა და მსახიობმა მეზობელ ქვეყანაში ჩასვლაზე კატეგორიული უარი განაცხადა.

ახალი სომხური კომედიის „ბაბუა 005“ პრემიერა 2012 წლის გაზაფხულზეა დაგეგმილი. სწორედ ამ პრემიერის შემდეგ ჩაეშვება ფიმლი კინოგაქირავებაშიც.

ეკა ირემაშვილი

# ქართული ენა ელექტრონულ ქსელში დამკვიდრდება

ეკა ირემაშვილი

ქართულ ენასა და თანამედროვე ტექნოლოგიებს თბილისში კონფერენცია მიეძღვნა, რომელსაც პარლამენტის ეროვნულმა ბიბლიოთეკამ უმასპინძლა. კონფერენციის მიზანს წარმოადგენდა ქართული ენის ტექნოლოგიური მხარდაჭერის აქტუალიზაცია როგორც სამეცნიერო წრეებში, ისე სახელმწიფო სტრუქტურებსა და ფართო საზოგადოებაში. ღონისძიება არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ორგანიზებით შედგა, ხოლო თანაპარტნიორობა პარლამენტის ეროვნულმა ბიბლიოთეკამ ითავა.

კონფერენციის თემატიკაზე — ენის კომპიუტერული მოდელირება, კორპუსის ლინგვისტიკა, ენის დისტანციური სწავლება, კომპიუტერული ლექსიკოგრაფია და მონაცემთა ბაზები და ელექტრონული ბიბლიოთეკები — ქართველმა მეცნიერებმა იმსჯელეს. პირველად მსგავსი კონფერენცია 2008 წელს გაიმართა. წელს კონფერენციას ლატვიიდან, ლიტვიდან, რუსეთიდან, დიდი ბრიტანეთიდან, სომხეთიდან ესტუმრნენ.

ქართული ენის ტექნოლოგიური მხარდაჭერა, ქართული ენის ნაციონალური კორპუსის შექმნის გარდა, სათარგმნი პროგრამების შექმნასაც გულისხმობს. ქართული ენის თანასწორუფლებიან წევრად ჩართვა საინტერნეტო სივრცეში, რომელიც სხვა ევროპული ენების სათარგმნი პროგრამებით უკვე უზრუნველყოფილია, რთული და შრომატევადი საქმეა. ამაზე ქართველი მეცნიერებიც გვეთანხმებიან, თუმცა აქვე დასძენენ, რომ წარმოდგენილი აქვთ ქართული ენის კომპიუტერული პროგრამები და მოდელირებასთან დაკავშირებული კონცეპტუალური საკითხები.

ორდღიანი კონფერენციის დასკვნითი ეტაპი არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტში შედგა, სადაც ქართველურ ენათა განყოფილების მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი თედო უთურგაიძე სტუმრებისა და მომხსენებლების წინაშე ორი მოხსენებით წარდგა. პირველი მოხსენება ქართულ ზმნას შეეხო, ხოლო მეორე — სახელთა ფორმებს.

**ლია ეზუგბაია, ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორი:**

— ათასწლეულის მიჯნაზე მკვეთრად გამოიკვეთა კომპიუტერული ტექნოლოგიების როლი ეროვნული ენებისა და კულტურების შენარჩუნებისა და განვითარების საქმეში. ჩვენი მიზანი პლანეტის ელექტრონულ ნერვულ სისტემაში ქართული ენის ჩართვაა, რადგან XXI საუკუნე ტექნოლოგიების საუკუნე და ინტერნეტის ეპოქაა. ბუნებრივ ენათა სრულფასოვანი ფუნქციონირებისა და განვითარებისათვის აუცილებელი პირობაა ენობრივ მონაცემთა დამუშავება თანამედროვე ტექნოლოგიებით. ეს პრობლემა ქართული ენის წინაშეც დგას.

— გადაუდებელ ამოცანად გვესახება ელექტრონულ სივრცეში ქართული ენის სრულფასოვანი ჩართვის უზრუნველყოფა. ამ ამოცანის გადაჭრა მოითხოვს ქართული ენის მოდელირებას და მასზე დაფუძნებული კომპიუტერული სისტემების შექმნას. თუ გვინდა, ქართულმა ენამ შეინარჩუნოს თავისი ფუნქცია და არ გადავიდეს ის მეორე პლანზე, მაშინ ჩვენ ყველაფერი უნდა აგვაკეთოთ იმისთვის, რომ ქართული ენა იყოს ინტერნეტის ენაც თავისი ლექსიკონებით, განმარტებებითა თუ მართლწერის საკითხებით. კონფერენციის მიზანიც სწორედ ამ მიმართულებით წარმოებული სამუშაოების წარმოდგენა და შედეგების შეჯამება, ასევე სამომავლო ამოცანების დასმა და გამოცდილების ურთიერთგაზიარებაა.

*— რეალურად შესაძლებელია ქართული ენის ელექტრონულ ნერვულ სისტემაში ჩართვა?*

— ყველა ნაციონალური ენისათვის ყველაზე დიდი გამოწვევა ტექნოლოგიებია — ინტერნეტსივრცეში ნაციონალური ენები სრულფასოვნად უნდა იყოს წარმოდგენილი. პირველ რიგში განთავსებული უნდა იყოს ელექტრონული ლექსიკონების კორპუსი — თარგმნითი, განმარტებითი, ტერმინოლოგიური, დარგობრივი. ასევე, უნდა იყოს მართლწერის შესამოწმებელი პროგრამები, აუცილებელი ამოცანაა თარგმნითი პროგრამების შექმნა: ამ რთული ამოცანის განხორციელება შეუძლებელია ლექსიკონების, დიდი ტექსტური ნაციონალური კორპუსის გარეშე. ეს ძალიან რთული და შრომატევადია როგორც ადამიანური, ისე ფინანსური რესურსების მხრივ, ამიტომ ამ ამოცანების განხორციელება მხოლოდ ერთი ინსტიტუციის მიერ შეუძლებელია, აქ უნდა იყოს ჩართული ყველა, ვისაც ეს აინტერესებს. რაც მთავარია, უნდა იყოს სახელმწიფოს და ბიზნესის მხარდაჭერა. ყველა ქვეყანაში ასეა, ამგვარი პროდუქტი როგორც სახელმწიფო სტრუქტურების, ასევე ბიზნესის სექტორისა და მეცნიერების ერთობლივი ძალისხმევის შედეგია. ამ წუთისათვის ამ ტიპის თანამშრომლობა ჩვენს სინამდვილეში არ არსებობს. სახელმწიფოსგან გარკვეული მხარდაჭერა არის, რუსთაველის ეროვნულ ფონდში გამოცხადებულია ელექტრონული ლექსიკონების კონკურსი. ეს მხოლოდ პირველი ნაბიჯებია. თუ მთლიანად საზოგადოება და ბიზნესი არ გააქტიურდა, ვერაფერს გავხდებით. ტექნოლოგიები უცხოეთიდან მოდის და ის ფული ღირს, პროგრამისტების მუშაობაც საკმაოდ ძვირი სიამოვნებაა. ძალიან ბევრი სამუშაო აქვს ყველას ერთად საზოგადოებასაც, მეცნიერებსაც, სახელმწიფოსაც და ბიზნესსაც. თუ ჩვენ გამოცდილების გაზიარების გზით ამ იდეის პოპულარიზაციას ჩვენს ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთაც მოვახერხებთ, უფრო წარმატებული ნაბიჯებით წავალთ წინ. უკვე რამდენიმე აკადემიური ინგლისურ-ქართული ონლაინ ლექსიკონი არსებობს. ახლა ენათმეცნიერების ინსტიტუტში მუშავდება ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი ელექტრონული სახით, ის მომავალ წელს უკვე სრულად იქნება მზად და ინტერნეტშიც შეგეძლებათ მოიძიოთ. მუშავდება ორთოგრაფიული ელექტრონული ლექ-

გაგრძელება მე-11 გვერდზე



## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. აზროვნების უნარი, გონება; 2. ირმისებრთა ოჯახის ცხოველი; 3. სხივთმოსილი წმინდა თასი; 5. დადუღებული ყურძნის წვენი; 6. სამონასტრო კომპლექსი იმერეთში; 8. ლეჩხუმში გავრცელებული წითელყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში; 10. დაბალი რანგის დიპლომატიური წარმომადგენელი; 12. გამომშრალი, გამხმარი ყურძენი; 14. მცენარის ფოთლებზე შეყინული ორთქლი; 15. ქართველი ისტორიკოსი, ეთნოგრაფიული სკოლის ფუძემდებელი; 16. ძვირფასმერქნიანი ტროპიკული ხე.

**თარაზულად:** 1. გალაკტიონ და ტიციან ტაბიძეების მშობლიური სოფელი; 4. უდიდესი ქრისტიანული დღესასწაული; 7. ეკლესიის კედლებზე შესრულებული ნახატი; 9. „ბითლზის“ ერთ-ერთი წევრი; 11. ოდესის ძველი სახელწოდება; 12. ზღვისპირა კურორტი აჭარაში; 13. მანძილი სიტყვებსა და ასოებს შორის ნაბეჭდ ტექსტში; 17. სამეფო ტახტის მემკვიდრის ტიტული; 18. სპორტული ინვენტარის მწარმოებელი ფირმა; 19. დუქნების, სასადილოების რიგი ძველ თბილისში; 20. მედიცინის ერთ-ერთი დარგი.

შეადგინა თ. კოპალეიშვილმა

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდისა და სკანვორდის პასუხები:

### კროსვორდის პასუხები:

**თარაზულად:** 4. ქარვასლა; 6. პრემიერა; 8. ინსტრუქტორი; 10. ლაპლასი; 11. არსი; 12. ასკეტი; 14. მერხი; 17. ალალი; 19. კარტი; 20. მედისონი; 21. იორი; 22. აირწინაღი; 23. მიელიტი.

**შვეულად:** 1. მაგნიტი; 2. გეორგინი; 3. არამისი; 5. ატრიბუტი; 7. კომპასი; 9. ანაპოლისი; 13. პიკნიკი; 15. ელარჯი; 16. მეგერა; 18. კრივი.

### სკანვორდის პასუხები:

1. იზაი; 2. კინკანი; 3. ნეტო; 4. იავა; 5. მერანი; 6. ანი; 7. მოლფეტა; 8. აფრიკა; 9. ასაკი; 10. ნერბი; 11. კია; 12. ლეიტე; 13. კალათა; 14. კოლი; 15. პა; 16. კუნელი; 17. ელა; 18. პომიდორი; 19. კივი; 20. ლა; 21. ალიო; 22. ლობიო; 23. მასნე; 24. ტარ; 25. მო; 26. ატრიბუტი; 27. ინტალიო; 28. გუბე; 29. ანგიომა; 30. ორგია; 31. ბრედ; 32. პანტომიმა.

**სურათებზე:** ოპრა უინფრი; დიმიტარ ბერბატოვი.

# ჩივაძემ, ფირცხალავამ და არველაძემ თანამდებობები შეინარჩუნეს

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გუშინდელ აღმასკომის სხდომაზე, ხსენებული ორგანიზაციის ვიცე-პრეზიდენტებად ალექსანდრე ჩივაძე და გია ფირცხალავა ერთხმად აირჩიეს, ხოლო სფფ-ს პრეზიდენტმა დომენტი სიჭინავამ გენერალურ მდივნად რეზო არველაძე დანიშნა.

ჩამოთვლილი პირები ამ თანამდებობებზე აქამდეც მუშაობდნენ და აღმასკომის ახალი შემადგენლობის მიერ მათი დამტკიცება ფაქტობრივად ფორმალობა იყო, რადგან სხვა კანდიდატებიც არც განხილულა. აღმასკომის 19 წევრიდან ფეხბურთის ფედერაციაში 15 იყო შეკრებილი — არ იმყოფებოდნენ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი ლადო ვარძელაშვილი თავის მოადგილე დავით ნამგალაურთან ერთად, აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი მურად ანჯაფარიძე და პარლამენტარი გიორგი ასანიძე.

გუშინდელ სხდომაზე აღმასკომმა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის წერილი განიხილა, რომელშიც გურულები დაყადაღებული საფეხბურთო კლუბის □„გურია 2000“-ის ნაცვლად, პირველ ლიგაში ლანჩხუთის □„გურიას“ დაშვებას მოითხოვდნენ. აღმასკომის წევრებმა ლანჩხუთელთა მოთხოვნა დააკმაყოფილეს.

აღმასკომზე გადაწყდა, რომ შეიქმნება კომისია, რომელიც პასუხისმგებელი იქნება საქართველოში სტადიონების მდგომარეობის გაკონტროლებაზე. კომისიის თავმჯდომარედ სიჭინავა აირჩიეს, ხოლო მის შემადგენლობაში ვარძელაშვილი, ნამგალაური, ასანიძე, ჩივაძე, ფირცხალავა და არველაძე შევიდნენ.

რაიონებში მუნიციპალიტეტების დაქვემდებარებაში მყოფ სკოლებში, სადაც სპორტის სახეობები კომპლექსურად ფინანსდება, ფეხბურთი ერთ-ერთ სახეობად შედის და გამოყოფილი აქვს დაფინანსება. სამსაჯო კომიტეტის თავმჯდომარემ სერგო კვარაცხელიამ აღმასკომის წინაშე დააყენა საკითხი, რომ ფეხბურთი ცალკე გამოიყოს თავისი დაფინანსებით და ჩამოყალიბდეს ცალკე საფეხბურთო სკოლები. ხსენებულ პროექტს სიჭინავას მრჩეველი აკაკი ლოდია მოამზადებს და მთავრობას განსახილველად წარუდგენს.

# სლოვენიელები ქართველებს ლორბეკების გარეშე ეთამაშებიან

ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრების მეტოქე სლოვენიას ერთ-ერთი ლიდერი და გუნდის იმედი — ერაზმ ლორბეკი გამოაკლდა. ეს ამბავი სლოვენიელთა ნაკრების შეკრებამდე რამდენიმე საათით ადრე, 10 ივლისს გაირკვა.

ამ ამბავთან დაკავშირებით სლოვენიის კალათბურთის ფედერაცია და ნაკრების მწვრთნელი ბოჟიდარ მალკოვიჩი ოფიციალურ განცხადებას უახლოეს დღეებში გააკეთებენ და ლორბეკის ნაკრებიდან მოკვეთის მიზეზსაც დაასახელებენ. ესპანური „ბარსელონას“ ფორვარდ□ცენტრი სლოვენიაში, კურორტ კრასნა გორაში ჩავიდა, ნაკრების შეკრება დაიწყო, მაგრამ ლორბეკს არ უვარჯიშია, რამდენიმე საათში კი სლოვენიის კალათბურთის ფედერაციის ვებ□გვერდზე ერაზმის ნაკრებიდან მოკვეთის ინფორმაცია გაჩნდა.

რამდენიმე დღით ადრე ერაზმის ძმა, დომენ ლორბეკიც ჩამოშორდა ნაკრებს, რისი მიზეზიც ფეხზე გადატანილი ოპერაცია გახლდათ. რა გახდა კლასითა და რეპუტაციით უფრო მაღალი ერაზმ ლორბეკის ნაკრებს მიღმა დარჩენის მიზეზი, ამას რამდენიმე დღეში შევიტყობთ. თუმცა ეს უკვე ნაკლებმნიშვნელოვანია. ფაქტი ერთია: სლოვენია ევროპის ჩემპიონატზე ერთ-ერთი ლიდერის გარეშე დარჩა.

შეკრებაზე არ მისულან სლოვენიის ნაკრების წამყვანი მოთამაშეები: ბოსტიან ნახბარი, იაკა ლაკოვიჩი, მატიაჟ სმოდიში და ბენო უდრიჰი. მწვრთნელთან შეთანხმების საფუძველზე ეს კვარტეტი ნაკრებს 18 ივლისს, სლოვენიის ქალაქ პტუჟში შეუერთდება.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

# პატრიარქი 500-ზე მეტ ბავშვს მონათლავს

*ეკა ირემაშვილი*



13 ივლისს, როდესაც მართლმადიდებლური სამყარო 12 მოციქულის ხსენების დღეს აღნიშნავს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა თბილისის მთავარეპისკოპოსი, ბიჭვინთისა და ცხუმ აფხაზეთის მიტროპოლიტი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II რიგით მე-18 საყოველთაო ნათლობას გამართავს.

12 ივლისს მორწმუნეები პეტრე-პავლობის დღესასწაულს ზეიმობენ. პეტრე-პავლობის მარხვის დასრულებისთანავე სამების საკათედრო ტაძარში პატრიარქის ნათლულთა გაქრისტიანება დაიწყება.

პირველი საჯარო ნათლობა სამების საკათედრო ტაძარში 2008 წლის 19 იანვარს ნათლისღების დღესასწაულზე შედგა. საქართველოში დემოგრაფიული პრობლემის გადაჭრის მიზნით, მისმა უწმინდესობამ განმარტა, რომ მშობლების თანხმობის შემთხვევაში, ის გახდებოდა ყოველ ჯვარდაწერილ ოჯახში მესამე და მომდევნო შვილის ნათლია. მოგვიანებით მისმა უწმინდესობამ გამოთქვა სურვილი, მონათლოს ყოველ ოჯახში დაბადებული მეოთხე შვილიც, რომელსაც საქართველოს ეკლესიის მცველის ტიტულს მიანიჭებს. პატრიარქის ინიციატივამ ქართულ საზოგადოებაში დიდი მოწონება დაიმსახურა. ამ ინციატივის გაჟღერების შემდეგ უკვე 17 საყოველთაო ნათლობა ჩატარდა. ბოლო მე-17 საჯარო ნათლობა 15 მაისს სამების საკათედრო ტაძარში შედგა, სადაც მისმა უწმინდესობამ 650 ჩივლი მოანთლა. საქართველოს პატრიარქს ილია II-ს კი მთლიანობაში ამ დროისთვის 8.778 ნათლული ჰყავს.

# ქართული ენა ელექტრონულ ქსელში დამკვიდრდება

დასაწყისი მე-10 გვერდზე

სიკონიც. უკვე არსებობს ქართული ენის დიალექტების ტექსტური კორპუსი, ანუ, გარკვეული პროდუქტები რაღაც დონეზე გვაქვს, თუმცა ეს საკმარისი არ არის. ქართველი მეცნიერების და ქართული სახელმწიფოს წინაშე ძალიან დიდი ამოცანები და გამოწვევებია.

**ნოდარ სურგულაძე, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე:**

— განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო განსაკუთრებით არის დაინტერესებული ამ საკითხით. ჩვენ სხვადასხვა ტიპის გრანტებითა თუ მრავალმხრივი დაფინანსებით შევუწყობთ ხელს ქართული ენის შენარჩუნებას და მომავალი თაობებისთვის გადაცემას. თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარების ეპოქაში ქართული ენა თანამედროვე ტექნოლოგიებში ჩართვით უნდა დამკვიდრდეს მსოფლიო ასპარეზზე. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მაშინ, როცა ინტერნეტში განთავსებული ინფორმაციის დიდი ნაწილი ინგლისურ ენაზეა, განსაკუთრებით საჭირო ხდება ქართული ენის თანამედროვე ტექნოლოგიებით დამუშავება. ასეთ სიტუაციაში ქართულ ენას განსაკუთრებული მხარდაჭერა და უცხოელი კოლეგების გამოცდილების გაზიარება სჭირდება.

**ემზარ ჯგერენაია, საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის მეცნიერებათა დეპარტამენტის დირექტორი:**

— XXI საუკუნემ იმდენი სიახლე მოიტანა, რომ ქართულ ენას ნამდვილად სჭირდება ამ სიახლეებისთვის ფეხის აწყობა. ამიტომ მიმაჩნია, რომ ძალიან მნიშვნელოვანი კონფერენცია გაიმართა ქართული ენის ინტერნეტსივრცეში სათანადო სიმაღლეზე განსათავსებლად. ჩვენ მსგავს კონფერენციებს გასულ წლებშიც ვმასპინძლობდით, თუმცა წელს ეს ყველაფერიმ გაცილებით მასშტაბურია. ჩვენ გვესტუმრნენ იმ ქვეყნების მეცნიერები, რომლებმაც მსგავსი სამუშაოები დიდი ხნის წინ გაიარეს და მათი გამოცდილება ახლა ჩვენთვის არანაკლებ მნიშვნელოვანია. მართალია რაღაც პირველი ნაბიჯები ჩვენ უკვე გადავდგით, მაგრამ ეს არ არის საკმარისი იმისთვის, რომ ქართული ენა ინტერნეტსივრცეში დამკვიდრდეს, საკმარისი არ არის.

# „საბამ“ გამარჯვებულები გამოავლინა

დასაწყისი მე-10 გვერდზე

ზაურობა „კაუკაზიშე პოსტის“ ფურცლებზე“ (არტანუჯი), თამარ ფხაკაძე, „გმირი“ (პრაიმტაიმი), რუსუდან ჩოლოყაშვილი, ეკა ჩხეიძე, ნინო ბალანჩივაძე, ნესტან რატიანი, ირმა ყველაშვილი „ანტისაბჭოური სიტყვიერება“ (ნეკერი).

ნომინაციაში ქართული ლიტერატურის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის გამარჯვებული „თიბისი ბანკის“ ხელმძღვანელმა მამუკა ხაზარაძემ თავად გამოაცხადა. წელს „საბა“ პოეტს, მწერალსა და მთარგმნელს ვახტანგ ჯავახაძეს გადაეცა.

წელს, გასული წლის მსგავსად „საბას“ გარეშე დარჩა ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის მიერ წარდგენილი წიგნები. სულ ამ გამომცემლობამ წლევანდელ ლიტერატურულ პრემიაზე 10 წიგნი წარადგინა. ბაკურ სულაკაურის გამომცემლობისგან განსხვავებით, „სიესტამ“ სამი „საბა“ აიღო.

როგორც „საბას“ ორგანიზატორებმა განაცხადეს, მომავალ წელს ყველაზე პრესტიჟული ლიტერატურული პრემია კიდევ უფრო გრანდიოზულად ჩატარდება, რადგან „საბას“ დაარსებიდან 10 წელი სრულდება, ხოლო „თიბისი ბანკი“ კი 20 წლის იუბილეს აღნიშნავს.

— ჩვენ ძალიან მოხარულები ვართ, რომ ლიტერატურულმა პრემიამ „საბა“ ქართულ საზოგადოებაში თავისი ღირსეული ადგილი დაიმკვიდრა. მომავალ წელს „საბა“ იუბილარია— მას დაარსებიდან 10 წელი უსრულდება და ჩვენ ამ თარიღის აღნიშვნას განსხვავებულად ვაპირებთ. არანაკლებ მნიშვნელოვანია ისიც, რომ მომავალ წელს „თიბისი ბანკიც“ იუბილარია, მისი შექმნიდან 20 წელი შესრულდება, ამიტომ ორმაგი იუბილეს აღნიშვნას გრანდიოზულად ვაპირებთ, — განაცხადა „თიბისი ბანკის“ ხელმძღვანელმა მამუკა ხაზარაძემ.

# სამგლოვიარო განცხადებები

## ომარ ფერცულიანის ხსოვნას!



40 დღე შესრულდა, რაც ჩვენგან მწუხარებით, ტკივილითა და მონატრებით წახვედი. გვიმძიმს, რომ ჩვენ გვერდით აღარ ხარ. არაფერია ამქვეყნად სიკვდილზე საშინელი და მონატრებაზე ძნელი. ამბობენ, დრო ყველაფრის მკურნალიაო, მაგრამ ეს ასე არ არის. დრო აყუჩებს ტკივილებს, მაგრამ ვერ გვავიწყებს საყვარელ ადამიანებს. ჩუმად, უპრეტენზიოდ დატოვე ეს წუთისოფელი. წახვედი და დაგვაკლდი ყველას, დატოვე კეთილი მოგონებები, უანგაროდ გაცემული სიკეთე და სიყვარული. სწორედ თქვენისთანა ადამიანებზეა ნათქვამი:

*„არ იზომება სიცოცხლე წლებით,*
*მხოლოდ საქმეა საზომი მისი,*
*მიეც სამშობლოს, რაც გაბადია,*
*დავიწყებისგან მხოლოდ ის გიხსნის“.*

შენი წასვლით ჩვენს გულებში ამოუვსებელი სიცარიელე დატოვე. გვახსენდება შენი განვლილი გზა, რომელიც ია-ვარდით მოფენილი არ ყოფილა. ყველაფერს ხომ შენი დაუღალავი შრომით მიაღწიე შენს საყვარელ მეუღლესთან — ნინო ქებურიასთან ერთად. შენ მიერ დატოვებულ სიყვარულის ბილიკზე კვლავ გრძელდება შენი სანუკვარი ოჯახის ცხოვრება.

გული გვწყდება, რომ ვერ იზიარებ შენი შვილების კობასა და ბესოს, შვილიშვილების — ალექსანდრესა და კონსტანტინეს წარმატებებს!

ჩვენი ლოცვითა და შენს საფლავზე დანთებული სანთლებით უფალს შენი სულის სიმშვიდესა და ნათელში ყოფნას შევთხოვთ.

*შენი მეგობრები*

## ომარ ფერცულიანის ხსოვნას

ზოგს ღმერთი უძლვის,
ზოგს — მიწრიელი.
ახსოვს ყოველი სულს ნაიარევს,
მთავარი არის, გზა მიწიერი
როგორ განვლიეთ და გავიარეთ.
სიკვდილი მოვა, ვერსად
წავუვალთ,
ის ყველას გველის, უცალს თუ
ნაცადს;
თურმე სიკვდილსაც
დღესასწაულად
აქცევს კაცი, თუ მოკვდება კაცად,
თუმცა დღეები გადანათვალი,
აწონილი და დაყოფილია.
თუ არ დატოვე კვალი ნათელი,
მაშინ ეს ყოფაც არყოფილია.
შენ კი სიკვდილი თავად დათრგუნე,
გაინათელე ბნელი საწუთრო.
უბრალო მოკვდავს ღმერთი არგუნებს,
უკვდავება რომ დაისაკუთროს.
შენც უკვდავება დაგაბინადრებს
და გადაგიხსნის ცათა კარიბჭეს.
კაცი უკეთესს რაღას ინატრებს,
ღმერთი სიმშვიდეს თუ მოგანიჭებს...
ყველას დაგვაკლდი, უცნობს თუ ნაცნობს.
ვიცოდით შენი კაცობის ფასი.
ნათელი შენდა, ნათელო კაცო,
ანგელოზების გიძღოდეს დასი.

*ალეკო გაბელაია*

ჯემალ, ირინა, ნოდარ გაბისონიები იუწყებიან მეგობრის

**გივი თოლორაიას**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ ქალბატონ ნანული თოლორაიასა და ბატონ რამინ აბლოთიას.

ნინო გაბისონია და გოჩა აბლოთია შვილებით ანანო და ნანოთი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა აფხაზეთის თვალსაჩინო მოღვაწე და უსაყვარლესი ბიძა

**გივი მიხეილის ძე თოლორაია**

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახსა და ახლობლებს.

ირინა, ჯემალ, ნოდარ გაბისონიები თანაუგრძნობენ თენგიზ აბლოთიას უსაყვარლესი ბიძის

**გივი თოლორაიას**

გარდაცვალების გამო.

დედა ლეილა, მეუღლე სოფიკო ცაბაძე, შვილები ანა, ნინო, დები ციცინო, მარინა ნიქაბაძეები, სიძე ნუგზარ მასხულია, დისშვილები მაია, თამთა მასხულიები დიდი მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ტარიელ ნიქაბაძე**

პანაშვიდი: 12, 13 ივლისს, 17 საათზე;
დაკრძალვა: 14 ივლისს, 15 საათზე;
მისამართი: წყალტუბოს რაიონის სოფელი ფარცხანაყანები.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

## TV პროგრამა

**სამშაბათი 12 ივლისი**

**06.30** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** ჩვენი დილა **11.00** სამოთხის ვაშლები **12.00, 16.00, 20.00** მოამბე **12.30** სპორტული თოქ-შოუ "არენა" **14.00** ჩვენი ეზო **15.00** სერ. **"დოლმენი"** **17.00** ან. ფილმი "სამურაი" **18.00** ჩვენი ფერმა **18.30** დამზადებულია საქართველოში **19.05** დოკ. ფილმი "მხეცების კვალდაკვალ" **19.45** პეპეს ზღაპრები **21.00** სერ. **"დოლმენი"** **22.00, 01.05** დიალოგი დ. პაიჭაძესთან **23.00** მხ. ფილმი **"ლარა კროფტი- სამარხების მძარცველი"** (ა. ჯოლი) (სუბტ.) **00.45** მოამბე **02.05** აუდიტორია **03.05** მხ. ფილმი **"უცნობი ჩემს გვერდით"** (15) **04.35** მხ. ფილმი **"სალტონის ზღვა"** (15)

**08.00, 00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **09.00, 12.00, 14.45, 17.45, 23.00** ბრიფინგის დროით **10.00, 22.00** თავისუფალი ტრიბუნა **11.00, 16.00** დოკ. ფილმი **14.00** საუკუნის პორტრეტები **17.00** მეხსიერება **19.00** დოკ. ფილმი "ეგვიპტე" **20.00** მხ. ფილმი **"ელისაბედ სმარტის ამბავი"** **01.00** მხ. ფილმი **"მარგო ქორწილში"**

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერ. **"ცოდვილი"** **11.00** სერ. **"მიმწყვდეული"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 04.30** კურიერი **12.30** სხვა ამბები **13.00** ბიზნეს-კურიერი **13.30** შუა დღე (პირდ.) **15.40** ვანოს შოუ (გან.) **17.00** სერ. **"ავრორა"** **18.45** სერ. **"ქალის მსხვერპლი"** **19.45** სერ. **"ახალგაზრდა ქვრივი"** **21.50** ეროვნული ლატარეა **22.00** თქვენი შოუ **23.00** ვის უნდა **20** ათასი **00.00** შუა დღე (გან.) **02.00** პატრული **02.30** მხ. ფილმი (სუბტ.)

**07.30** იმედის დილა **10.00** სერ. **"ლამაზი სიცოცხლე"** **11.00, 14.00, 17.00, 20.00** ქრონიკა **12.30** დღის შოუ (პირ.) **13.45** ტვ-მარკეტი **14.40** ღამის შოუ (გან.) **16.00** სერ. **"მეტოქეები"** **17.40** სერ. **"სიყვარულის ზღვა"** **18.40** სერ. **"როცა სიყვარული მოდის"** **21.00** სერ. **"დამალული სიმართლე"** **22.00** ნანუკას შოუ **23.30** "ფეის კონტროლი" **01.00** პოკერ რინგი **02.25** მხ. ფილმი **"ავგუსტო"** (15) (ჯ. ჰარტნეტი) (სუბტ.) **04.10** მხ. ფილმი **"ნამდვილი მაკკოი"** (კ. ბესინგერი) (სუბტ.) **06.30** სერ. **"ბოშები"**

**08.00** ანიმაცია **09.45** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **10.00** გოგიჩას დილა **11.00** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **13.00** "მზესუმზირა" (პირდ.) **14.30** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **15.30** იმედის ფსონი (პირდ.) **16.10** სერ. **"ვნებათა მიწა"** **17.10** მხ. ფილმი **19.00** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **22.30** რეალითი-შოუ "მზის სახლი" დღიური **23.30** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **04.00** რეალითი-შოუ "მზის სახლი" დღიური **05.00** მხ. ფილმი

**08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30** "დრო" **09.00** მუსიკა **09.30, 23.40** სერ. **"სოფია, ცოტა მადროვე"** **10.00** დოკ. ფილმი "გამოჩენილი ადამიანები" **10.40, 16.00** სახლი ბათუმში **11.10, 14.10, 17.10** ინგლისურის გაკვეთილი **11.50, 21.00** სერ. **"დაცვის უფლება"** **12.50, 19.30** სერ. **"მეგობრები"** **15.00** სერ. **"განებივრებული ლამაზმანი"** **16.30** დროის ვექტორი **18.00** დოკ. ფილმი **00.30** მხ. ფილმი

**ერთსულოვნება** **08.30** დილის პროგრამა "განთიადი" **10.00, 19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **10.25** დოკ. ფილმი "რაღაც კიდევ უფრო ქართული" გრიგოლ აბაშიძე **10.45** მოკლ. ფილმი **"ბზიანეთი"** **11.05** საქართველოს ისტორია **11.30** დრო და ტრადიციები **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00, 15.00** საეკლესიო კალენდარი **12.15** მხ. ფილმი **"დიმიტრი მეორე"** 1-ლი ს. **13.30** კონცერტი– ლილიკო ნემსაძე **15.05** ახალი აღთქმის განმარტებანი **15.25** მხ. ფილმი **"ფეოლა"** **16.05** დოკ. ფილმი "პოეტი პეტრე ბაგრატიონი" **18.05** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **18.15** დებიუტი – დოკ. ფილმების პროგრამა **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.15** მხ. ფილმი **"დიმიტრი მეორე"** მე-2ს. **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.15** საღვთისმეტყველო საუბრები **22.25** დოკ. ფილმი "წმინდა მოციქულთა თავნი პეტრე და პავლე" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დროის ჩანაწერები **00.30** განთიადის სტუმარი **00.55** კარაბადინი **01.20** დოკ. ფილმი "იმედი მომავლისა" **01.45** მოკ. ფილმი **"წყარო გზის პირას"**

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**12 ივლისი**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

- აშშ დოლარი — 1,6688
- ევრო — 2,3929
- ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,6721
- რუსული რუბლი — 0,0598

**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 28-39, ღამით — 14-17

**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 25-2§, ღამით — 1§-18

**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 24-26, ღამით — 19-16

## ამინდის პროგნოზი 12 ივლისისთვის








წამალი "ფერდი" შეიცავს არაერთ ბიოლოგიურად აქტიურ სამკურნალო ნივთიერებას. "ფერდი" დამამშვიდებელი, ტკივილგამაყუჩებელი, ანტისეპტიკური, ანტიმიკრობული და მაღალი ანტიოქსიდანტური აქტივობის მქონე მცენარეული წამალია.ის გამოიყენება, როგორც დამამშვიდებელი საშუალება ვეგეტონევროზის (უძილობა, აგზნებულობა, შიში, ნერვული აშლილობა, დაძაბულობა) დროს, როგორც ხველების დამაწყნარებელი, აგრეთვე კუჭ-ნაწლავის ,ქრონიკული ფაღარათის, ფილტვების, პირისღრუს, საშარდე გზების, სქესობრივი გზით გადამდები ინფექციური დაავადებების მკურნალობისას.

წამალი "ფერდის" მოქმედება განპირობებულია ფარმაკოლოგიურად აქტიური ნივთიერებების კომპლექსით .მათშორის უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია გლიკოზი და მიგდალინი, რომელიც კუჭის ფერმენტის ზემოქმედებით იშლება და გამოყოფს ტკივილ გამაყუჩებელი,ანესთეზიური,ანტიბაქტერიული და სპაზმოლიზური თვისებების მქონე ციანწყალბადმჟავას.

ნედლეულის შემადგენლობაში შედის ნაერთები — გლიკოზიდები: ამიგდალინი, პრულაურაზინი (ლაურაცერაზინი) და მისი სტერეოიზომერი პრუნაზინი, თავისუფალი ციანწყალბადმჟავა - 0,4 - 5%; მთრიმლავი ნივთიერებები - 25%, 0,5% ეთერზეთები, 2,7% ტრიტერპენოიდები (ურსოლის მჟავა-1%), პროანთოციანები, ფენოლკარბონმჟავები (ჰიდროლიზდება კოფეინის, პარა-კუმარის მჟავას წარმოქმნით), კატეხინები (დიმერული, ტრიმერული კატეხინები, ეპიკატეხინი, (+)-კატეხინი, (–)-ეპიკატეხინი), ვიტამინი C, სტეროიდები (ბეტა-სიტოსტერინი, სტიგმასტერინი, ქოლესტერინი), ფლავონოიდები, რომელთა ჰიდროლიზით მიიღება ქვერცეტინი;

პრეპარატის ანტიოქსიდანტური აქტივობაა 72-85%;

წამალი "ფერდი" იკითხეთ აფთიაქებში. დალუქულ ქილაში მოთავსებულია 90 კაფსულა, თუ შეიძენთ ცალობით თითოეულ კაფსულაზე უნდა იყოს წარწერა "ფერდი". 2011 წელს მისი ფასი არ უნდა აღემატებოდეს 30 ლარს.

გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახები ნფორმაციისთვის მიმართეთ ექიმს.

WWW.PHERDI.GE ☎ 295-90-60

ექიმის კონსულტაცია უფასოა.

მის: დავით აღმაშენებლის გამზ.146


## ქრისტინე ესებუამ ისარი ვერცხლს ესროლა



ქრისტინე ესებუა პირველი ქართველი მშვილდოსანი გახდა, რომელმაც მსოფლიოს ჩემპიონატზე, ინდივიდუალურ ტურნირში მედლის მოპოვება მოახერხა. ესებუამ ზედიზედ ექვსი მეტოქის ძლევა მოახერხა და მხოლოდ ფინალში დამარცხდა, ვერცხლის მედალთან ერთად კი, საქართველოს ლონდონის ოლიმპიადის ლიცენზიაც მოუტანა.

შესარჩევი რაუნდის შემდეგ, ქრისტინე მხოლოდ 39-ე გახლდათ, თუმცა ფლეი ოფში ჩინებულად იასპარეზა. ქართველმა სპორტსმენმა ბელორუსი კუზნიაცოვა (74-ე) 7:3 დაამარცხა, რის შემდეგაც სენსაცია სენსაციაზე მიაწყო. ქართველმა მშვილდოსანმა ინდოელ სვუროს (27-ე) 6:2 სძლია, ჩრდილოკორეელ კვონს (მე-7) 6:0 მოუგო, ბრიტანელ ოლივერსა (მე-10) და კორეელ იუნგს (მე□2) — 6:4 აჯობა.

ნახევარფინალში ესებუამ მე-3 რეიტინგის მქონე ჩინელი იუტინგ ფანგი 6:2 დაამარცხა, ფინალში კი, ჩილელ დენის ვან ლამოენს გადაეყარა, რომელმაც მერვედფინალში აშშ-ს სახელით მოასპარეზე ხათუნა ქვრივიშვილს (ლორიგი) სძლია, ხოლო მეოთხედფინალში ხათუნა ნარიმანიძეს აჯობა. სამწუხაროდ, რევანშის აღება ვერც ქრისტინემ მოახერხა და 26-ე განთესვის მქონე ჩილელთან 2:6 წააგო.

ფინალში განცდილი მარცხის მიუხედავად, ესებუას მსოფლიოს ჩემპიონატზე გამოსვლას თამამად შეგვიძლია ისტორიული ვუწოდოთ. როგორც აღვნიშნეთ, მისი და ნარიმანიძის წარმატებული ასპარეზობის გამო, საქართველოს ოლიმპიადის ლიცენზიაც ერგო, რომელიც ახალი წესის თანახმად, ქვეყანას გადაეცემა და არა კონკრეტულად სპორტსმენს.

**მ. ჟ.**

## ასტროპროგნოზი 12 ივლისისთვის

### ყველამ გაითვალისწინეთ!

**ვერძი** — ნუ გარისკავთ. ჯანმრთელობას გაუფრთხილდით. **კურო** — მნიშვნელოვანი არაფერი მოხდება. ეს დღე მშვიდად გაატარეთ. **ტყუპები** — სიყვარულში გიმართლებთ. გელით საჩუქარი. **კირჩხიბი** — ფულს შოულობთ. ნავაჭრით კმაყოფილი ხართ. **ლომი** — იღბლიანი დღეა. ყველა საქმე გამოგდით. **ქალწული** — წარსულიდან ვიღაც ბრუნდება. მას თქვენთვის რაღაც აქვს სათქმელი. **სასწორი** — ერიდეთ კონფლიქტურ სიტუაციებს. ალკოჰოლს არ გაეკაროთ. **ღრიანკალი** — დაისვენეთ და გაერთეთ. თქვენ ეს დაიმსახურეთ. **მშვილდოსანი** — თავმდაბლად იმუშავეთ. თქვენი შრომა უთუოდ დაფასდება. **თხის რქა** — უფროსობა კარგი თვალით გიყურებთ. ასე განაგრძეთ. **მერწყული** — შეიცვალეთ სტილი. გადაიხალისეთ გარდერობი. **თევზები** — თავს დასვენების უფლება მიეცით. საქმე მოიცდის.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**


# 11 ივლისიდან

## იყიდება

100 წიგნი

„ახალი თაობის“ და „საოჯახო ბიბლიოთეკის“

## სუპერპროექტის

ადამიანები, რომელთაც შეცვალეს მსოფლიო

**ტომი 8**

ვაჟა-ფშაველა




**გაზეთი და წიგნი ერთად 8 ლარი**


## იუმორი



***

— დიდი ხანია ჯალათად მუშაობთ?

— ასე, ათი წელი იქნება.

— მერე, გამოგდით?

— რა ვიცი, საყვედური ჯერ არავის უთქვამს...

***

— ძნელია ავტომატს ფული მოუგო, განსაკუთრებით, თუკი ავტომატი კალაშნიკოვისაა...

***

— ვერ ვიტან თანამედროვე ქიმიას, შხაპში თმის კონდინციონერს უფრო გემრიელი სუნი აქვს, ვიდრე კვების პროდუქტებს მაცივარში...

***

— არ გაღიზიანებს, რომ შენი ქმარი ყველგან თავის სასიყვარულო თავგადასავლებით ტრაბახობს.

— ილაპარაკოს ინვალიდმა ომზე...

***

ოქროს ქორწილში ქმარს გულახდილობის ბუშტი გაუსკდა.

— ეჰ, რომ იცოდეთ, რამდენ ქმარს დავადგი რქები...

ცოლი პასუხობს:

— მე კი მხოლოდ ერთს...

**გ. თ.**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. გერმანელი მეცნიერი, ნობელის პრემიის პირველი ლაურეატი ფიზიოლოგია-მედიცინის დარგში; 2. ქართული რადიო; 3. ცეცხლსასროლი იარაღი; 4. ესკიმოსთა ნავი; 5. ისტორიული ციხე-ქალაქი მცხეთის მახლობლად; 9. სიყვარულის ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 10. შტატი აშშ-ში; 14. კაცთმოძულე ადამიანი; 15. ჩასაბერი მუსიკალური ინსტრუმენტი; 16. პერუში მცხოვრებ ინდიელთა ტომი; 19. ჰიპერმარკეტი თბილისში; 20. ვაშლის ქართული ჯიში; 21. ცხენის მოსართავი.

**თარაზულად:** 6. ხელოვნების ნიმუშის, არქიტექტურული ძეგლის აღდგენა პირვანდელი სახით; 7. ინდონეზიის ერთ-ერთი კუნძული; 8. ქართული მინერალური წყალი; 11. ამერიკული სამხედრო მოიერიშე ვეტმფრენების სერია; 12. ჩამქრალი ვულკანი ჯავახეთის ქედზე; 13. დასპირტული და არომატიზებული ღვინო; 17. კანონებში არსებული წინააღმდეგობები; 18. მრავალსართულიანი სახლის ბოლო სართულზე განლაგებული იზოლირებული ფეშენებლური ბინა; 22. ფაიფურის მწარმოებელი ინგლისური ფირმა; 23. რაიონული ცენტრი იმერეთში; 24. სხვადასხვა ფერის შარვლისა და პიჯაკის კოსტუმი; 25. თანამედროვე ქართველი კინორეჟისორი.

**შეადგინა თ. გოგინაშვილმა**




ლურჯი წითელი ყვითელი შავი